გ. ს. ათანელიშვილი

სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში

562—590 წწ.

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი—1959

ზ. ს. ათანელიშვილი

სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში

562—590 წწ.

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი—1959

რედაქტორის წინასიტყვაობა

გ. ათანელიშვილის წინამდებარე ნაშრომი „სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში“ ეხება ერთ იმ საკითხთაგანს, რომელთა სწორი გადაჭრა საშუალებას მოგვცემს ზედმიწევნით გავიგოთ საფუძვლები დასავლურ-ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა VI საუკუნეში. ეს ერთი საკითხი, სახელდობრ, აშუქებს სვანეთის მნიშვნელობას მაშინდელი პოლიტიკური ურთიერთობის საქმეში ერთი მხრით ბიზანტიასა და დასავლეთ საქართველოს შორის, ხოლო მეორე მხრით სპარსეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის.

VI საუკუნეში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის გართულებული ურთიერთობა, ძირითადად, გამოწვეული იყო იმ ეკონომიური საფუძვლებით, რომლებსაც ემყარებოდა ბიზანტიის აღებმიცემობა აღმოსავლეთთან. სახელდობრ, აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობის გზაზე ბიზანტიას ეღობებოდა სპარსეთი, როგორც სატრანზიტო და საშუამავლო ქვეყანა. ბიზანტია იძულებული იყო ბევრი უსიამოვნება გადაეტანა სპარსეთისაგან, რომლის მეშვეობით ის ღებულობდა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (ინდოეთიდან, ჩინეთიდან) საპირო ნედლეულსა და საქონელს. მაგალითად, ნედლი აბრეშუმის გადამმუშავებელი საწარმოები ბიზანტიაში სპარსეთის მეშვეობით ღებულობდნენ ნედლეულს აღმოსავლეთიდან. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბიზანტია ეკონომიურად დამოკიდებული იყო სპარსეთისაგან; ამიტომ ბიზანტია მუდამ ეძებდა გზებს ამ დამოკიდებულებისაგან თავის დასაღწევად.

ერთ-ერთ ასეთ გზად ბიზანტიას მიაჩნდა თავისი მოკავშირე დასავლეთი საქართველო, ეგრისი ანუ ლაზიკა. ლაზიკა რამდენიმე ერთეულისაგან შედგებოდა: მასში შედიოდა, მაგალითად, აბაზგების ქვეყანა და სვანების ქვეყანა. სვანეთი ლაზიკის ქვეშევრდომი იყო—წერს პროკოპი კესარიელი „ომების ისტორიის“ VIII წიგნში; „სვანეთი ლაზიკის ხელქვეითი იყო“,—ამბობს ისტორიკოსი მენანდრე, და „სვანეთის მთავარი ლაზს ემორჩილებოდაო“. და, აი, ბიზანტია, რომელიც უკვე დიდი ხანია ჩამჯდარი იყო ლაზი-

ქაში თავისი გარნიზონებით როგორც ლაზთა მეფის მოკავშირე, ფიქრობს გამოიყენოს ლაზეთის ერთ-ერთი მხარე, სახელდობრ, სვანეთი, რომელიც დასავლეთ საქართველოს ნაწილი იყო, როგორც სატრანზიტო გზა აღმოსავლეთიდან საჭირო საგნების შემოსაზიდად.

გ. ათანელიშვილის წინამდებარე ნაშრომში კარგად არის ნაჩვენები—ისტორიკოს მენანდრეს თხზულების ფრაგმენტების საფუძველზე დაყრდნობით—თუ როგორ ცდილობდა ბიზანტია სვანეთის გზით დაკავშირებოდა კასპიის გადაღმა ქვეყნებს, საიდანაც ბიზანტიას შემოქონდა საჭირო ნედლეული. სპარსეთი კი ცდილობდა დაეპყრო სვანეთი და ამით ხელი შეეშალა ბიზანტიის ვაჭრობისათვის. მაგრამ სვანეთის ხელში ჩაგდება სპარსეთის მიერ ნიშნავდა საქართველოს სუვერენობის შებღალვას.

რახან ასეთი ყოფილა სვანეთის მნიშვნელობა, როგორც სატრანზიტო გზისა, ამიტომ გასაგებია ჩვენი მეცნიერების ინტერესი სვანეთის VI საუკუნის თავგადასავლისადმი: თითოეულ დეტალს, ყოველი ახალი თარიღის დადგენას VI საუკუნის სვანეთის თავგადასავალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ არის, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გ. ათანელიშვილის ნაშრომის გამოქვეყნება, რომელშიც პირველწყაროების მიხედვით არის გაშლილი მსჯელობა ბიზანტია-სპარსეთის ურთიერთობის შესახებ სვანეთის საკითხის გამო.

სერგ. ყაუხჩიშვილი

თბილისი. 1959. III.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია საქართველოს ისტორიაში, რადგან ამ ორი სახელმწიფოს ისტორია მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. აღნიშნული პრობლემა იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ ბურჟუაზიული ისტორიკოსებისათვის ბიზანტიის იმპერია არის „რომის იმპერიის ისტორიული მემკვიდრე და მისი ტრადიციების ერთგული", ე. ი. მათი გაგებით, ბიზანტიის იმპერია არის რომის იმპერიის გაგრძელება და პირველს მეორესთან შედარებით არავითარი თავისებურება არ ახასიათებს. ისინი ირწმუნებიან, რომ მეზობელ ხალხებს ბიზანტიელებზე გავლენა არ მოუხდენიათ, პირიქით, მხოლოდ ბიზანტია ახდენდა მათზე გავლენასო, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

ფაქტია, რომ ბიზანტიამ აღმოსავლეთიდან შეიძინა სასიცოცხლო უნარი, აღმოსავლურმა კულტურამ მისცა მას სიმტკიცე და მხნეობა. თავისებური გავლენა მოახდინეს ბიზანტიაზე როგორც სლავებმა, ისე ქართველებმა, სომხებმა და აღმოსავლეთის სხვა ხალხებმა. რუს და ქართველ ბიზანტიოლოგთა კვლევამ ნათლად დაგვანახა, რომ ამ ხალხების გავლენა განიცადა ბიზანტიამ როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში[1].

ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობას თავისი ისტორია აქვს და მას მრავალი მკვლევარი შეეხო; აღნიშნული საკითხის ირგვლივ გამოიცა მრავალი ქართული და უცხოური ძეგლი, გაიარკვა და დაზუსტდა ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის არა-

---

[1] იხ. აკად. ე. ა. კ ო ს მ ი ნ ს კ ი ს გამოსვლა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილებათა ბიზანტიოლოგების მეხუთე სესიაზე, რომელიც შედგა ქ. მოსკოვში, 1950 წლის დეკემბერში: „Византийский Временник", V, 1952, стр. 292: აგრეთვე: М. В. Левченко, Задачи современного византиноведения („Византийский сборник", стр. 4, 1945). მისივე: „Грегуар и его работы по византиноведению", „Византийский временник", III, стр. 233—245, 1950: ა გ რ ე თ ვ ე: БСЭ, 8, стр. 43, 47; მ. კ ა ხ ა ძ ე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, 1954, გვ. 5—97, თბილისი.

ერთი საკითხი. მაგრამ ამ ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი კიდევ მოითხოვს დაზუსტებას, მაგალითად, — „სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში (562 — 590 წწ.)".

ბიზანტიასა და ირანს შორის ლაზიკისათვის წარმოებული 542—590 წწ. ომი ირანის დამარცხებით დამთავრდა. მიუხედავად დამარცხებისა, ირანი ლაზიკის დაპყრობაზე ხელს არ იღებდა; ამიტომ იყო, რომ ბიზანტია-ირანის 562 წლის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ირანი თმობდა ლაზიკას მთლიანად, მაგრამ ამასთანავე ინარჩუნებდა სვანეთს, რომელსაც მომავალში გამოიყენებდა, როგორც სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს ლაზიკის დასაპყრობად. მოდავე სახელმწიფოთა შორის გაჩაღდა დიპლომატიური ბრძოლა სვანეთის გამო: სვანეთს ჩემულობდა როგორც ბიზანტია, ისე ირანი.

ამიტომ იყო, რომ სვანეთის საკითხი მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის საგარეო პოლიტიკის ყველაზე მტკივნეულ საკითხად ითვლებოდა. ამავე დროს, სვანეთის საკითხით არა ნაკლებ იყო დაინტერესებული ირანი. აღნიშნულ პერიოდში ეს საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა და მოდავე სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკას მიმართულებას აძლევდა.

სვანეთის საკითხი ბიზანტიელებმა პირველად დააყენეს 562 წელს ბიზანტია-ირანის საზავო მოლაპარაკების დროს. ამ მოლაპარაკების შედეგად ირანი ბიზანტიას უთმობდა მთელ ლაზიკას, მაგრამ სვანეთის გადაცემაზე უარს აცხადებდა; ირანის მეფემ ხოსრომ და ბიზანტიის ელჩმა პეტრემ ბევრი იდავეს სვანეთის საკითხის ირგვლივ. სვანეთის საკითხი ბიზანტიასა და ირანს შორის უთანხმოების უდიდეს ცეცხლად გადაიქცა. მაგრამ იგი ამ საზავო მოლაპარაკების დროს გადაუწყვეტელი დარჩა. ჩანს, სვანეთით დიდად ყოფილა დაინტერესებული როგორც ირანი, ისე ბიზანტია. ეს საკითხი ისევ დაისვა აგრეთვე 565 და 569 წლებში, მაგრამ იმჯერადაც საკითხი ვერ გადაწყდა.

რით იყო გამოწვეული ის მწვავე კამათი და შეუთანხმებლობა სვანეთის საკითხში, რასაც ადგილი ჰქონდა ბიზანტიასა და ირანს შორის გამართულ საზავო მოლაპარაკებისას, როცა ბიზანტიელები სასყიდლის გაღებასაც კი არ მოერიდნენ, რათა სვანეთი მათ მფლობელობაში ყოფილიყო? ან რა ინტერესები ამოძრავებდა სვანეთის მიმართ როგორც ირანს, ისე ბიზანტიას, რა

პერსპექტივები ჰქონდათ დასახული სვანეთის დაუფლების შემთხვევაში აღნიშნულ მოქიშპე სახელმწიფოებს? აი ის საკითხები, რომლებიც წამოიჭრა ჩვენს წინაშე წყაროებზე მუშაობის დროს.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო მენანდრეს[1] ერთმა ცნობამ, რომელიც ეხება სწორედ ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობას სვანეთის საკითხის გამო. მენანდრეს ეს ცნობა მკვლევართა მიერ მხედველობაში არაა მიღებული. იგი სულ სხვა ვითარებაში წარმოგვიდგენს ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობას სვანეთის საკითხის ირგვლივ, ვიდრე ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მოცემული. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააცხოველა ჩვენი ინტერესი წამოჭრილი საკითხისადმი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულად ითვლება, რომ ბიზანტიასა და ირანს შორის 562 წელს დაწყებული დავა სვანეთის გამო დამთავრდა 590 წელს ბიზანტიის მიერ სვანეთის დაპყრობით. მაგრამ მენანდრეს ერთი ცნობის მიხედვით აღნიშნული დავა ბიზანტიასა და ირანს შორის დამთავრდა 570—571 წლებში. აქედან გამოდის, რომ თეოფილაქტე სიმოკატას ცნობა 590 წ. ბიზანტიელების მიერ სვანეთის დაპყრობის შესახებ სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს.

როგორც დავინახეთ, იმ ხანის სვანეთის საკითხი მკვლევარისათვის მრავალმხრივაა საინტერესო. ჩვენს ინტერესს ამ საკითხისადმი ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ზუსტად ვერ არის დადგენილი სვანეთის ირგვლივ ბიზანტიასა და ირანს შორის წამოჭრილი დავის დამთავრების თარიღი. ამასთანავე, როგორც ჩანს, ზოგიერთი ფრიად საყურადღებო ისტორიული ცნობა მკვლევართ მხედველობიდან გამორჩენიათ; ზოგიერთი ცნობა და ფაქტი მოითხოვს ახალს, უფრო სწორ გაშუქებას. ამიტომ ჩვენ შევეცადეთ, ისტორიული წყაროებისა და გამოკვლევების შეჯერების საფუძველზე გაგვერკვია ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი „სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში“ ნათელს ჰფენს ბიზანტია-ირანის ურთიერთობის ერთ მომენტს, სახელდობრ, ამ ორი მოქიშპე სახელმწიფოს სვანეთთან დამოკიდებულების საკითხს და ახლებურად აშუქებს მას.

---

[1] მენანდრე, ფრგმ. 17: პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 231—233, 1936 წ., თბილისი.

ლიტერატურის მიმოხილვა

მეექვსე საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ამგვარად წარმოგვიდგება: აღმოსავლეთ საქართველო ანუ იბერია უკვე დიდი ხნიდან ირანს ეჭირა, ხოლო 523 წლიდან იბერიაში მეფობაც გაუქმებული იყო; დასავლეთ საქართველო (ლაზიკა, ანუ კოლხეთი) ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის სფეროში შედიოდა; ლაზიკა ბიზანტიას გადასახადს არ უხდიდა; იგი ვალდებული იყო მხოლოდ ჩრდილოეთის საზღვრები გაემაგრებინა და იქედან ჰუნები არ შემოეშვა; ამასთანავე, ლაზიკის მეფეს ტახტზე ასვლის დროს ბიზანტიის კეისრისაგან უნდა მიეღო სამეფო ნიშნები[1].

მიუხედავად იმისა, რომ 532 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის „საუკუნო ზავის“ ხელშეკრულება იყო დადებული, ირანი მაინც ცდილობდა ლაზიკის ხელში ჩაგდებას. ბიზანტიამ აღნიშნული ხელშეკრულების შემდეგ ლაზიკაში პირველად ჩააყენა მუდმივი ჯარი. ამიტომ იყო, რომ ირანმა გადაწყვიტა ბიზანტიის განდევნა ლაზიკიდან.

ირანმა 542 წლიდან ლაზიკის წინააღმდეგ დაიწყო დიდი საომარი შეტევები, რაც 562 წლამდე გაგრძელდა.

ირანის ჯარმა შავი ზღვის ნაპირებამდე მიაღწია. მან ზღვის პირას მდებარე ციხე-სიმაგრე პეტრაც აიღო, მაგრამ აქ გამაგრება ვერ შესძლო, რადგან ბიზანტიისა და ლაზიკის მხრივ დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, და თანდათან უკან დაიხია. უკანასკნელი დიდი დამარცხება ირანელებმა 555 წ. განიცადეს. ამის შემდეგ ირანმა არჩია ბიზანტიასთან ზავი დაედვა.

562 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის დაიდო ზავი ორმოცდაათი წლის ვადით. ამ ზავის მიხედვით, ირანს ბიზანტიისათვის უნდა დაეთმო მთელი ლაზიკა, მაგრამ არ აძლევდა სვანეთს.

---

[1] პროკოპი კესარიელი, De bello Persico, II, 15; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 45—46; აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 239, 1951, თბილისი.

ერთი სიტყვით, მე-6 საუკუნის მეორე ნახევრიდან ბიზანტია და ირანი სვანეთის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი („ქართველი ერის ისტორია", I, გვ. 261, 1951, თბილისი), ეხება რა ბიზანტიისა და ირანის დავას სვანეთის გამო, აღნიშნავს, რომ ორივე სახელმწიფოს ელჩებმა ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ 563 წ. დასდეს ხელშეკრულება, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ ზავი ორმოცდაათი წლით უნდა ყოფილიყო შეკრული და ირანელები ლაზიკას სავსებით თავს დაანებებდნენ. ამ დროს საცილობელ საგნად გამხდარა სვანეთი.

პროფ. გ. გოზალიშვილმა ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა: „დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის" (თბილ. სახ. უნივერსიტ. შრომები, III, გვ. 214—225, 1936). ამ ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული, თუ ბიზანტია-ირანს შორის საზავო მოლაპარაკების დროს თითოეული მოდავე მხარე რა საბუთს ემყარებოდა, როდესაც ის სვანეთს თავისად თვლიდა.

სვანეთის საკითხს ბიზანტია-ირანის ურთიერთობაში შეეხნენ პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და ირ. ბერაძე („სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ", თბილ. სახ. უნივერს. შრომები, მე-7, გვ. 93—96, 1938, თბილისი). მათი დასკვნით, დავა ბიზანტიასა და ირანს შორის სვანეთის გამო დაიწყო 562 წელს საზავო მოლაპარაკების დროს, სადაც ის უთანხმოების უდიდეს ცეცხლად გადაიქცა. ამ საზავო მოლაპარაკების შედეგად ირანი ბიზანტიას უთმობდა მთელ ლაზიკას, მაგრამ სვანეთის გადაცემაზე უარს აცხადებდა. სვანეთის საკითხი ამ დროს გადაუწყვეტელი დარჩენილა. სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის ურთიერთობაში წამოიჭრა აგრეთვე როგორც 565-ს, ისე 569 წელს, მაგრამ იგი კვლავ გადაუწყვეტელი დარჩა.

ამავე ავტორთა მიხედვით, ბიზანტიას სვანეთი ირანისათვის 575 წ. წაურთმევია, ამიტომ ირანი 590 წ. აწყობს ლაშქრობას სვანეთის დასაპყრობად, რაც წყაროებით არ დასტურდება.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი სვანეთის საკითხს ბიზანტია-ირანის ურთიერთობაში ეხება აგრეთვე „გეორგიკას" მე-4 ტომ-

ში[1]. იგი აქ იცავს ივ აზრს, რომ 590 წელს ირანის სარდალმა ბარამმა გაილაშქრა სვანეთის დასაპყრობად, მაგრამ ბიზანტიის ჯარებმა ირანელები დაამარცხეს და სვანეთი ბიზანტიამ დაიპყრო.

მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება ცნობები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, 590 წლის ბიზანტია-ირანის ომი სულ სხვა ვითარებაში წარმოვადგინოთ, ვიდრე იგი სამეცნიერო ლიტერატურაშია მოცემული.

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა. IV, 1, გვ. 21—26, 1941, თბილისი.

თავი პირველი

ბიზანტია-ირანის ურთიერთობის მიმოხილვა VI საუკუნეში

[330 წ. რომის იმპერიის სატახტო ქალაქად პატარა ბიზანტიონი იქნა აღიარებული. ახალი დედაქალაქის დაარსება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო როგორც რომის იმპერიისათვის, ისე მაშინდელი მსოფლიოსათვის. აღნიშნული ფაქტი იმდროინდელი ქვეყნების საშინაო და საგარეო ურთიერთობაში ახალი ხანის დასაწყისს მოასწავებდა[1].

ბიზანტიონის (კონსტანტინეპოლის) სატახტო ქალაქად გამოცხადება უნდა აიხსნას მისი მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით როგორც სამხედრო, ისე სავაჭრო თვალსაზრისით. იგი მდებარეობდა ბოსფორის ევროპულ ნაპირზე, იმ გზაჯვარედინზე, სადაც თავს იყრიდა ორი სავაჭრო გზა: ერთი ყველაზე უმოკლესი და მოხერხებული ევროპიდან აზიაში მიმავალ გზათა შორის, მეორე—შავი ზღვიდან ეგეოსის ზღვაზე. ბიზანტიონი ზღვიდან თითქმის მიუდგომელი იყო, ხოლო დასავლეთიდან მას იცავდა კედელი.

ამ ფაქტს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ბიზანტია დაუახლოვდა აღმოსავლეთის მდიდარ ქვეყნებს[2], რაც ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას ბიზანტიაში. მართლაც, მოკლე დროის განმავლობაში კონსტანტინეპოლი გახდა დიდი სავაჭრო და საბრეწველო ცენტრი. ამას გარდა იგი ხდება შუამავალი ვაჭრობაში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რაც ბიძგს აძლევდა ბიზანტიის აღმოსავლეთისაკენ მიმართულ ექსპანსიას.

ბიზანტია შუა აღმოსავლეთიდან იღებდა საქონელს, განსაკუთრებით ნედლ აბრეშუმს, რომლისგანაც ქსოვილებს ამზადებდა

---

[1] პროფ. გ. გოზალიშვილი, ბიზანტიისა და ირანის ბრძოლა იბერიალაზიკისათვის VI საუკუნეში, სტალინის სახ. თბილ. სახ. უნივ. შრომები, XXVI, b. გვ. 89, თბილისი, 1944.

[2] Машкин Н. А., История древнего Рима, 1942, стр 631

და დასავლეთში გაჰქონდა. მაგრამ ბიზანტია შუა აღმოსავლეთიდან საქონელს უშუალოდ თვითონ კი არ იღებდა, არაცალ ირანის მეშვეობით. შუა აღმოსავლეთის საქონელი ჯერ ირანში შედიოდა, ხოლო ირანიდან იგი ბიზანტიელ ვაჭრებს მიჰქონდათ. ირანი ამ საქონელს დიდ საბაჟო გადასახადებს ადებდა, რაც მის გაძვირებას და ბიზანტიის წარმოების კრიზისს იწვევდა. ეს კი ბიზანტია-ირანის ურთიერთობას მეტად ართულებდა.

ბიზანტია-ირანის ურთიერთობას ის გარემოებაც ართულებდა, რომ ამ ქვეყნებს როგორც აღმოსავლეთით, ისე ჩრდილოეთით არ გააჩნდათ მტკიცე საზღვრები და აქ მოსახლე ხალხები იმის მიხედვით იცვლიდნენ ორიენტაციას, ამა თუ იმ გარემოებაში ბიზანტიის გავლენას განიცდიდნენ, თუ ირანისას, და, ამრიგად, ხან ირანის, ხან ბიზანტიის მხარეზე გადადიოდნენ. ასეთები იყვნენ: ლაზები, იბერიელები, არაბები, სომხები და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ ყოველთვის არსებობდა ამ ორ დიდ იმპერიას—ირანსა და ბიზანტიას—შორის დიპლომატიური ურთიერთობის გართულების საბაბი, განსაკუთრებით მე-6 საუკუნეში. ამიტომ ბიზანტიასა და ირანს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებას არ ჰქონდა ხოლმე რეალური ძალა და იგი ვადის დამთავრებამდე ირღვეოდა.

იუსტინე პირველის მიერ დადებული ოცდაათწლიანი ზავი ჯერ დამთავრებული არ იყო, რომ იუსტინიანემ განკარგულება გასცა (528 წ.) სიმაგრის აშენების შესახებ ირანის საზღვართან, ნიზიბინის (მესოპოტამიაში) მახლობლად, რაც მიმართული იყო ირანის წინააღმდეგ. ამას მოჰყვა ბიზანტიისა და ირანის ომი მესოპოტამიაში[1]. აქ ირანის ჯარი დამარცხდა. ის იყო ირანი ზავზე უნდა დათანხმებულიყო, რომ არაბთა მეთაურის ალამუნდარის რჩევითა და დახმარებით ირანის ჯარმა დაიწყო სამხედრო მოქმედება მესოპოტამიის სამხრეთით და შეიპრა სირიაში (531 წ.). მაგრამ ამ დროს ირანის მეფე კავადი გარდაიცვალა და მისმა მემკვიდრემ ხოსრომ ზავი ითხოვა. ზავი ბიზანტიისათვის საჭირო იყო, რადგან იგი დასავლეთში ომების საწარმოებლად ემზადებოდა. მაშასადამე, ორივე სახელმწიფოსათვის ზავი ხელსაყრელი იყო. 532 წ. ბიზანტიასა და ირანს შორის დაიდო ზავი, „საუკუნო ზავის“ სახელწოდებით.

მართალია, ეს ზავი „საუკუნო ზავის“ სახელწოდებას ატარებდა, რადგან იგი თითქოს არასდროს არ უნდა დაღვეულიყო, მაგრამ, როგორც არსებული ვითარება გვიჩვენებს, იგი არ შეიძ-

---

[1] Ф. Ю. Успенский, акад., История византийской империи, I, стр. 483.

ლება დიდხანს ყოფილიყო დაცული. ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ იუსტინიანეს სარდლებმა აფრიკასა და იტალიაში გამარჯვებებს მიაღწიეს, რითაც ბიზანტია მეტად გაძლიერდა, ამან კი იუსტინიანეს მსოფლიოს დაპყრობის გეგმებს ფრთები შეასხა.

ბიზანტიის სახელმწიფო იუსტინიანეს დროს უკანასკნელად შეეცადა რომის იმპერიის რესტავრაციას მის ძველ საზღვრებში: იგი ცდილობდა დაშლილი მონათმფლობელური ფორმაციის ბაზისის გამაგრებას. ამ მიზნით იუსტინიანეს სარდლებმა როგორც იტალიაში, ისე ჩრდილოეთ აფრიკაში აწარმოეს დიდი ბრძოლები და ეს ქვეყნები ბიზანტიას დაუმორჩილეს.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ ბიზანტიის მაშინდელი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება.

რომის იმპერიის მონათმფლობელური წყობილების კრიზისისა და ჩაგრული მასების, მონებისა და კოლონების რევოლუციური მოძრაობის შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა III საუკუნეში, IV საუკუნიდან მეღავნდება აღმოსავლური ოლქების ეკონომიური და პოლიტიკური გამოცალკევება, რაც დამთავრდა რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფით: დასავლეთ რომის იმპერია და აღმოსავლეთ რომის იმპერია, ანუ ბიზანტია; ეს მოხდა 395 წ.

აღმოსავლეთ რომის იმპერია, ისევე როგორც დასავლეთ რომის იმპერია განიცდიდა მონათმფლობელური ფორმაციის ღრმა კრიზისს, რაც იწვევდა მონებისა და კოლონების დიდ აჯანყებებს; ამას ერთვოდა აგრეთვე „ბარბაროსთა“ შემოსევები, რომლებმაც დაანგრიეს რომის იმპერია,—„არა რომაელები, ე. ი. ყველა „ბარბაროსები“, გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და ზათქით და ზარით დაამხეს რომი“[1].

თუ დასავლეთში დიდი ხნის დაწყებული მონათმფლობელური წყობილების ნგრევა დასრულდა V საუკუნეში, აღმოსავლეთში მისი ნგრევის პროცესი გაგრძელდა და სხვანაირი ფორმა მიიღო. ამის მიზეზი იყო აღმოსავლეთი პროვინციების თავისებური სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება. IV და V საუკუნეებში დასავლეთ რომის იმპერიაში მონათმფლობელური წყობილების კრიზისმა გამოიწვია ეკონომიური დაცემა, რაც გამოიხატა სოფლის მეურნეობისა და საქალაქო ცხოვრების დაქვეითებით; ასეთ მოვლენას აღმოსავლეთში მცირე მნიშვნელობა ჰქონდა. ამ

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოცემა, გვ. 548, 1951, თბილისი.

დროს აღმოსავლეთში როგორც ხელოსნობა, ისე ვაჭრობა დასავლეთთან შედარებით კარგად იყო განვითარებული და, მაშასადამე, საქალაქო ცხოვრებაც შესაფერის დონეზე იდგა.

აღმოსავლეთ რომის იმპერიის, ე. ი. ბიზანტიის აგრარული წყობაც თავისებური იყო. მართალია, ბიზანტიაში IV და V საუკუნეებში მონები სოფლის მეურნეობაში დიდ როლს ასრულებდნენ, მაგრამ ისინი ისხდნენ მიწის ცალკე ნაკვეთებზე და თავიანთი მდგომარეობით უახლოვდებოდნენ კოლონებს. კოლონები, რომელნიც საშუალო საუკუნეების ყმების წინამორბედნი იყვნენ, მეურნეობაში სათანადო როლს ასრულებდნენ. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის იმდროინდელ მეურნეობაში დიდ მონაწილეობას იღებდა თავისუფალი გლეხობა, გავრცელებული იყო აგრეთვე პატრონატი. მიწათმფლობელთა გაძლიერება, კოლონატისა და პატრონატის გავრცელება მოწმობს აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ფეოდალური ელემენტების ჩასახვას მონათმფლობელური წყობილების წიაღში.

IV და V საუკუნეებში როგორც ბალკანეთში, ისე მცირე აზიაში ადგილი ჰქონდა მონების, კოლონებისა და „ბარბაროსთა“ აჯანყებებს. მაგრამ აღმოსავლეთ რომის იმპერიის მმართველნი, შეთანხმებულნი ქალაქის სავაჭრო წრეებთან, აღმოჩნდნენ ისე ძლიერნი, რომ მათ არა თუ გაუძლეს ამ აჯანყებებს, პირიქით, გადავიდნენ შეტევაზე, ცდილობდნენ რა, დასავლეთში აღედგინათ ძველი რომის მონათმფლობელური იმპერია.

ამ მიზნით იუსტინიანეს სარდლებმა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩრდილოეთ აფრიკასა და იტალიაში აჯანყებული მონებისა და კოლონების წინააღმდეგ აწარმოეს დიდი ბრძოლები, რაც მონათმფლობელთა კლასის დროებით გამარჯვებით დამთავრდა[1].

იუსტინიანეს ხანას მიეკუთვნება მონათმფლობელთა კლასის უკანასკნელი ცდა, დაეცვა არსებული წყობილება ბიზანტიაში და მოეხდინა მონათმფლობელური ურთიერთობის რესტავრაცია რომის იმპერიის ფარგლებში. ამავე დროს, ეს იყო ხანა, როდესაც მონათმფლობელური წყობილების წიაღში იზრდებოდა და ვითარდებოდა ფეოდალური ფორმაციის ჩანასახები, იქმნებოდა ფეოდა-

---

[1] Удальцова З. В., Политика византийского правительства в Северной Африке при Юстиниане, „Византийский Временник“, VI, 1953, стр. 88—112; Машкин Н. А., К вопросу о революционном движении рабов и колонов в Римской Африке, „Вестник древней истории“ (ВДИ), 1949, № 4.

ლური მიწის საკუთრების ელემენტები, რომლებიც უნდა გახდნენ, როგორც აღნიშნავს ი. ბ. სტალინი თავის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", „ფეოდალიზმის საფუძველად"[1].

მიუხედავად მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობის დაშლისა და ფეოდალური ელემენტების ჩასახვისა, აღმოსავლეთ რომის იმპერიის სახელმწიფო VI საუკუნეში ჯერ კიდევ რჩებოდა მონათმფლობელური. საჭირო იყო კიდევ ერთი საუკუნის მანძილზე ჩაგრული მასების შეუდრეკელი ბრძოლა და მეზობელი ტომების, განსაკუთრებით სლავთა ტომების შემოსევები, რათა საბოლოოდ დაშლილიყო მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობანი და ამასთან შეცვლილიყო ზედნაშენის, პირველ რიგში სახელმწიფო წყობილების ხასიათი.

ბიზანტიის სახელმწიფოს მმართველთა ზემოაღნიშნული პოლიტიკა ზედნაშენის აქტიური როლის გამოსახულებაა ბაზისის მიმართ, რის შესახებაც ი. ბ. სტალინი აღნიშნავს თავის ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები"[2].

როგორც აღვნიშნეთ, იუსტინიანეს სარდლებმა აფრიკა და. იტალია საესებით დაუმორჩილეს ბიზანტიას, რის შემდეგ იუსტინიანემ შესძლო თავისი სამხედრო ძალები უკვე აღმოსავლეთში გაღმოეყვანა.

როდესაც ბიზანტიამ დასავლეთის საქმეები მოაწესრიგა, მან თავისი მახვილი ირანის წინააღმდეგ მიმართა. ამ მიზნით მან სამხედრო კავშირი შეკრა შუა აღმოსავლეთში მცხოვრებ თურქებთან იმ იმედით, რომ დასავლეთიდან ბიზანტიის ჯარი და აღმოსავლეთიდან თურქთა ძალები შესძლებდნენ ირანის სავსებით დამორჩილებას, რითაც ბიზანტიის ვაჭრობას შუა აღმოსავლეთისაკენ ფართო გზა გაეხსნებოდა.

ხოსროსაც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ იუსტინიანეს მსოფლიოს დაპყრობის გეგმები ადრე თუ გვიან ირანის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული[3]. ამასვე ადასტურებს ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებულ არმენიელთა მიმართვა ხოსროსადმი. პროკოპი კესარიელის[4] ცნობით, არმენიელთა ელჩები ხოსროს

---

[1] ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1953, გვ. 45.

[2] ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951, გვ. 5. თბილისი.

[3] III. Диль, Юстиниан и византийская цивилизация в VI веке, стр. 220.

[4] პროკოპი კესარიელი, De bello Persico, II, 3; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, ბეორგიკა. II, გვ. 42, 1934, თბილისი.

ეუბნებიან: „როგორც კი... მან (იუსტინიანემ) შეატყო, რომ დასავლელთა დაპყრობა თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, უკვე ხელი მიჰყო აღმოსავლელთა, ე. ი. თქვენს დევნას, ვინაიდან მხოლოდ სპარსელთა სახელმწიფო დარჩა მას დასაპყრობი“.

მაგრამ იუსტინიანეს ასეთ ზრახვებს თვით ხოსროს მხრივაც მსგავსივე მისწრაფებები ეჯახებოდა.

ამ მისწრაფებებს პროკოპი კესარიელი[1] გადმოგვცემს ლაზთა ელჩების სიტყვებით. ისინი ხოსროს მოახსენებენ, რომ თუ ირანი ლაზიკას თავის მფარველობის ქვეშ მიიღებს, მაშინ იგი ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდება და „აქ თუ ხომალდებს ააგებთ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო“.

ირანისათვის, ბიზანტიის წინააღმდეგ მომავალი იერიშების დროს, მართლაც, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლაზიკის დაპყრობას. ლაზიკის დაპყრობით ირანი გადიოდა შავ ზღვაზე, სადაც მდებარეობდა სავაჭრო ცენტრი პეტრა. ლაზიკაში განმტკიცებით ირანს ადვილად შეეძლო იერიში მიეტანა ბიზანტიის პროვინციებზე: კაპადოკიაზე, გალატიასა და ბითვინიაზე, საიდანაც ბიზანტია ნედლეულს ღებულობდა. ლაზიკის დაპყრობით ირანი მტკიცდებოდა იბერიაში, სადაც მოსალოდნელი იყო აჯანყება[2]. ყოველივე ეს ბიზანტიას საშიშროებას უქმნიდა.

მიუხედავად ბიზანტიასა და ირანს შორის „საუკუნო ზავის“ არსებობისა, ბიზანტია დიპლომატიურ ბრძოლას აწარმოებდა ირანის წინააღმდეგ როგორც აღმოსავლეთში, ისე კავკასიაში. ასევე ირანიც ცდილობდა ბიზანტიისათვის სათანადო წინააღმდეგობა გაეწია. ერთი სიტყვით, დიპლომატიური ბრძოლა ირანსა და ბიზანტიას შორის არ შეწყვეტილა თვით ზავის დროსაც.

ბიზანტია-ირანის ურთიერთობას შემდეგი გარემოებაც ართულებდა: ბიზანტიას საქონელი შეეძლო მიეღო არა მარტო სახმელეთო გზით, ირანის მეშვეობით, არამედ ზღვითაც. ინდოეთის საქონელი სპარსეთის ყურეთი მოდიოდა მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის შესართავთან, და იქიდან კი—სირიასა და ეგვიპტეში. მაგრამ, აღნიშნული საზღვაო გზაც ირანის ხელში იყო. რაც ბიზანტია-ირანის ურთიერთობას კიდევ უფრო ართულებდა. იუსტინიანე ცდილობდა ბიზანტიის ვაჭრობა როგორმე გაეთავისუფლებინა

---

[1] პროკოპი კესარიელი, De bello Persico, II, 15; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 52, 1954, თბილისი; ს. ჯანაშია, შრომები I, გვ. 52, 1949, თბილისი.

[2] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, 1934, გვ. 65 (იხ. შენიშვნა).

ირანის შუამავლობისაგან, სხვა გზა გამოენახა და ირანი გზიდან ჩამოეცილებინა. ბიზანტიელებმა რომაელების ძველ, ნაცად საზღვაო გზას მიმართეს.

ძველი დროიდანვე ცნობილი იყო საზღვაო გზა ინდოეთის ოკეანეზე—ირანის ყურესა და მეწამულ ზღვაზე გავლით. ამათგან ბიზანტიისათვის მნიშვნელოვანი იყო მეწამული ზღვა თავისი ნავსადგურებით. მეწამულ ზღვაზე მდებარე ნავსადგურები იმ დროს სამხრეთ არაბეთსა და ეთიოპიას ეპირა; ამიტომ ბიზანტიის დიპლომატიის ყურადღება აქეთ იყო მიმართული, მითუმეტეს, რომ ამ ნავსადგურებში ყოფნა უხდებოდათ ბიზანტიის სავაჭრო ხომალდებს.

ბიზანტია, მეწამულ ზღვაზე სავაჭრო ხომალდების თავისუფალი მიმოსვლისა და ინდოეთიდან საქონლის დაუბრკოლებელი მიღების უზრუნველსაყოფად, უკავშირდება ეთიოპიასა და სამხრეთ არაბეთს. ეთიოპიას შეეძლო ბიზანტიისათვის მიეცა ის საქონელიც, რომელსაც იგი შოულობდა ცენტრალურ აფრიკაში და მის აღმოსავლეთ ნაპირებზე.

ძველთაგანვე ცნობილი იყო რომის იმპერიის გავლენა ეთიოპიასა და არაბეთის ნახევარკუნძულზე. ეთიოპია განთქმული იყო თავისი ფლოტითა და ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობით. მართალია, იგი კონკურენციას ვერ უწევდა ირანის ვაჭრობას, მაგრამ ამ მხრივ მაინც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. არაბეთიც მნიშვნელოვანი იყო თავისი სახმელეთო სავაჭრო გზებითა და ნავსადგურებით. არაბეთი იმ დროს წვრილი სახელმწიფოებისაგან შედგებოდა. ამათგან გამოირჩეოდა ჰომერიტების სახელმწიფო, სადაც ძლიერი იყო ბიზანტიის გავლენა, რადგან აქ ქრისტიანობაც იყო გავრცელებული და ირანის გავლენა ნაკლები იყო. ბიზანტიის დიპლომატიის ყურადღებაც სწორედ აქეთ იყო მიმართული.

პროკოპი კესარიელის[1] ცნობით, იუსტინიანემ ჰომერიტებთან და ეთიოპიელებთან ელჩად გაგზავნა იღლიანე, რომელსაც მათთან ურთიერთობა უნდა დაემყარებინა.

ნ. ვ. პიგულევსკაიას[2] გარკვევით, ბიზანტიამ რამდენჯერმე გაგზავნა ელჩები ეთიოპიასა და არაბეთში. 525 წლიდან

---

[1] პროკოპი კესარიელი, De bello Persico, I, 20; აგრეთვე პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 254, 1936.

[2] Пигуловская Н. В., Византия на путях в Индию, стр. 327, М. Л. 1951.

543 წლამდე ხუთჯერ ჰქონია ადგილი ბიზანტიის დიპლომატიის ასეთ ცდას, რაც ყოველთვის ირანის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მაშასადამე, ბიზანტიის დიპლომატია მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში ცდილობდა, სამხედრო და საავჭრო ურთიერთობა განემტკიცებინა სამხრეთ არაბეთთან და ეთიოპიასთან. ამით მას სურდა უზრუნველეყო ვაჭრობის გაფართოება როგორც მეწამულ ზღვაზე, ისე სამხრეთ არაბეთში; ამით აღნიშნული მხარეები ბიზანტიის გავლენის სფეროში ექცეოდნენ და ამათ შორის მჭიდრო ურთიერთობა მყარდებოდა.

ზემოგანხილული მასალიდან ჩანს, რომ ბიზანტიასა და ირანს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო არა მხოლოდ დროის რომელიმე განსაზღვრულ მონაკვეთზე, არამედ ამ სახელმწიფოთა არსებობის მთელ მანძილზე, არა მარტო რომელიმე განსაზღვრული ტერიტორიის გამო, არამედ მთელი იმ ტერიტორიების გამო, სადაც კი მათი საზღვრები ერთმანეთს ეხებოდა, ან მათი ეკონომიური ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდა—დაწყებული ლაზიკით და გათავებული არაბეთით. ბიზანტიასა და ირანს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო არა მარტო ომის დროს, არამედ თვით მშვიდობიანობისა და ზავის დროსაც.

ბუნებრივია, რომ ბიზანტია-ირანის ურთიერთობის ასეთ ვითარებაში არც სვანეთის საკითხი იქნებოდა ადვილი მოსაწესრიგებელი. მართლაც, სვანეთის საკითხმა, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, 562 წლის ბიზანტია-ირანის საზავო მოლაპარაკების დროს მწვავე დავა გამოიწვია. სვანეთის საკითხი სამჯერ იყო დასმული ბიზანტია-ირანის საზავო მოლაპარაკების დროს, მაგრამ იგი გადაუწყვეტელი დარჩა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიზანტიასა და ირანს შორის სვანეთის საკითხის გამო დავის გამწვავების ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ სახელმწიფოების ურთიერთობა იმ დროს მეტად დაძაბული იყო, რაც სვანეთის საკითხზე სათანადო გავლენას ახდენდა, მის მოწესრიგებას ართულებდა.

თავი მეორე

ბიზანტია-ირანის დიპლომატიური ურთიერთობა სვანეთის საკითხის გამო

ბიზანტიასა და ირანს შორის აღმოსავლეთში ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარბიელი იყო ძველი საქართველო (იბერია და ლაზიკა). იმპერიათა შორის ამ ნიადაგზე ქიშპობა და ბრძოლა ბიზანტინიზმის ხანაში არ დაწყებულა. ეს დაიწყო მაშინ, როდესაც პომპეუსმა დაიპყრო იბერია და ლაზიკა (65 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

ხანგ, I-დან VII საუკუნემდე, ერთი მხრივ ირანსა, ხოლო მეორე მხრივ, ჯერ რომსა და მერე კი ბიზანტიას შორის გამწვავებული ბრძოლითა და ქიშპობით ხასიათდებოდა. ირანი და ბიზანტია ერთმანეთს საქართველოში გაბატონებისათვის ეცილებოდნენ: თითოეულს სურდა მისი ერთადერთი მფლობელი გამხდარიყო.

აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს[1] ცნობით ირანის მეფემ ნარსემ (293—302 წწ.) ომი აუტეხა რომაელებს იბერიის გამო, მაგრამ ირანელები დამარცხდნენ და ქ. ნიზიბინში დადებული ხელშეკრულების ძალით იბერია კელავ რომის მფარველობის ქვეშ დარჩა.

ირანს უმთავრესად ის აწუხებდა, რომ ქრისტიანობა ადვილად ვრცელდებოდა როგორც იბერიაში, ისე ლაზიკაში. სარწმუნოება კი მაშინ პოლიტიკურ ორიენტაციაზე სათანადო გავლენას ახდენდა. ირანი ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში დიდ ყურადღებას აქცევდა, მითუმეტეს, რომ იგი სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად იქცა იბერიაში 337 წელს, ხოლო ლაზიკაში—522 წელს.

ბიზანტიასა და ირანს შორის ლაზიკისათვის ქიშპობისა და ბრძოლის გამწვავება სწორედ 522 წელს იწყება, როდესაც ლაზიკის მეფე წათე ბიზანტიაში წავიდა და იქ ქრიტიანობა მიიღო.

---

[1] აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 175, 1951, თბილისი.

ი ო ა ნ ე მ ა ლ ა ლ ა ს[1] ცნობით, 522 წლის მახლობლად ლაზიკა ირანის გავლენის სფეროში შედიოდა. როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, ახალ მეფეს სპარსეთის მეფე ნიშნავდა— უსათუოდ ლაზთა ტომიდან. მაგრამ, როდესაც ლაზთა მეფე დამნაზე გარდაცვლილა, მის შვილს წათეს ლაზიკის ძველი ორიენტაცია შეუცვლია: ირანისათვის ზურგი შეუქცევია და ბიზანტიაში ქრისტიანობა მიუღია; იუსტინე I-ს იგი ლაზეთის მეფედ დაუნიშნავს და მისთვის მიუცია სამეფო ნიშნები; წათეს ცოლად შეურთავს ბიზანტიელი ქალი, პატრიკიოს ნომეს ასული, და გაქრისტიანებული სამშობლოში დაბრუნებულა.

ლაზიკაში ქრისტიანობა ადრევე იყო გავრცელებული, ხოლო წათეს გაქრისტიანებით იგი სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად იქნა აღიარებული. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ლაზიკამ ირანის ორიენტაციაზე ხელი აიღო და დაუკავშირდა ბიზანტიას, ე. ი. ირანმა მოკავშირე დაკარგა, ხოლო ბიზანტიამ იგი შეიძინა.

რასაკვირველია, ლაზიკის დაკარგვას ირანი ადვილად ვერ შეურიგდებოდა. იმავე მ ა ლ ა ლ ა ს[2] ცნობით ირანის მეფე კავადს ელჩის პირით შეუთვლია იუსტინესთვის: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის მეგობრობაა და ზავია შეკრული, შენ ჩემს ქვეშევრდომს მართმევო. ბიზანტიის კეისარს კი შეუთვლია, რომ მას არავისთვის ქვეშევრდომი არ წაურთმევია, მხოლოდ მასთან მივიდა წათე, რომელმაც თავისი თხოვნით ქრისტიანობა მიიღო და თავის ქვეყანაში დაბრუნდაო. ეს პასუხი, რასაკვირველია, კავადს არ დააკმაყოფილებდა. ის ფიქრობდა ლაზიკის დაბრუნებას იარაღის საშუალებით. ლაზიკაში ომის საწარმოებლად საჭირო იყო, რომ ირანი იბერიაში კარგად განმტკიცებულიყო.

იბერიაში ქრისტიანობის გავრცელებას ირანი ექვის თვალით უყურებდა, რადგან ბიზანტიას ადვილად შეეძლო იბერია თავის მხარეზე გადაებირებინა, როგორც ეს მოხდა ლაზიკაში. ამიტომ კავადმა იბერიაში ქრისტიანობა აკრძალა და მოსახლეობას უბრძანა ცეცხლთაყვანისმცემლობა მიეღო. ამ საბაბით იბერიაში მოხდა აჯანყება (523 წ.), რომელიც დამარცხდა. იბერიის მეფე გურგენი ლაზიკაში გადავიდა, ხოლო იქედან ბიზანტიაში ჩავიდა. იბერიაში მეფობა მოისპო და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ირანმა ჩაიგდო ხელში.

---

[1] პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, III, გვ. 263—264, 1936, თბილისი.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 266—267.

ირანის მიერ იბერიაში მიღებული ზომები ბიზანტიის წინააღმდეგ ომისათვის მზადებას ნიშნავდა. მართლაც, ირანის მეფე კავადი 528 წ. თავს დაესხა ლაზიკას, მაგრამ ლაზებმა ბიზანტიელთა ჯარების დახმარებით ირანელები უკუაგდეს[1].

ამის შემდეგ ბიზანტიის პოლიტიკა ლაზიკის მიმართ შეიცვალა: თუ წინათ ბიზანტია-ლაზიკის ურთიერთობა მოკავშირეობით განისაზღვრებოდა, ახლა ეს პოლიტიკა აღარ გამოდგებოდა. ბიზანტია ლაზიკის დასაცავად უნდა მომზადებულიყო. მართლაც, იუსტინიანემ ლაზიკაში მუდმივი ჯარი ჩააყენა; მან შავი ზღვის ნაპირას მდებარე ციხე პეტრა[2] გაამაგრა და კედელი შემოავლო. აქ იმყოფებოდა ბიზანტიის ჯარების მხედართმთავარი იოანე ცივიც. ბიზანტიელები ერეოდნენ ლაზიკის შინაურ საქმეებში და ამით მეფის უფლებას ამცირებდნენ. ამას გარდა ბიზანტიელებმა ლაზიკაში ვაჭრობის მონოპოლია შემოიღეს. ყოველივე ამან ლაზიკაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და საქმე აჯანყებამდე მივიდა[3]. ლაზიკამ გადაწყვიტა ორიენტაცია შეეცვალა და პირი ირანისაკენ ებრუნებინა.

ბიზანტიელებით უკმაყოფილო ლაზებმა საიდუმლოდ ელჩები გაუგზავნეს ხოსროს. ისინი ხოსროს თხოვდნენ დახმარებას ბიზანტიელების ლაზიკიდან გასაძევებლად და ერთგულებას აღუთქვამდნენ[4]. ხოსროსაც, რასაკვირველია, ეს უნდოდა და საომარ მზადებას შეუდგა.

542 წელს დაირღვა ბიზანტიასა და ირანს შორის დადებული „საუკუნო ზავი". ხოსრო დიდი ჯარით შეიჭრა ლაზიკაში. ირანის ჯარს წინ ლაზი მეგზურები მიუძღოდნენ.

შუა ლაზიკაში ხოსროს მიეგება მეფე გუბაზი. იგი ეთაყვანა ხოსროს „როგორც ბატონს, და თავისი თავი სამეფო ძალაუფლებითურთ და მთელი ლაზიკა გადასცა მას"[5]. რადგანაც რომაელთა მთავარი სამხედრო ძალა პეტრაში იყო დაბანაკებული, ამიტომ პირველ რიგში ამ ციხე-ქალაქის აღება იყო საჭირო. პეტრა აღებულ იქნა და შიგ ირანის ჯარი ჩადგა.

---

[1] აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 244, 1951, თბილისი.

[2] აკად. ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 29—44, 1949, თბილისი.

[3] აკად ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 248—249, 1951, თბილისი.

[4] პროკოპი კესარიელი, De bello Persico, II, 15; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 52—53, 1934; აკად. ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 52, 1949.

[5] პროკოპი კესარიელი, De bello Persico, II, 17; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 54, 1934. თბილისი.

ირანელების საქმე ლაზიკაში პირველად კარგად მიდიოდა. მაგრამ, ხოსრო ლაზებს და თვით გუბაზს არ ენდობოდა. ხოსროს გადაწყვეტილი ჰქონდა მთლიანად აეყარა ლაზები და მათ მიწა-წყალზე ირანელები და სხვა ხალხები დაესახლებინა[1]. ამ მიზნის განსახორციელებლად ხოსრომ ლაზიკის მეფის გუბაზის მოშორება—მოკვლა განიზრახა, მაგრამ ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ეს ამბავი მალე გამომჟღავნდა და ლაზების ორიენტაციის საკითხი უკვე საბოლოოდ გაირკვა—ლაზიკა გუბაზის მეთაურობით გარკვევით ბიზანტიის ორიენტაციაზე დადგა. ამან კი ომზე სათანადო გავლენა მოახდინა.

ახლა ბიზანტიის ჯართან ერთად იბრძოდა ლაზების ჯარი. ირანელებმა უკვე ზედიზედ იგემეს დამარცხება.

მართალია, ამ დროს ირანის ჯარმა შავი ზღვის სანაპირომდე მიაღწია, მაგრამ აქ ფეხი ვეღარ მოიკიდა, ბიზანტიელებისა და ლაზების მხრივ დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და თანდათან უკან დაიხია. უკანასკნელი დიდი დამარცხება ირანის ჯარმა 555 წ. განიცადა.

ომის ამგვარი მსვლელობის გამო ირანმა ბიზანტიასთან შერიგება არჩია. 556 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის დაიდო დროებითი ზავი, ხოლო 562 წ. შეიკრა საზავო ხელშეკრულება ორმოცდაათი წლის ვადით.

მაშასადამე, ირანის ცდა დაეპყრო ლაზიკა, გასულიყო შავ ზღვაზე და ბიზანტიისათვის ჩრდილოეთიდან საშიშროება შეექმნა, მხრცხით დამთავრდა.

ამ ზავის მიხედვით, ირანი ხელს იღებდა მთელ ლაზიკაზე, სვანეთს კი არ თმობდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი წინათ ლაზიკის ნაწილს შეადგენდა. ერთი სიტყვით, 562 წ. ბიზანტია-ირანის საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთი ხდება საცილობელ საგნად. ამ ხნიდან მოკიდებული სვანეთის საკითხის ირგვლივ გაჩაღდა დიპლომატიური ბრძოლა.

---

[1] პროკოპი კესარიელი, De bello Persico, II, 28; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, ჟურნალი, II, გვ. 64—65, 1934, თბილისი.

საინტერესოა, თუ რა ურთიერთობაში იყო სვანეთი ამ დროს ლაზიკასთან. ამ მხრივ საყურადღებოა მ ე ნ ა ნ დ რ ე ს ცნობები.

მ ე ნ ა ნ დ რ ე ს[1] მიხედვით, ლაზიკა სვანეთიანად ემორჩილებოდა ბიზანტიას. ლაზიკის მეფე ნიშნავდა სვანთა მთავარს, რომელსაც ამტკიცებდა ბიზანტიის კეისარი. ლაზთა მეფე სვანეთისაგან იღებდა განსაზღვრულ ხარკს: ტყავეულობას, თაფლს, ცვილს და სხვ.

მაგრამ 552 წლის მახლობელ ხანებში სვანეთი ჩამოშორდა ლაზიკას და ირანის მფლობელობაში გადავიდა. მ ე ნ ა ნ დ რ ე ს[2] სიტყვით, სვანეთის განდგომა ლაზთაგან მოხდა მაშინ, როდესაც ლაზიკაში ბიზანტიის ჯარის სარდლად იყო მარტინე, ხოლო მეფედ—გუბაზი.

ამ დროს ირანი ბიზანტიის წინააღმდეგ ლაზიკაში დიდ ომს აწარმოებდა. ომის მიმდინარეობისას მარტინესა და გუბაზს შორის ჩამოვარდა უთანხმოება, რის გამო ლაზებმა ვერ მიაწოდეს სვანებს სურსათი, რომელსაც წინათ ყოველწლიურად უგზავნიდნენ მათ. ამით უკმაყოფილო სვანები ლაზებს განუდგნენ და ირანელებს მიეკედლნენ. ეს ამბავი 552 წლის ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო, რადგან 562 წლის საზავო მოლაპარაკების დროს ირანის მეფემ ხოსრომ განაცხადა, რომ იგი ათი წელია, რაც ფლობს სვანეთს.

562 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის საზავო მოლაპარაკება გაიმართა ქალაქ დარაში. სვანეთის საკითხი საზავო მოლაპარაკების დროს პირველად ბიზანტიელებმა დააყენეს, მაგრამ იგი გადაუწყვეტელი დარჩა[3].

თუმცა ირანმა მთლიანად ხელი აიღო ლაზიკაზე, მაგრამ სვანეთს არასგზით არ თმობდა იმ მოტივით, რომ სვანეთი მას კი არ დაუპყრია, არამედ იგი თავისი ნებით შეუერთდა ირანს. ელ-

---

[1] მ ე ნ ა ნ დ რ ე, ფრგმ. 11; პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, III, გვ. 225, 1936, თბილისი.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 214.

[3] მ ე ნ ა ნ დ რ ე, ფრგმ. 11; პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, III, გვ. 213—216, 1936, თბილისი.

ჩებმა ბევრი იდავეს სვანეთის საკითხზე. თითოეული მხარე ცდილობდა თავის სიმართლეში დაეჯერებინა მოწინააღმდეგე. მოდავე მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და გადაწყვიტეს ეს საკითხი თვით ხოსროს განეხილა[1].

ამ მიზნით ბიზანტიის ელჩი პეტრე მიდის ბითარმაისში, სადაც ირანის მეფე ხოსრო იმყოფებოდა. აქ იმართება ხელახალი საზავო მოლაპარაკება. ირანის მეფემ ხოსრომ და ბიზანტიის ელჩმა პეტრემ ბევრი ილაპარაკეს და იდავეს სვანეთის საკითხის ირგვლივ, მაგრამ იგი მაინც გადაუწყვეტელი დარჩა[2].

ამ საზავო მოლაპარაკების მსვლელობიდან ნათლად ჩანს, რომ ბიზანტიის ელჩს პეტრეს სვანეთის საკითხი მეტად მწვავე საკითხად მიაჩნდა. მისი აზრით, სვანეთის საკითხში შეუთანხმებლობას შეეძლო გაემწვავებინა ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობა და იგი უთანხმოების უდიდეს ცეცხლად გადაექცია.

პეტრე ასე მიმართავს და ეუბნება ხოსროს:

„ἐπεὶ οὖν τὸ ζέον τοῦ πολέμου κατέσβεσται νῦν ἡμῖν καὶ ὥσπερ ἀνεπνεύσαμεν, εἷς δὲ μόνος ὑπολείπεται σπινθήρ, φημὶ δὲ σπινθῆρα κακῶν τὴν Σουανίαν, ἀπειλοῦσαν ἡμῖν μεγίστην ἔσεσθαι δυσμενείας ἐμπύρωσιν, γενοῦ κωλύμα τῶν δεινῶν καὶ προκατάπαυσον ἡμῖν ἐλπίδα τῶν κακῶν. ἐν σοὶ γὰρ τῶν ἀμηχάνων τὸν πόρον ἀνεθέμεθα, μηχανησαμένῳ τὰ δέοντα. μία γάρ τίς ἐστι τελεωτάτη τοῦ πολέμου κατάλυσις τὸ προστεθῆναι καὶ Σουανίαν ἡμῖν, εἴπερ Λαζικῆς κύριοι καθεστήκαμεν. ὁ γὰρ δεσπόσας τοῦ ἡγεμονικοῦ πῶς οὐχ ἕξει τὸ ὑποβεβηκός“.

„მის შემდეგ, რაც ჩავაქრეთ ომის ალი და თითქოს თავისუფლად ამოვისუნთქეთ, მხოლოდ ერთი ნაპერწკალილა დარჩა: ბოროტებათა ნაპერწკლად მე ვგულისხმობ სვანეთს, რომელიც გვემუქრება ჩვენ, რომ უდიდესი უთანხმოების ცეცხლად გადიქცევა; შეაჩერე უბედურება და წინდაწინვე გაგვათავისუფლე მოსალოდნელ ბო-

---

[1] მ ე ნ ა ნ დ რ ე, ფრგმ. 11: პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, III, გვ. 216, 1936, თბილისი.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 214—226.

როტებათაგან, გამოსავალს მძიმე მდგომარეობიდან ჩვენ ვამყარებთ შენზე, რომელმაც მოიხელოვნე საჭირო საქმეები, ერთი-ღა დარჩა უკანასკნელი დასკვნა ომისა, სახელდობრ, რომ, თუ ჩვენ უკვე ლაზიკის უფალნი გავხდით, სვანეთიც მოგვემატოს. ვინაიდან, ვინც განმგებელს ჰფლობს, ნუთუ მისი არ უნდა იყოს იმისი ხელქვეითიც"[1].

ბიზანტიის ელჩის პეტრეს სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სვანეთს ბიზანტიისათვის; რამდენად დიდ საჭიროებას წარმოადგენდა, რომ სვანეთი ბიზანტიის ხელში ყოფილიყო; ყოველივე ეს გათვალისწინებული ჰქონდა ხოსროსაც; ამიტომ იყო, რომ ირანი მთელ ლაზიკას უთმობდა ბიზანტიას, ხოლო სვანეთის გადაცემაზე ყოველთვის უარს აცხადებდა.

მიუხედავად იმისა, რომ პეტრეს ელჩობამ ირანში უშედეგოდ ჩაიარა, ბიზანტიას მაინც არ შეუწყვეტია ცდა სვანეთის დაბრუნებისა.

565 წელს ბიზანტიაში გამეფდა იუსტინე II, რომელმაც მაშინვე სცადა სვანეთის დაბრუნება. მან ირანში გაგზავნა იოანე კომენტიოლე, რომელსაც უნდა ეცნობებინა ირანის მეფისათვის იუსტინეს ტახტზე ასვლა და ამავე დროს, თუ შემთხვევა მიეცემოდა, ლაპარაკიც ჩამოეგდო სვანეთის საკითხზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სასყიდელიც გაეღო მის დასაბრუნებლად"[2]; მაგრამ ამ ელჩობამაც უშედეგოდ ჩაიარა. ასევე უშედეგო იყო ბიზანტიის დიპლომატიის ცდა სვანეთის დაბრუნებისა 569 წელსაც.

შემდეგი საზავო მოლაპარაკება ბიზანტიასა და ირანს შორის გაიმართა 576—577 წწ., რაც აღწერილი აქვს მენანდრეს[3].

572 წელს იბერიასა და სომხეთში ირანის წინააღმდეგ მოხდა აჯანყება, რომელიც მოწყობილი იყო ბიზანტიის დახმარებით. ამ

---

[1] მენანდრე. ფრგმ. 11; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 218—219, 1936, თბილისი.

[2] მენანდრე. ფრგმ. 15; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა. III, გვ 228. 1936, თბილისი.

[3] იქვე. გვ. 243—249.

აჯანყების შედეგად გამართულ (576—577 წწ.) საზავო მოლაპარაკებაზე საკითხი იდგა სომხეთიდან და იბერიიდან ბიზანტიის ჯარების გაყვანისა და დარას ციხიდან ირანელების გასვლის შესახებ. ამ დროს სვანეთის საკითხი განსახილველად არ დასმულა.

ეს უკანასკნელი გარემოება პროფ. ს. ყაუხჩიშვილსა და ირ. ბერაძეს მიაჩნიათ იმის საბუთად, რომ ამ დროს ბიზანტიას უკვე დაპყრობილი ჰქონდა სვანეთი. ისინი წერენ:

„ირანელები რომ მოითხოვდნენ ამ საზავო კრებაზე (იგულისხმება 576—577 წწ. საზავო მოლაპარაკება,—გ. ა.) ბიზანტიელები გასულიყვნენ პერსარმენიიდან და იბერიიდან, ბიზანტიელები მხოლოდ დარას დათმობას მოითხოვდნენ ირანელებისაგან: სვანეთის საკითხს ისინი უკვე აღარ სვამენ, ჩანს იმიტომ, რომ მათთვის ეს საკითხი უკვე აღარ არსებობს“[1].

შემდეგ ისინი განაგრძობენ:

„ცხადია, მაშასადამე, რომ 576—577 წლებში სვანეთის საკითხი ბიზანტიისათვის აღარ იდგა ისე მწვავედ, როგორც 562 წელს: ჩანს, სვანეთი ბიზანტიას რაღაც გზით დაუბრუნებია უკვე“ (ხაზი ჩვენია,—გ. ა.)[2].

და ქვემოთ:

„ჩანს, 562 წლის ზავის შემდეგ ლაზეთის გამო დავა შეწყვეტილა. მაგრამ ის საკითხი, რომელიც 562 წლის საზავო მოლაპარაკების დროს ღია დარჩა—საკითხი სვანეთისა—მაინც არ ყოფილა მოგვარებული; 589—590 წლებში ისევ სვანეთის წინააღმდეგ ლაშქრობს ირანი (ხაზი ჩვენია,—გ. ა.) (იხ. ქვემოთ, გვ. 21, შმდდ.)“[3].

მაშასადამე, როგორც ამ სტრიქონებიდან ჩანს, მკვლევართ გარკვეულად მიაჩნიათ, რომ როგორც 576—577 წლებში, ისე 590 წელს სვანეთი ბიზანტიის მფლობელობაში იყო, და 590 წელს ირანის სარდალი ბარამი ლაშქრობს მის დასაბრუნებლად.

ჩვენი შეხედულებით, საკითხის ამრიგად დაყენება დამაჯერებელი არ არის. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია იგი კვლევის საგნად გავხადოთ; ამის საბუთს გვაძლევს მენანდრეს[4] ერთი ცნობა,

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და ი. ბერაძე, „სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 7, გვ. 95, 1938. თბილისი.

[2] იქვე.

[3] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, I, გვ. 2) (შენიშვნა), 1941, თბილისი.

[4] მენანდრე, ფრგმ. 17; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 231—238, თბილისი, 1936.

სადაც ლაპარაკია ბიზანტია-ირანის ურთიერთობის შესახებ სვანეთის საკითხში. ამ ცნობის შინაარსს ზემოთ დასმული საკითხისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს და ჩვენს მსჯელობასაც მასზე დავამყარებთ.

საყურადღებოა, რომ იბერია-სომხეთის ზემოაღნიშნული აჯანყების წინ, ე. ი. 570—71 წლებში, სვანეთის საკითხის გადაწყვეტა მოისურვა თვით ირანის მეფემ ხოსრომ, რომელიც ამ მიზნით ბიზანტიაში გზავნის ჯერ ზიქს, ხოლო შემდეგ მებოდს; როგორც ზიქს, ისე მებოდს ხოსროსაგან დავალებული ჰქონდათ, მოეწესრიგებინათ ბიზანტიასთან სხვადასხვა სადავო საკითხი და მათ შორის სვანეთის საკითხიც. ამაზე მიუთითებს მ ე ნ ა ნ დ რ ე ს შემდეგი ცნობა:

„Ὅτι ἠγγέλθη Ἰουστίνῳ ὡς ἐκ τῆς Περσῶν ἐπικρατείας ἐξώρμησεν ὁ Ζίχ πρεσβευσόμενός τε καὶ διαλεχθησόμενος περὶ Σουάνων, ἐν ταὐτῷ καὶ φιλοφροσύνης ῥήματα ἀποκομίσων βασιλεῖ, ἔτι τε καὶ τὰ εφ' οἷς Ῥωμαῖοι προσεγκαλοῦσιν εὖ διαθησόμενος. ὁ δὲ Ἰουστῖνος ἐν βουλῇ ἐποιεῖτο ἢ μὴ προσδέξασθαι τὴν πρεσβείαν ἢ προσδεχόμενον εἰδέναι τὸν Ζίχ ὡς τὰ κατὰ νοῦν αὐτῷ ἀνυσθήσεται· οὐδαμῶς. καὶ δὴ ξυγκροτηθείσης αὐτῷ ἐκκλησίας δοκεῖ κατάδηλον γενέσθαι ἔτι· ὁδοιποροῦντι τῷ Ζίχ διὰ συλλαβῶν Ἰωάννου ὡς τὸ παράπαν οὐδὲν τῶν δοκηθέντων προσεδέξατο ὁ βασιλεύς“.

„იუსტინეს აცნობეს, რომ სპარსელთა სახელმწიფოდან გამოემართა ზიქი, რ ო მ ე ლ ს ა ც დ ა ვ ა ლ ებ უ ლ ი ა ქ ვ ს მ ო ე ლ ა პ ა რ ა კ ო ს ს ვ ა ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ (ხაზი ჩვენია,—გ. ა.), ამავე დროს კეთილგანწყობილების სიტყვები მოახსენოს მეფეს და აგრეთვე მოაგვაროს ის საქმეები, რომელთა ნიადაგზე რომაელები ჩიოდენ. ი უ ს ტ ი ნ ე ს კ ი გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ჰ ქ ო ნ დ ა, ან ა რ მ ი ე ღ ო ე ლ ჩ ი, ან მ ი ე ღ ო, მ ა გ რ ა მ ე ჩ ვ ე ნ ებ ი ნ ა ზ ი ქ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ მ ა ს ა რ ა ს დ რ ო ს ა რ ა ა ს რ ულ დ ებ ო დ ა მ ი ს ი გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ებ ი (ხაზი ჩვენია,—გ. ა.). როდესაც მან საბჭო შეკრიბა, დაადგინა, რომ ჯერ კიდევ გზაში მყოფ ზიქისათვის ეცნობებინათ იოანეს წერილის საშუალებით, რ ო მ მ ე ფ ე ა რ ც ე რ თ მ ი ს გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა ს ა რ დ ა ე თ ა ნ ხ მ ებ ო დ ა“[1] (ხაზი ჩვენია,—გ. ა.).

მ ე ნ ა ნ დ რ ე ს ამ ცნობიდან ჩანს, რომ ირანიდან ბიზანტიაში გაიგზავნა ელჩი ზიქი, რომელსაც თავისი მეფისაგან დავალება

---

[1] მ ე ნ ა ნ დ რ ე, ფრგმ. 17; პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ეკორგიკა, III, გვ. 231, თბილისი, 1936.

ჰქონდა. რომ მოლაპარაკება ეწარმოებინა იუსტინე II-სთან სვანეთის შესახებ. იუსტინეს კი გადაწყვეტილი ჰქონია, ან არ მიეღო ზიქი, ან მიეღო, მაგრამ არ დათანხმებოდა მის განზრახვებს. იუსტინემ შეკრიბა საბჭო, რომლის დადგენილებითაც, გზაში მყოფი ზიქისათვის უნდა ეცნობებინათ, რომ იუსტინე მის განზრახვებს არ დაეთანხმებოდა. მაშასადამე, იუსტინეს არ უნდოდა დასმულიყო განსახილველად სვანეთის საკითხი.

ნათელია, რომ ნიზიბინში ავადმყოფ ზიქს წერილით გადასცეს ბიზანტიის მთავრობის გადაწყვეტილება. ზიქი მალე გარდაიცვალა. მის მაგიერ დაინიშნა მებოდი, რომლის შესახებ მენანდრე წერს:

„μετὰ ταῦτα ἀγγέλλεται ἐν Βυζαντίῳ ὡς ἕτερος ἥξει πρεσβευτὴς ὁ προσαγορευόμενος Μεβώδης. οὗτος ἐς τὴν βασιλίδα ἐπορεύετο ἐξωγκωμένος καὶ μάλα βρενθυόμενος, καὶ ἐλπίδα ἔχων ὡς περὶ Σουανίας αὐτῷ κινηθήσονται λόγοι καὶ ὅτι Πέρσας ἀρέσκουσαι γενήσονται ξυνθῆκαι“.

„ამის შემდეგ ბიზანტიაში ცნობა მოვიდა, რომ მოდის სხვა ელჩი, სახელად მებოდი, ის მოემართებოდა სატახტო ქალაქში გაამაყებული და გათამამებული და იმედი ჰქონდა, რომ სვანეთის შესახებ დაუწყებდნენ ლაპარაკს (ხაზი ჩვენია,—გ. ა.) და სპარსელებისათვის ხელსაყრელ ხელშეკრულებას დასდებდნენ მასთან“[1].

ცხადია, რომ ირანის მთავრობას ზიქის მაგიერ დაუნიშნავს მებოდი, რომელიც ჩასულა ბიზანტიაში. მებოდს იმედი ჰქონია, რომ ბიზანტიელები „სვანეთის შესახებ დაუწყებდნენ ლაპარაკს“. მებოდის ეს იმედი იმაზე უნდა იყოს დამყარებული, რომ ყველა წინა საზავო მოლაპარაკების დროს, ბიზანტიელები პირველნი აყენებდნენ სვანეთის საკითხს,—მოითხოვდნენ სვანეთს—და ამიტომ მებოდს ეგონა, რომ ახლაც ასევე მოხდებოდა.

ეს ჩანს აგრეთვე შემდეგი ცნობიდან:

„ὡς δὲ ἐς τοὐναντίον ἤπερ ἐβούλετο τὰ τῆς πρεσβείας οἱ ἐχώρει, καὶ τὸ παράπαν οὐδὲν αὐτῷ ἔλεξε περὶ Σουανίας ὁ βασιλεύς, ἔπειτα ἐξελιπάρει ὁ Μεβώδης τοὺς ἅμα οἱ Σαρακηνοὺς ἐς λόγους ἰέναι τῷ αὐτοκράτορι“.

„ელჩობის საქმეები რომ მას იმის საწინააღმდეგოდ მიუდიოდა, ვიდრე მას სურდა, და მეფე სვანეთის შესახებ სრუ-

---

[1] მენანდრე. ფრგმ. 17; პროკ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 232. თბილისი, 1936.

ლიად არაფერს ეუბნებოდა მას (ხაზი ჩვენია,—გ. ა.), შემდეგ მებოდმა თხოვნა დაუწყო, რომ მასთან მოსული სარკინოზები სალაპარაკოდ წარსდგომოდნენ თვითმპყრობელს"[1].

როგორც ჩანს, საქმე ისე არ წარიმართა, როგორც ეს მებოდს ეგონა, რადგან იუსტინე II სვანეთის შესახებ სრულიად არაფერს არ ამბობდა. მაშასადამე, ამ ცნობიდანაც ჩანს, რომ იუსტინე წინააღმდეგია სვანეთის საკითხის დასმისა.

მენანდრეს მე-17 ფრაგმენტში შემდეგ ნათქვამია:

„Μεβωδης οὖν τοῦ σκοποῦ, τοῦ περὶ Σουανίας ἁμαρτών, ὡς ἂν μὴ πάντῃ ἄπρακτος ἀναχωρήσοι, ἐπιμελέστατά πως ἠντιβόλει τῆς ὡς βασιλέα τυχεῖν εἰσόδου τοὺς Σαρακηνούς (HGM II, 41, 7 — 43; de Boor 446 -- 448)".

„რადგან მებოდს გაუცრუვდა იმედი სვანეთის შესახებ (ხაზი ჩვენია,—გ. ა.), რომ სრულიად უშედეგოდ არ დაბრუნებულიყო, დაბეჯითებით ითხოვდა სარკინოზების შეშვებას მეფესთან"[2].

აქედანაც ჩანს, რომ მებოდის ბიზანტიაში ყოფნისას სვანეთის საკითხი არ დასმულა განსახილველად: მენანდრეს თქმით: „მებოდს გაუცრუვდა იმედი სვანეთის შესახებ".

მენანდრეს ამ ცნობებიდან ჩანს, რომ 576—577 წლების ბიზანტია-ირანის საზავო მოლაპარაკებამდე სვანეთის საკითხი ირანის მიერ დასმული იყო თვით ბიზანტიის კეისრის კარზე 570—571 წლებში, მაგრამ იგი მსჯელობის საგნად არ გამხდარა, რადგან იუსტინე II წინააღმდეგია მისი განხილვისა.

მენანდრეს ამ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სვანეთის საკითხის გასარკვევად, ისე ბიზანტიისა და ირანის მაშინდელი საგარეო პოლიტიკის ასახსნელად.

როგორც ვიცით, ირანი წინათ წინააღმდეგი იყო სვანეთის სხვაზე გადაცემისა. იგი ყოველგვარ დიპლომატიურ საშუალებას მიმართავდა, რათა სვანეთი მის მფლობელობაში ყოფილიყო. ახლა კი ირანი ცდილობს ეს საკითხი დაისვას და მსჯელობის საგნად გახდეს თვით ბიზანტიის კეისრის კარზე; თუ იუსტინე II წინათ თავგამოდებით მოითხოვდა ყველა საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთის დაბრუნებას, რისთვისაც ბიზანტიელმა ელჩებმა თავმდაბლობასა და მლიქვნელობასაც კი მიმართეს, არ დაიშურეს

---

[1] მენანდრე, ფრგმ. 17; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 233, 1936, თბილისი.

[2] იქვე.

ძალალფარდოვანი სიტყვები, და ბოლოს, არ მოერიდნენ თვით სასყიდლის გაღებასაც, ახლა-კი, როდესაც მებოდი ბიზანტიაში ჩავიდა, იუსტინე წინააღმდეგია სვანეთის საკითხის დასმისა.

მაშასადამე, მენანდრეს აღნიშნული ცნობიდან ჩანს, რომ როგორც ბიზანტიის, ისე ირანის პოლიტიკა სვანეთის მიმართ 570—571 წლებიდან შეიცვალა: სვანეთისადმი ინტერესი როგორც ბიზანტიის, ისე ირანის მხრივ მინელდა.

ბუნებრივად ისმება კითხვა—რამ გამოიწვია ამ ორი მოქიშპე სახელმწიფოს—ბიზანტიისა და ირანის— პოლიტიკის შეცვლა სვანეთის მიმართ? გამოწვეული იყო იგი ამ სახელმწიფოთა შინაპოლიტიკური, თუ საგარეო საქმეთა ვითარებით, თუ რაიმე სხვა მიზეზებით?

ამის ასახსნელად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ცნობები, რომლებიც მიუთითებენ ბიზანტიელებისა და შუა-აღმოსავლეთში მცხოვრები თურქების ურთიერთობაზე.

ამ დროისათვის თურქთა[1] სახელმწიფო შუა აღმოსავლეთში ძლიერ სახელმწიფოდ მოჩანს. მას დაუპყრია ეფთალიტები და სოგდიელები, რომელთა ქვეყანა, სოგდიანა, ითვლებოდა აბრეშუმის სამშობლოდ. აი, ამ თურქთა ელჩები 568 წელს მივიდნენ ბიზანტიაში და იუსტინეს თხოვეს, რათა ბიზანტიელებს მათთან ურთიერთობა დაემყარებინათ. აქ იბადება კითხვა, თუ რამ აიძულა შუა აზიაში მცხოვრები თურქები ურთიერთობა დაემყარებინათ ისეთ შორეულ ქვეყანასთან, როგორიც იყო ბიზანტია, და რა სახის ურთიერთობის დამყარება უნდოდათ თურქებს: უბრალო მეგობრული, სავაჭრო, თუ სამხედრო?

---

[1] თეოფილაქტე სიმოკატა ამ თურქების შესახებ წერს:

„*τῶν Οὖννων τοιγαροῦν τῶν πρὸς τῷ βορρᾷ τῆς ἕω, οὓς Τούρκους ἔθος Πέρσαις ἀποκαλεῖν, καταπολεμηθέντων λίαν ὡς ἔπος εἰπεῖν ἐγκρατῶς ὑπὸ Ὁρμίσδα, τοῦ βασιλέως τῶν Πάρθων, ἐπὶ τὴν Κολχίδα ὁ Βαράμ τὸν πόλεμον μετεβίβαζεν*“.

„ამრიგად, როდესაც ჩრდილო-აღმოსავლეთით დაბინავებული ჰუნები, რომელთაც სპარსელები ჩვეულებრივ თურქებს ეძახიან, პართელთა მეფემ ჰორმიზდამ, ასე ვთქვათ, სასტიკად დაამარცხა, ბარამმა ომი კოლხიდის წინააღმდეგ გადაიტანა“ (პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 21—22, 1941, თბილისი).

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები თურქები ყოფილან ჰუნები. სპარსელები ამ ჰუნებს ეძახდნენ თურქებს. მაშასადამე, აქ არ იგულისხმება ის თურქები, რომელნიც ამჟამად ცხოვრობენ მცირე აზიაში და რომელთაც ეწოდებათ ოსმალო თურქნი, ე. ი. ეხლანდელი თურქები.

ბიზანტიაში ჩასულ თურქ ელჩთა მიზნების შესახებ მკვლევარებმა სათანადო აზრი გამოთქვეს. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, თურქთა ელჩები ბიზანტიაში ჩასულან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი წერს:

„ერთ-ერთ ასეთ ცდას წარმოადგენს თურქებთან სავაჭრო ურთიერთობის გაბმის სურვილი. სახელდობრ. მენანდრეს 18—22 ფრაგმენტებში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ 568 წელს თურქთა ელჩები ჩავიდნენ კონსტანტინეპოლში და მისცეს წინადადება ბიზანტიის კეისარს იუსტინეს სავაჭრო ურთიერთობის გაბმის შესახებ"[1].

და შემდეგ:

„ფრაგ. 19—21. ამ მეგობრობისა და სავაჭრო ურთიერთობის განსამტკიცებლად იუსტინემაც იმავე 568 წელს გაგზავნა თურქებთან ელჩები და მათ მეთაურად დააყენა კილიკიელი ზემარქე, აღმოსავლეთის ქალაქთა სტრატეგოსი (τῶν πρὸς ἕω πόλεων στρατηγός)"[2].

ამავე საკითხს შეეხო აკად. ფ. ი. უსპენსკი, რომელიც წერს:

„Цель посольства, во главе которого стоял Маниах, состояла в заключении с греками торгового договора для свободного провоза на запад шелка, в установлении вечного мира и союза против всех врагов Византии"[3].

როგორც ჩანს, აკად. ფ. ი. უსპენსკის გამოკვლევით, ბიზანტიაში ჩასულ თურქთა ელჩების მიზანი ყოფილა, ბიზანტიასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადება აბრეშუმის შესატანად, აგრეთვე მუდმივი მშვიდობისა [და ბიზანტიის მტრების წინააღმდეგ კავშირის დამყარება.

მაშასადამე, პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა და აკად. ფ. ი. უსპენსკის გამოკვლევით, თურქთა ელჩების ბიზანტიაში ჩასვლის მიზანი იყო სავაჭრო ხელშეკრულების დადება აბრეშუმის შესატანად ბიზანტიაში, რაც სინამდვილეს შეეფერება. ამას გარდა აკად. ფ. ი. უსპენსკი აღნიშნავს, რომ თურქები ბიზანტიაში ჩასულან აგრეთვე „მუდმივი მშვიდობისა და ბიზანტიის მტრების წინააღმდეგ კავშირის დასადებად". აქ აკად. ფ. ი. უს-

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 206, თბილისი, 1936.

[2] იქვე, გვ. 235; აგრეთვე მისივე „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან", გვ. 131, 1948, თბილისი.

[3] Акад. Ф. И. Успенский, История византийской империи, т. I. стр. 624.

პენსკი ფრთხილად მიუთითებს ბიზანტიელებისა და თურქების სამხედრო კავშირზე, ხოლო წყაროს კი არ ასახელებს. მაგრამ, მენანდრეს მოეპოვება ცნობები, რომლებიც მიუთითებენ ბიზანტიასა და თურქებს შორის სამხედრო კავშირზე.

მენანდრეს[1] ცნობით, ამ დროს თურქთა ქვეშევრდომი სოგდიელები აბრეშუმის გასასაღებლად ბაზარს ეძებდნენ. ამ მიზნით სოგდიელთა ელჩები მანიაქის მეთაურობით გაიგზავნენ ირანში. ელჩები თხოულობდნენ ირანის სახელმწიფოში ვაჭრობის ნებართვას. ხოსრო მათ პირდაპირ პასუხს არ აძლევდა და საქმეს აჭიანურებდა, ხოლო ელჩები მოითხოვდნენ გადაწყვეტილ პასუხს. ხოსრომ ეს საკითხი საბჭოს მიანდო. ვინაიდან ხოსრომ იცოდა, რომ სოგდიელი ვაჭრები სპარსელ ვაჭრებს კონკურენციას გაუწევდნენ, ამიტომ ელჩებმა უარი მიიღეს. სოგდიელთა ელჩების მიერ მოტანილი საქონელი თვითონ ხოსრომ შეისყიდა და მათი თანდასწრებით დაწვა. ელჩები გაბრუნდნენ სამშობლოში და ყველაფერი უამბეს თურქთა მეთაურს სიზიბულს. სიზიბულმა ირანში ხელმეორედ გაგზავნა ელჩები. ახლა ელჩებად მხოლოდ თურქები იყვნენ. ვინაიდან თურქთა ელჩების ყოფნა ირანში საშიშად იქნა მიჩნეული, ამიტომ ხოსრომ ისინი მოაწამვლინა[2].

საქმის ასეთი ვითარების გამო სოგდიელების უფროსი მანიაქი წარუდგა თურქების ხაკანს სიზიბულს და მოახსენა, რომ ხელსაყრელია კავშირის გაბმა რომაელებთან (ბიზანტიელებთან), რადგან ისინი უფრო მეტ აბრეშუმს ხმარობენ, ვიდრე სხვა ხალხებიო; ამასთანავე მანიაქმა თვითონვე განაცხადა სურვილი ბიზანტიაში წასვლისა. სიზიბული დათანხმდა. რამდენიმე თურქი, მანიაქის მეთაურობით, გაიგზავნა ბიზანტიაში წერილებით, მისალმებებითა და საჩუქრებით.

როგორც მენანდრეს ამ ცნობიდან ჩანს, სოგდიელები და თურქები თითქოს ეძებდნენ მხოლოდ ბაზარს აბრეშუმის გასატანად და ამ მიზნით მათ მოისურვეს სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინათ ბიზანტიასთან. მაგრამ, მენანდრეს სხვა ცნობებით დასტურდება, რომ თურქების ბიზანტიაში ჩასვლის მიზანი იყო როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო კავშირის დადება მასთან.

მენანდრეს ცნობა, რომ მანიაქმა თან წაიღო წერილები, საყურადღებო ცნობაა. ეს წერილები ინტერესმოკლებული არ

---

[1] მენანდრე, ფრგმ. 18—22; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 206—207, 1936, თბილისი.

[2] Дестунис Сп., Византийские историки, стр. 373—374, 1860.

უნდა იყოს, მაგრამ მათი შინაარსი მენანდრეს პირდაპირ არ მოჰყავს, თუმცა შეიძლება მისი დაახლოებით გარკვევა.

ამ მხრივ საყურადღებოა მენანდრეს ის ცნობა (ფრგმ. 18), სადაც მოთხრობილია თურქთა ელჩების მიღება იუსტინე II-ის მიერ[1]. მენანდრე წერს:

„εἶτα ἀπαριθμησάμενοι οἱ πρέσβεις ἔθνη κατήκοα Τούρκων τὸ λοιπὸν ἠντιβόλουν τὸν αὐτοκράτορα εἰρήνην τε ξυνεστάναι καὶ ὁμαιχμίαν Ῥωμαίοις τε καὶ Τούρκοις. προσετίθεσαν δὲ ὡς καὶ ἑτοιμότατα ἔχουσι καταπολεμῆσαι τῆς Ῥωμαίων ἐπικρατείας τὸ δουσμενές, ὁπόσον ἐς τὴν κατ' αὐτοὺς ἀγελάζονται ἤπειρον. ἐπὶ τούτοις ἅμα τῷ λέξαι τὼ χεῖρε ὑψοῦ ἀνατείνας ὁ Μανιὰχ οἵ τε ξὺν αὐτῷ ὅρκῳ ἐπιστώσαντο μεγίστῳ ἢ μὴν ὀρθογνώμονι διανοίᾳ ταῦτα εἰρῆσθαι. πρός γε καὶ κατέχεον ἀρὰς σφίσιν αὐτοῖς, ἔτι γε μὴν καὶ τῷ Διζαβούλῳ, ἀλλὰ γὰρ καὶ παντὶ τῷ ἔθνει, εἴ γε οὐχὶ τὰ ἐπηγγελμένα ἀληθῆ τε εἴη καὶ πρακτέα. οὕτω μὲν οὖν τὸ φίλον οἱ Τοῦρκοι φίλοι ἐγένοντο Ῥωμαίοις καὶ τῇ καθ' ἡμᾶς οὐχὶ ἄλλως ἐφοίτησαν πολιτείᾳ“[2].

„ელჩებმა შემდეგ ჩამოთვალეს თურქების ქვეშევრდომი ტომები და, ბოლოს, თხოვდნენ იმპერატორს მათთან ზავი შეეკრა და სამხედრო კავშირი დაედო რომაელებსა და თურქებს შორის. ისინი თანაც დასძენდნენ, რომ განწყობილი არიან იომონ რომის იმპერიის მტრების წინააღმდეგ თავიანთ ქვეყანაში. გარდა ამისა, ამ სიტყვებთან ერთად მაჩიაქმა ხელები მაღლა ასწია და მასთან მყოფმა ელჩებმა წარმოსთქვეს დიდი ფიცი. იგი ამტკიცებდა, რომ მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები ჭეშმარიტებაა. მათ დასწყევლეს თავიანთი თავი, სიზიბული და მთელი ხალხი, თუ რომ მიცემულ დაპირებებს არ შეასრულებდნენ და მათი სიტყვები არ იქნებოდა ჭეშმარიტი. ამგვარად თურქები დამეგობრდნენ რომაელებთან და მოვიდნენ ჩვენს სახელმწიფოში“.

როგორც მენანდრეს აღნიშნული ცნობიდან ჩანს, თურქთა ელჩებმა ფიცი დასდეს იუსტინეს წინაშე, რომ „ისინი (თურქები) განწყობილი არიან ებრძოლონ რომაელთა მტრებს თავიანთ მხარეში“; მაშასადამე, ისინი ვალდებულებას კისრულობდნენ ეომნათ

---

[1] მენანდრეს ეს ცნობა პირველად ხდება კვლევის საგნად.

[2] Historici Graeci Minores, edidit Ludovicus Dindorfius' vol. II. p. 48—49, 1871.

ირანის წინააღმდეგ. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ თურქთა ელჩებს სურდათ ბიზანტიასთან დაემყარებინათ არა მარტო სავაჭრო, არამედ სამხედრო კავშირიც (ἡ ὁμαιχμία). საფიქრებელია, რომ მანიაქის მიერ ჩატანილ წერილებში ლაპარაკი იყო თურქებსა და ბიზანტიელებს შორის სამხედრო კავშირის დამყარების შესახებ. ამრიგად, აღნიშნული ცნობა (ფრგმ. 18) იძლევა საინტერესო მასალას ბიზანტიელებისა და თურქების ურთიერთობის ისტორიისათვის.

იმავე 568 წ. თურქთა ელჩები ბიზანტიიდან სამშობლოში დაბრუნდნენ. იუსტინემ თურქებს საპასუხოდ თან გააყოლა თავისი ელჩები ზემარქეს მეთაურობით.

მ ე ნ ა ნ დ რ ე ს ცნობით (ფრგმ. 19—20), ბიზანტიის ელჩი ზემარქე თურქთა ხაკანმა სიზიბულმა მდიდრულად მიიღო. ამ დროს მან ომი გამოუცხადა ირანს, სალაშქროდ გაეშურა და თან წაიყვანა ზემარქეც. როგორც კი ისინი ტელასთან მივიდნენ, მათ შეხვდათ ირანის ელჩი. სიზიბულმა თავისთან მიიწვია როგორც ბიზანტიის, ისე ირანის ელჩი. სიზიბულმა ბიზანტიის ელჩი უფრო მეტი პატივით მიიღო, ვიდრე ირანისა. ირანის ელჩს სიზიბულმა მკაცრი საყვედურებით აღსავსე სიტყვით მიმართა იმ შეურაცხყოფისათვის, რომელსაც ირანი თურქთა სახელმწიფოს მიმართ იჩენდა და რაც მიზეზი იყო ამ ლაშქრობისა. ირანის ელჩმაც სიზიბულს მკაცრი სიტყვით უპასუხა (უარყოფდა მის საყვედურებს) და ისე განშორდა. სიზიბულმა რომაელებთან მეგობრობა განამტკიცა და ზემარქე სამშობლოში დაბრუნდა.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ბ ი ზ ა ნ ტ ი ი ს ე ლ ჩ მ ა ზ ე მ ა რ ქ ე მ ი უ ს ტ ი ნ ე ს დ ა ვ ა ლ ებ ი თ ს ა მ ხ ე დ რ ო კ ა ვ შ ი რ ი შ ე კ რ ა თ ო ურ ქ თ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს თ ა ნ, მითუმეტეს, რომ ასეთი დიპლომატიური ნაბიჯი, შორეულ ქვეყნებთან ურთიერთობის გაბმის ცდა ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაში პირველი შემთხვევა არ იყო[1].

ნ. ვ. პ ი გ უ ლ ე ვ ს კ ა ი ა, ეხება რა ბიზანტიისა და თურქების ურთიერთობას, ასკვნის, რომ ეს ურთიერთობა სამხედრო კავშირს წარმოადგენდა. ის წერს:

„Заключенный посольством договор был не только мирным договором, но и ἡ ὁμαιχμία, т. е. военным союзом. Направлен он был, конечно, против Ирана, во всяком слу-

---

[1] ჯერ კიდევ იუსტინიანემ სცადა ჰომერიტებთან, და ეთიოპიელებთან ურთიერთობის დამყარება (იხ. ქვემოთ).

чае был ему угрозой. Когда соглашение было достигнуто, тюрки и Маниах поклялись в верности этому договору. „Таким образом, народ тюрок стал дружествен ромеям"[1].

ბიზანტია-თურქეთის სამხედრო კავშირზე მიუთითებს თეოფანე ბიზანტიელი[2] ერთი ცნობა, რომლის მიხედვით თურქებს იუსტინესათვის გაუგზავნიათ ელჩები საჩუქრებით და უთხოვიათ, არ მიეღო ავარები. მართლაც, ბიზანტია-თურქეთის მეგობრობის განმტკიცების შემდეგ, იუსტინესთან მივიდნენ ავარები, რომელნიც ითხოვდნენ მშვიდობას და პანონიაში დასახლების ნებართვას. იუსტინემ არ მიიღო ავარების წინადადება თურქებისათვის მიცემული დაპირებისა და მათთან დადებული ხელშეკრულების გამო.

თეოფანე ბიზანტიელი წერს:

„Ὅτι τὰ πρὸς εὖρον ἄνεμον τοῦ Τανάϊδος Τοῦρκοι νέμονται· οἱ πάλαι Μασσαγέται καλούμενοι, οὓς Πέρσαι οἰκείᾳ γλώσσῃ Κερμιχίωνάς φασι. καὶ αὐτοὶ δὲ ἐν τῷ τότε δῶρα καὶ πρέσβεις πρὸς βασιλέα Ἰουστῖνον ἔστειλαν, δεόμενοι μὴ ὑποδέξασθαι αὐτὸν τοὺς Ἀβάρους. ὁ δὲ τὰ δῶρα λαβὼν καὶ ἀντιφιλοφρονησάμενος ἀπέλυσεν εἰς τὰ οἰκεῖα. τοῖς δὲ Ἀβάροις ὕστερον ἐλθοῦσιν, καὶ Παννονίαν οἰκῆσαι καὶ εἰρήνης τυχεῖν δεομένοις, διὰ τὸν πρὸς Τούρκους λόγον καὶ τὰς συνθήκας οὐχ ἐσπείσατο".

„ფრგმ. 2. ტანაიდის აღმოსავლეთით მდებარე მხარეში ბინადრობენ თურქები, რომელთაც ძველად მასაგეტები ეწოდებოდათ და რომელთაც სპარსელები თავიანთ ენაზე კერმიხიონებს ეძახიან. მაშინ იმათ იუსტინე მეფეს საჩუქრები და ელჩები გამოუგზავნეს და სთხოვდნენ მას, არ მიეღო ავარები. იმანაც საჩუქრები მიიღო, სამაგიერო უზღო და ელჩები შინ გაისტუმრა. შემდეგ ხანებში რომ ავარები მოვიდნენ და სთხოვეს იუსტინეს პანონიაში დაესახლებინა ისინი და ზავი შეეკრა მათთან, მან არ შეკრა მათთან ზავი, რადგან თურქებისათვის ჰქონდა მიცემული სიტყვა და მათთან ხელშეკრულება დადებული"[3].

მაშასადამე, ბიზანტიისა და თურქების მიერ დადებული სამხედრო ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი ეხებოდა ავარების საკითხს.

---

[1] Н. В. Пигуловская, Византия на путях в Индию, стр. 205, 1951, М. Л.

[2] თეოფანე ბიზანტიელი, ფრგმ. 2; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 253, 1936, თბილისი.

[3] იქვე.

ბიზანტიასა და თურქეთს შორის სამხედრო კავშირის არსებობაზე მიუთითებს მენანდრეს კიდევ ერთი ცნობა (ფრგმ. 43)[1], რომლის მიხედვით ტიბერიოს კეისარმა 576 წელს თურქთა სახელმწიფოში ელჩად გაგზავნა ვალენტინე, რომელსაც თან გაჰყვა 106 თურქი; ეს თურქები დიდხანს ცხოვრობდნენ ბიზანტიაში; ვალენტინე თურქთა ქვეყანაში ჩავიდა ზემარქეს ელჩობიდან რვა წლის შემდეგ. ამ დროს თურქების მეფედ იყო სიზიბულის შვილი თურქსანთი.

მენანდრეს გადმოცემით (ფრგმ. 43) ვალენტინეს თურქთა მეფისთვის შემდეგი განუცხადებია:

„ἐς τοῦτο γὰρ ἀφῖκτο ἐκεῖσε, προσφθεγξόμενος τοὺς προεστῶτας τοῦ φύλου τῶν Τούρκων, Τιβερίου ἤδη ἐς τῶν Καισάρων ἀναβεβηκότος κράτος. πρὸς τοῖς καὶ ὡς ἄν ἡ φιλοφροσύνη οὐχ ἧττον ἐν βεβαίῳ ἔσοιτο καὶ αἱ μεταξὺ Ῥωμαίων τε καὶ Τούρκων προελθοῦσαι σπονδαί, ἃς ἔθετο Διλζίβουλός τε καὶ Ἰουστῖνος ὁ βασιλεύς, Ζημάρχου πρώτου ἐκεῖσε φοιτήσαντος, ἡνίκα ἐσήμηνεν ὁ Διλζίβουλος ὡς Ῥωμαίων φίλος οὐχ ἧττον καὶ αὐτῷ ἐπιτήδειος καὶ δυσμενὴς ὁμοίως, καὶ ὅπως τὰ τοιάδε ἄτρωτά τε καὶ ἀπερίσπαστα μένοι. τῷ τοι ἄρα ἐπειδὴ τηνικαῦτα Ῥωμαῖοι Πέρσας ἐπολέμουν, ἐπὶ τῇ προσρήσει ἔφη Οὐαλεντῖνος, δέον εἶναι ἐν καιρῷ καὶ αὐτὸν ἐπιθέσθαι Πέρσαις“[2].

„იგი (ვალენტინე) იმიტომ მივიდა იქ, რომ განუცხადოს თურქთა ტომის მეთაურებს, რომ ტიბერიოსი უკვე აყვანილია კეისრის ტახტზე: რომ მეგობრობა რომაელებსა და თურქებს შორის დარჩეს ძალაში [ძველზე] არა ნაკლებად; ასევე ხელშეკრულებაა დადებული წინათ რომაელებსა და თურქებს შორის, რომელიც შეკრეს სიზიბულმა და იუსტინე მეფემ მაშინ, როდესაც ზემარქე იქ პირველი მივიდა; სიზიბულმა განაცხადა, რომ ვინც რომაელთა მეგობარია, ის არა ნაკლებ ჩისი მეგობარია; მათი მტერი, მისი მტერია; რომ ეს განწყობილება ულდა დარჩენილიყო უცვლელი და ურყევი. და რადგან, მაშინ რომაელები ომს აწარმოებდნენ სპარსელებთან, ამიტომ ვალენტინემ მისალმებებთან ერთად გა-

---

[1] მენანდრეს ეს ცნობა პირველად ხდება კვლევის ობიექტად.

[2] Historici Graeci Minores, edidit Ludovicus Dindorfius, vol. II, p. 86, 1871.

ნაცხადა, რომ საჭირო იყო, რათა იმასაც (თურქთა მეთაურს) დროზე შეეტია სპარსელებისათვის".

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ვალენტინეს თურქთა მეთაურისთვის უცნობებია იუსტინეს გაკეისრება; აგრეთვე მოუხოვია, რომ წინათ არსებული მეგობრობა რომაელებსა და თურქებს შორის მტკიცე დარჩენილიყო. ამასთანავე იგი მოითხოვდა, რომ უცვლელი და ურყევი დარჩენილიყო იუსტინე მეფესა და სიზიბულს შორის წინათ დადებული ხელშეკრულება. მაშინ სიზიბულს განუცხადებია: „ვინც რომაელთა მეგობარია, ის არა ნაკლებ მისი მეგობარია, მათი მტერი—მისი მტერია".

ვალენტინე აქ იმიტომ იხსენიებს იუსტინესა და სიზიბულს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომ ამ ხელშეკრულებით, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, სიზიბული ვალდებულებას კისრულობდა ირანის წინააღმდეგ ომი ეწარმოებინა. ამის საფუძველზე ვალენტინე მოითხოვდა, რომ თურქთა მეთაურმა დროზე მოახდინოს ირანზე თავდასხმა, რადგან ამ დროს ბიზანტია ომს აწარმოებდა ირანის წინააღმდეგ.

ამრიგად, მენანდრეს აღნიშნული ცნობაც (ფრგმ. 43) მიუთითებს ბიზანტიელებსა და თურქებს შორის სამხედრო კავშირის არსებობაზე.

მაშასადამე, თეოფანე ბიზანტიელისა და მენანდრეს აღნიშნული ცნობებიდან ჩანს, რომ ბიზანტიის ელჩს ზემარქეს და თურქების ხაკანს სიზიბულს დაუდვიათ სამხედრო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ახლა ვალენტინე მოითხოვდა, რომ თურქთა მეთაურს ომი დაეწყო ირანის წინააღმდეგ, ომელთანაც ამ დროს ბიზანტია ომს აწარმოებდა. ცხადია, ბიზანტია თავისი მოკავშირისაგან ხელშეკრულების თანახმად სამხედრო დახმარებას მოითხოვდა. სამაგიეროდ ბიზანტია ვალდებულებას კისრულობდა ავარებისათვის არ მიეცა ნებართვა ბიზანტიის ტერიტორიაზე დასახლებისა.

აქ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი: აბრეშუმის კულტურა ბიზანტიაში შემოდის 552 წლიდან, ხოლო 552 წლიდან 568 წლამდე, ე. ი. ბიზანტიასა და თურქეთს შორის სამხედრო კავშირის დამყარებამდე განვლო 16 წელმა; ბუნებრივია, რომ ამ ხნის განმავლობა-

ში ბიზანტიაში აბრეშუმის საკუთარი ბაზა შეიქმნებოდა და აბრეშუმის ისეთი ნაკლებობა აღარ იქნებოდა, როგორიც წინათ იყო; ამიტომ, საფიქრებელია, რომ ბიზანტიისათვის აღარ უნდა ყოფილიყო ესოდენ აუცილებელი აბრეშუმის შემოტანა ისეთი შორეული ქვეყნიდან, როგორიც იყო თურქთა სახელმწიფო; და თუ ამას მაინც ადგილი ჰქონდა, ეს უნდა აიხსნას, უპირველეს ყოვლისა, თურქებთან სამხედრო კავშირის დამყარების მიზნით. ვინაიდან ბიზანტიისათვის თურქებთან სამხედრო კავშირის დამყარება ირანის საწინააღმდეგოდ აუცილებელი იყო, ამასვე მოითხოვდა თვით თურქების ინტერესებიც, რადგან თურქებსა და ირანელებს შორის მუდამ მტრული დამოკიდებულება არსებობდა.

თურქთა ქვეყნიდან ზემარქეს წასვლის შემდეგ თურქების პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი ამბები, რამაც სათანადო ცვლილება გამოიწვია როგორც ბიზანტიის, ისე ირანის საგარეო პოლიტიკაში.

მენანდრეს ცნობიდან (ფრგმ. 19—20) ჩანს, რომ ზემარქეს თურქების ქვეყანაში ყოფნის დროს სიზიბულმა ომი გამოუცხადა ირანს, სალაშქროდ წავიდა და თან წაიყვანა ზემარქეც. მათ გზაზე შეხვდათ ირანის ელჩი. სიზიბულისა და ირანის ელჩის კამათიდან ნათელია, რომ თურქეთსა და ირანს შორის ომი აუცილებელი იყო. პირდაპირი ცნობა ამ ომის შედეგის შესახებ ჯერ არ მოიპოვება. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ომში დამარცხდნენ თურქები, რის გამოც დაირღვა ბიზანტიელებისა და თურქების სამხედრო კავშირი.

როგორც ზემოთ გვაქვს განმარტებული, ბიზანტია-თურქეთის ურთიერთობისათვის გამოყენებული იყო სვანეთზე გამავალი გზა, მაგრამ თურქების დამარცხების შედეგად ბიზანტიასა და მათ შორის არსებული სამხედრო კავშირი დაირღვა და ამდენად სვანეთის გზის მნიშვნელობა ბიზანტიისათვის შემცირდა. აქვე აღსანიშნავია შემდეგიც: თუ ირანი ლაზიკაში დამარცხების შემდეგ მაინც ცდილობდა, სვანეთი მის ხელთ ყოფილიყო, ეს იმით აიხსნება, რომ იგი კიდევ ფიქრობდა ლაზიკის დაპყრობას. ასევე, ბიზანტიას გათვალისწინებული ჰქონდა რა საქმის ასეთი ვითარება, ცდილობდა, სვანეთი მის მფლობელობაში ყოფილიყო, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ლაზიკის დასაცავად. მაგრამ, როდესაც ბიზანტიისა და ირანის ბრძოლის ცენტრი ლაზიკიდან გადმოდის აღმოსავლეთში, უშუალოდ მათ საზღვრებზე, ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში სვანეთის მნიშვნელობა მოდავე სახელმწიფოებისათვის შემცირდებოდა. ვფიქრობთ, ამითაც უნდა აიხსნას როგორც ბიზანტიის, ისე ირანის პოლიტიკის შეცვლა სვანეთის მიმართ. ამიტომაა, რომ იუსტინე უკვე აღარ ფიქრობს სვანეთის დაბრუნებაზე.

როგორც ზემოგანხილული წყაროდან ჩანს, ბიზანტიაში ჩასულ ირანის ელჩს მეგობოდს უნდოდა დაესვა განსახილველად სვანეთის საკითხი. მაგრამ იუსტინემ მეგობოდთან ლაპარაკიც არ ისურვა, იმ იუსტინემ, რომელიც მანამდე ასულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე სვანეთი დაებრუნებინა. (აკი გადმოგვცემს მენანდრე, რომ „მეგობოდს გაუცრუვდა იმედი სვანეთის შესახებო“. ნეგობოდმა ვერ მიაღწია მიზანს, ვერ მიაღწია იმიტომ, რომ სვანეთს ამ დროისათვის შექმნილი ვითარების შესაბამისად არ ჰქონდა სათანადო მნიშვნელობა არც ბიზანტიისათვის და არც ირანისათვის. ამ უკანასკნელს კი უნდოდა გაეღო იგი რაიმე მნიშვნელოვანი საფასურის სანაცვლოდ.)

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და ირ. ბერაძე ამტკიცებენ: 576—577 წლების ბიზანტია-ირანის საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთის საკითხი იმიტომ არ იყო დასმული, რომ ამ დროს იგი ბიზანტიის მფლობელობაში იმყოფებოდა; ბიზანტიას 576—577 წლების წინა ხანებში სვანეთი ირანისათვის წაურთმევია და, ამიტომაც, 590 წელს ირანს ლაშქრობა მოუწყვია სვანეთის დასაპყრობად.

ისინი წერენ:

„ამრიგად, თეოფილაქტეს მიერ მონათხრობ ლაშქრობას შუკი ეფინება 576—577 წწ. საზავო მოლაპარაკების მასალების განხილვის შემდეგ: ირანი, იმ საბუთების ძალით, რომლებზედაც 562 წლის მოლაპარაკების დროს მიუთითებდნენ ელჩი და მეფე, სვანეთს თავის კუთვნილებად თვლიდა, მაგრამ ბიზანტიას მოუხერხებია 576—577 წწ. წინა ხანებში სვანეთის წართმევა ირანისათვის; ხოლო, როდესაც 589—590 წლებში ირანის სარდალი ბარამი თურქთა წინააღმდეგ ლაშქრობიდან ბრუნდებოდა, მას ირანის მეფის ჰორმიზდას დავალებით უცდია, სვანეთი კვლავ წაერთმია ბიზანტიისათვის; თუ, სახელდობრ, როდის დაუბრუნებია ბიზანტიას სვანეთი, ეს არა ჩანს ბიზანტიური წყაროებიდან; ამის შესახებ ცნობას იძლევა დასავლეთის ისტორიკოსი იოანე ბიკლარელი“[1].

ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ირანის ელჩის მეგობოდის ჩასვლა ბიზანტიაში 570—571 წლებში სვანეთის საკითხის მოსაწესრიგებლად და იუსტინეს უარი. რადგან ამ დროს სვანეთი მოკლებულია სათანადო მნიშვნელობას როგორც ბიზანტია-თურქეთის სამხედრო კავშირის დაშლის გამო, ისე იმის გამოც, რომ ბიზანტია-ირანის ბრძოლის ცენტრი ლაზიკიდან სამხრეთისაკენ გადადის (აჯანყება სომხეთსა და იბერიაში და სხვ.), ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ, თუ 576—577 წწ. ბი-

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და ირ. ბერაძე, „სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების ხიერ“, თბილ. სახ. უნივერ. შრომები, 7, გვ. 95, 1938, თბილისი.

ზანტია-ირანის საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთის საკითხი განსახილველად არ დაისვა, ეს იმით კი არ აიხსნება, რომ ამ დროს სვანეთი ბიზანტიას ჰქონდა დაპყრობილი, არამედ იმით, რომ ახლა სვანეთისადმი ინტერესი ბიზანტიის მხრივ მინელებულია. იუსტინეს რომ სვანეთის დაბრუნება სდომებოდა, მაშინ უშედეგოდ არ ჩაივლიდა ირანის ელჩის მებოდის ჩასვლა ბიზანტიაში.

(ამის გამო, ბუნებრივია, რომ 576—577 წლებში ბიზანტიასა და ირანს შორის გამართული საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთის საკითხი არ დაისმებოდა განსახილველად; აგრეთვე არც ისაა საფიქრებელი, რომ საქმის ასეთი ვითარების შემდეგ, 576—577 წწ. წინ ბიზანტიას სვანეთის საკითხი იარაღით გადაეწყვიტა. მაშასადამე, სვანეთი როგორც 570—571 წწ., ისე 576—577 წწ. იყო ირანის მფლობელობაში.)

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და ირ. ბერაძე თარიღსაც ასახელებენ, თუ რომელ წელს უნდა წაერთმია ბიზანტიას სვანეთი ირანისათვის. ასეთ თარიღად ისინი ასახელებენ 575 წელს[1], რის საბუთად მათ მოჰყავთ იოანე ბიკლარელის შემდეგი ცნობა:

„Romanus filius Anagasti Patricii magister militiae gentis Suanorum regem vivum cepit, quem cum suo thesauro, uxore et filiis Constantinopolim adducit et provinciam eius in Romanorum dominium redigit".

„რომანოზმა, ანაგასტე პატრიკიოსის შვილმა, ჯარის სარდალმა, სვანთა ტომის მეფე ცოცხლად დაატყვევა, რომელიც მისი საგანძურით, ცოლითა და შვილებით კონსტანტინეპოლში წამოიყვანა და რომლის სამფლობელო რომაელების ბატონობას დაუბრუნა"[2].

ვინაიდან ამ ცნობაში იხსენიება „Suanorum" (სვანთა), ამი-

---

[1] იგივე აზრი გამოთქვეს ნ. ბერძენიშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა და ს. ჯანაშიამ. ისინი წერენ: „ეს დავა დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე 575 წ მახლობლად რომაელები სვანეთში არ შეიჭრნენ და სვანეთის მთავარი ტყვედ არ წამოიყვანეს. ამის შემდეგ სპარსელების გავლენა დასავლეთ საქართველოში ძირიანად ამოვარდა" (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1946 წ., თბილისი, გვ. 125).

[2] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და ირ. ბერაძე, „სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ", თბილ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, 7, გვ. 96 1938, თბილისი.

ტომ პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა და ირ. ბერაძის აზრით მასში აღწერილი ამბავი ეხება სვანეთს.

ისინი წერენ:

„ამ ცნობიდან (იოანე ბიკლარელის ცნობიდან) ნათლად ჩანს, რომ ამ დროს, რომელსაც ეს ცნობა ეკუთვნის, სვანეთი ბიზანტიას არ ეკუთვნოდა, რომ ის ძალით იქნა დაპყრობილი ბიზანტიის ერთ-ერთი სარდლის მიერ და რომ სვანეთი ბიზანტიელების ბატონობას დაუბრუნდა (ხაზი ჩვენია,—გ. ა.). გამოთქმა in Romanorum dominum redigit („რომაელთა მფლობელობაში აღადგინა“, ან „რომაელთა ბატონობას დაუბრუნა“) უთუოდ გულისხმობს იმ ვითარებას, რომ სვანეთი წინათ ბიზანტიის ხელში ყოფილა, შემდეგ ის მას დაუკარგავს და ეხლა, იუსტინეს მეფობაში, კვლავ დაუბრუნებია“[1].

და შემდეგ:

„... გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ 576—577 წლების საზავო მოლაპარაკების დროს ათრალეთში ბიზანტიელები აღარას ლაპარაკობენ სვანეთზე. მაშასადამე, იოანეს „ქრონიკაში“ მოხსენებული თარიღი („იუსტინეს იმპერატორობის მეათე წელს“, ე. ი.) 575 წელი სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს და სვანეთის უკან დაბრუნება ბიზანტიელების მიერ უნდა ვივარაუდოთ 575 წელს“[2] (ხაზი ჩვენია,—გ. ა.).

ამ სტრიქონებიდან ჩანს, რომ მკვლევართ იოანე ბიკლარელის ზემოთ აღნიშნულ ცნობასა და იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ 576—577 წლების ბიზანტია-ირანის საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთის საკითხი დღის წესრიგში არ იდგა, მათ სინამდვილედ მიაჩნიათ, რომ 575 წლამდე სვანეთი ბიზანტიას არ ეკუთვნოდა და იგი დაპყრობილ იქნა ბიზანტიის სარდლის რომანოზის მიერ 575 წელს.

საკითხი ბიზანტიის მიერ სვანეთის დაპყრობის შესახებ პირველად გერმანელმა მეცნიერმა ე. შტაინმა წამოაყენა. იგი წერს:

„Der Cäsar wiederum konnte Friedensverhandlungen um so weniger abgeneigt sein, als ob er sich für diese keine günstigeren militärischen Voraussetzungen hätte wünschen können,

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და ირ. ბერაძე, „სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 7, გვ. 96, 1938, თბილისი.

[2] იქვე.

als die damaligen waren; denn dank von Justinianus errungenen Erfolgen wurde die Krone aufgesetzt durch den Magister militum Romanus, der nach Suanien zog, dessen Besitz die Kaiser Justinian und Justin II. so heiss erstrebt hatten, und dieses Land dem römischen Reiche einverleibte. Den König der Suanen und dessen Frau und Kinder schickte Romanus... nach Konstantinopel"[1].

„კეისარს კი ძით უფრო ნაკლებ შეეძლო უარეყო საზავო მოლაპარაკებანი, რადგან მას არ შეეძლო საამისოდ უფრო ხელსაყრელი საომარი წინაპირობები ესურვა, ვიდრე მაშინ იყო; რადგან იუსტინიანეს მიღწეული წარმატებებით მოპოვებულ იქნა გვირგვინი ჯარების სარდლის რომანოზის მიერ, რომელმაც გაილაშქრა სვანეთზე, რომლის დაპყრობას თავგამოდებით ცდილობდნენ იმპერატორები იუსტინიანე და იუსტინე II და ეს ქვეყანა რომის იმპერიას შეუერთა. სვანეთის მეფე და მისი ცოლშვილი რომანოზმა... კონსტანტინეპოლში გაგზავნა".

როგორც ე. შტაინის სიტყვებიდან ჩანს, ბიზანტიის მიერ სვანეთის დაპყრობით შექმნილა ხელსაყრელი საომარი პირობები, რის გამო კეისარს (იუსტინე II) შეეძლო უარეყო საზავო წინადადებები წარმოდგენილი ირანის მიერ (იგულისხმება 576 წლის საზავო მოლაპარაკება). ეს საომარი პირობები, შტაინის აზრით, შექმნილა იმით, რომ ბიზანტიის ჯარის სარდალს რომანოზს დაუპყრია სვანეთი და სვანეთის მეფე თავისი ცოლშვილით კონსტანტინეპოლში გაუგზავნია.

ე. შტაინი, ისევე როგორც პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, ემყარება იოანე ბიკლარელის ზემოაღნიშნულ ცნობას. მკვლევარნი აქ იმ გარემოებას ეყრდნობიან, რომ იოანე ბიკლარელის ძეგლში იხსენიება „Suanorum" (სვანთა).

იოანე ბიკლარელის ძეგლია გამომცემელი ფ. მომზენი[2], მართალია, კითხულობს „Suanorum", მაგრამ იგი შენიშვნაში მიუთითებს, რომ სხვა ხელნაწერში იკითხება „Suevorum".

მაშასადამე, მომზენის მიხედვით, ეს სიტყვა იკითხება როგორც „Suanorum", ისე „Suevorum".

ბიზანტიის ისტორიის მკვლევარი ე. შტაინი ამის შესახებ წერს:

---

[1] E. Stein, Studien zur Geschichte des byzantinischen Reiches, S. 69, 1919, Stuttgart.

[2] Monumenta Germaniae Historica, XI, I: Chronica Minora, II, 1. S. 214, Berolini.

„Vor Momsens Ausgabe, die 1894 erschien. las man statt „Suanorum" mit schlechten Handschriften „Suevorum" und vorlegte diese Ereignisse in die Pyrenäenhalbinsel"[1].

„მომზენის გამოცემამდე, რომელიც 1894 წ. გამოვიდა. ცუდი ხელნაწერის გამო „Suanorum"-ის მაგიერ კითხულობდნენ „Suevorum"-ს და ეს ამბავიც პირინეის ნახევარკუნძულზე გადაჰქონდათ".

მაშასადამე, ვიდრე მომზენი იოანე ბიკლარელის ხსენებულ ძეგლს გამოაქვეყნებდა, „Suanorum"-ის მაგიერ კითხულობდნენ „Suevorum"-ს და ამ ცნობაში აღწერილი ამბავიც გადაჰქონდათ პირინეის ნახევარკუნძულზე.

ერთი სიტყვით, მომზენისა და შტაინის სიტყვებიდან ჩანს, რომ იოანე ბიკლარელის ზემოხსენებულ ძეგლში იკითხება როგორც „Suanorum", ისევე „Suevorum", ე. ი. მისი წაკითხვა ჯერ არ არის დაზუსტებული; ამიტომ მასზე დაყრდნობა და აქედან სათანადო დასკვნების გაკეთება შეცდომაში შეგვიყვანდა. ასეთ შემთხვევაში „Suanorum"-ზე დაყრდნობა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იოანე ბიკლარელის ძეგლის გარდა ხელთ გვექნებოდა კიდევ სხვა ისტორიული ფაქტი, რომელიც დაადასტურებდა ბიზანტიის 575 წლის ომს სვანეთის დასაპყრობად. რადგან ასეთი ფაქტი ჩვენ ხელთ არა გვაქვს, ამიტომ მარტო იოანე ბიკლარელის ასეთ ცნობაზე დაყრდნობა უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევართ უკვე გარკვეულად მიაჩნიათ სვანეთის დაპყრობა ბიზანტიის მიერ 575 წელს. აქ ისინი ემყარებიან როგორც იოანე ბიკლარელის აღნიშნულ ძეგლს. ისე იმ გარემოებას, რომ 576—577 წლების სამშვიდობო მოლაპარაკების დროს სვანეთის საკითხი დღის წესრიგში არ იდგა. ამის გამო ისინი ასკვნიან, რომ 576—577 წლებში სვანეთი უკვე ბიზანტიის ხელშიაო.

მაგრამ, როგორც ეს უკვე ზემოთაც იყო განმარტებული, 570—571 წლებიდან ბიზანტიის პოლიტიკა სვანეთის მიმართ შეიცვალა: იუსტინე უკვე აღარ ფიქრობს სვანეთის დაბრუნებას.

---

[1] E. Stein, Studien zur Geschichte des byzantinischen Reiches, S. 84, 1919. Stuttgart.

ამიტომ სვანეთის დაპყრობა 575 წელს ბიზანტიის მიერ დამაჯერებლად არ უნდა ჩაითვალოს. აქედან არც „Suanorum"-ის წაკითხვა უნდა იყოს სწორი[1].

მაშასადამე, როგორც მ ე ნ ა ნ დ რ ე ს ცნობიდან ჩანს, 570—571 წლებში სვანეთი ირანის ხელშია. მაგრამ, როგორც თურქთა სახელმწიფოს დამარცხების გამო, ისე იმის გამოც, რომ ბიზანტია-ირანის ბრძოლის ცენტრი ლაზიკიდან გადავიდა ბიზანტია-ირანის საზღვარზე და ახალი სამხედრო ვითარების შესაბამისად მეომარ სახელმწიფოთა ინტერესები სვანეთისადმი მინელდა, მათი პოლიტიკა სვანეთის მიმართ შეიცვალა. ამიტომ 576—577 წლების საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთის საკითხი დღის წესრიგში არ დასმულა. სვანეთი ამ საზავო მოლაპარაკების დროსაც ირანის ხელშია ისევე, როგორც 590 წელს. აქედან ბუნებრივია, რომ ირანის სარდალი ბარამი 590 წ. ომს ვერ დაიწყებდა სვანეთის დასაპრუნებლად. ყოველივე ამის გამო თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე ს ი მ ო კ ა ტ ა ს მიერ აღწერილი 590 წლის ბიზანტია-ირანის ომი სვანეთს არ ეხება.

აქედან იმ დასკვნის გამოტანაც შეიძლება, რ ო მ დ ა ვ ა ს ვ ა ნ ე თ ი ს გ ა მ ო ბ ი ზ ა ნ ტ ი ა ს ა დ ა ი რ ა ნ ს შ ო რ ი ს დ ა ი წ ყ ო 562 წ. და დ ა მ თ ა ვ რ დ ა 570—571 წ ლ ე ბ შ ი დ ა ა რ ა 590 წ., რ ო გ ო რ ც ე ს ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი ა ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი.

---

[1] თუ დავუშვებთ, რომ სწორია წაკითხვა „Suanorum", მაინც აქ სვანეთს ვერ ვიგულისხმებთ, რადგან მებოდის ელჩობა ბიზანტიაში 570—571 წწ., რის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი, უარყოფს ბიზანტიის გალაშქრებას სვანეთზე 575 წ.; აქ, შესაძლებელია, იგულისხმებოდეს ს ი ვ ნ ი ე თ ი (Σαυνία), რადგან ამ წლებში ბიზანტია დიდ ყურადღებას აქცევს ალბანიის მიდამოებს. მაგ., ტიბერიოსის განკარგულებით (მ ე ნ ა ნ დ რ ე: ფრგმ. 41; პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, III, გვ. 239, 1935. თბილისი) სარდლებმა კურსემ და თეოდორემ ალბანელები და საბიროები აჰყარეს და გადმოასახლეს მტკვრის მარჯვენა მხარეს. შესაძლებელია, რომ იოანე ბიკლარელის ცნობაში მოხსენებული სარდალი რომანოზი მოქმედებდეს ალბანიასა და სივნიეთში (Σαυνία-ში).

თავი მესამე

თეოფილაქტე სიმოკატას ერთი ცნობის გამო

როგორც ბიზანტია-ირანის დიპლომატიური ურთიერთობის ზემოგანხილული მასალებით დასტურდება, დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის 570—571 წლებიდან შეწყვეტილა. მაგრამ სარეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ დავა ბიზანტიასა და ირანს შორის 570 წლის შემდეგაც გაგრძელდა და დამთავრდა 590 წელს, ბიზანტიელების მიერ სვანეთის დაპყრობით; მაგალითად, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, 575 წ. ბიზანტიას სვანეთი წაურთმევია ირანისათვის, ხოლო ირანს 590 წ. უცდია სვანეთის უკან დაბრუნება, მაგრამ დამარცხებულა.

ის წერს:

„ამასვე ადასტურებს, რასაკვირველია, ის გარემოებაც, რომ 590 წ. ირანელები ბარამის მეთაურობით ილაშქრებენ სვანეთის წინააღმდეგ. რომ ამ დროს სვანეთი ხელმეორედ ყოფილა დაპყრობილი ბიზანტიელების მიერ (ხაზი ჩვენია, — გ. ა.), ამას საბოლოოდ ამტკიცებს იოანე ბიკლარელის „ქრონიკა“ (იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და ირ. ბერაძე, სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ; „ტფილისის უნივერსიტეტის შრომები“, ტ. VII, ტფ., 1938)“[1].

და შემდეგ განაგრძობს:

„ჩვენი აზრით ამ შეუსაბამობის საკითხი ასე უნდა გადაწყდეს: 590 წლის (თეოფანეს მიხედვით — 588 წლის) თარიღით მოთხრობილი ამბავი ეხება სვანეთის გარშემო არსებულ ბრძოლას ირანელთა სარდალ ბარამსა და ბიზანტიელ სტრატეგოს რომანოზს შორის“ (ხაზი ჩვენია, — გ. ა.)[2].

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 33 (იხ. შენიშვნა) 1941, თბილისი.

[2] იქვე, გვ. 35.

შემდეგ ნათქვამია:

„ხოლო როდესაც 589 — 590 წელს ირანის სარდალი ბარამი თურქთა წინააღმდეგ ლაშქრობიდან ბრუნდებოდა, მას ირანის მეფის ჰორმიზდას დავალებით უცდია სვანეთი. კვლავ წაერთმია ბიზანტიისათვის“ (ხაზი ჩვენია,—გ. ა.)[1].

მკვლევართა ეს მოსაზრება დამყარებულია თეოფილაქტე სიმოკატას ერთი ცნობის შინაარსზე, სადაც, მათი ინტერპრეტაციით, მოცემულია სვანეთის დასაპყრობად 590 წ. ბიზანტია-ირანის ომის აღწერა. ჩვენი აზრით კი, თეოფილაქტე სიმოკატას მიერ აღწერილი 590 წ. ბიზანტია-ირანის ომი სვანეთს არ უნდა ეხებოდეს და ამიტომ მას არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს ბიზანტია-ირანის ურთიერთობასთან სვანეთის საკითხში.

ამ საკითხის ნათელსაყოფად ჩვენ ახლა გავარჩევთ თეოფილაქტე სიმოკატას აღნიშნული ცნობის შინაარსს და შევეცდებით გავარკვიოთ, თუ რამდენად ეხება მასში აღწერილი ომი სვანეთს.

თეოფილაქტე სიმოკატას[2] ცნობები ბიზანტიის ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი მავრიკიოს კეისრის ეპოქის შესწავლისათვის.

ამჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს თეოფილაქტეს ერთი ცნობა, სადაც აღწერილია 590 წლის ბიზანტია-ირანის ომი. ეს ცნობა შემდეგი შინაარსის შემცველია.

ირანის სარდალმა ბარამმა თურქებზე გამარჯვების შემდეგ სვანეთს მიმართა. სვანეთში მან დიდძალი დაკლა შეიძინა და ბაბილონიაში (ირანში) გაგზავნა, თვითონ კი მდინარე არაქსის ერთ-ერთ შტოს ნაპირზე დაბანაკდა. ბიზანტიის კეისარმა მავრიკიოსმა ამ ამბის შემდეგ ომის ხელმძღვანელად რომანოზი დანიშნა. რომანოზი მივიდა ჯერ კოლხიდაში, რომელსაც მდგომარეობა ენამ ლაზიკე გადაარქვა, ხოლო შემდეგ იქიდან წამოვიდა და ალბანიაში დაბანაკდა. ორივე ჯარი ალბანიის დაბლობში, მდინარე არა-

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და ირ. ბერაძე, „სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ“, თბილ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, 7, გვ. 95, 1948.

[2] თეოფილაქტე სიმოკატა მე-7 საუკუნის ისტორიკოსია, ცხოვრობს და მოღვაწეობს ერეკლე კეისრის დროს (610—641), მის კალამს ეკუთვნის საბუნებისმეტყველო ნაშრომი სათაურით: „Questiones physicae“, ეთიკურ-რიტორიკული წერილები და საისტორიო ნაშრომი (ἱστορίαι). ეს უკანასკნელი ნაშრომი მოგვითხრობს მავრიკიოს კეისრის დროინდელ (582—602) ამბებს და ამრიგად, წარმოადგენს მენანდრეს „ისტორიის“ გაგრძელებას (იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 17, 1941, თბილისი).

ქსის ნაპირებზე განლაგდა. ბარამს უნდოდა რომანოზი ირანის ტერიტორიაზე შეეტყუებინა, მაგრამ ამ ხერხმა ვერ გასჭრა. ბოლოს, მოხდა ამ ორი ჯარის შეტაკება. ამ ომში ირანელები დამარცხდნენ. ომის შედეგად ბიზანტიელებმა აიღეს სვანეთი. ირანის მეფემ ჰორმიზდმა იწყინა ეს ამბავი და ბარამს პატივი აჰყარა, ხოლო ბარამმა ჰორმიზდას წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო.

თეოფილაქტე სიმოკატას ეს ცნობა ქართული თარგმანითა და განმარტებებით გამოაქვეყნა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა[1], რომლის დასკვნით, აქ აღწერილი ამბავი ეხება ბიზანტიასა და ირანს შორის სვანეთის დასაპყრობად წარმოებულ ომს. ეს მოსაზრება დამყარებულია იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნულ წყაროში იხსენიება სვანეთი. მაგრამ ტექსტის ზოგიერთი ადგილი და გეოგრაფიული სახელწოდება მკითხველს ეჭვს აღუძრავს იმის შესახებ, თუ ნამდვილად სად წარმოებდა ომი—სვანეთში, თუ ალბანიის მიდამოებში?

ტექსტის ზოგიერთი ადგილის მიხედვით ირანისა და ბიზანტიის ჯარების თავმოყრა ხდება ალბანიის მიდამოებში, მდინარე არაქსის ნაპირზე. აქვე ხდება ირანისა და ბიზანტიის ჯარების შეტაკება. მაგალითად, თეოფილაქტე წერს:

„συνήντα δέ καὶ τὸ βάρβαρον. στρατοπεδεύονται γοῦν ἑκάτεραι δυνάμεις ἐν πεδίῳ τῆς Ἀλβανίας, ἃς διεῖργε τῆς παρατάξεως ἀπορρώξ τις ἀγχιβαθὴς ἐκ τοῦ Ἀράξου ποταμοῦ προερχόμενος. τὰ μέν οὖν πλήθη ἐπί ταῖς ὄχθαις ἐναυλιζόμενα τοῦ μεσιτεύοντος ὕδατος ἐδίδοσάν τε καὶ ἀντελάμβανον λόγους. τρίτη δ' ἡμέρα, καὶ ἄγγελος ἀπὸ τοῦ Περσικοῦ πρὸς τὸν Ῥωμανὸν παραγίνεται: τὸν πόλεμον ἐξαιτούμενος, χώραν τε τῇ διαβάσει ἢ Ῥωμαίους Πέρσαις παρέχεσθαι ἢ τὸ βάρβαρον τοῖς τῶν Ῥωμαίων στρατεύμασιν (de Boor 120, 25—124, 27)".[2]

„ბარბაროსებიც თავისი მხრით დაირაზმნენ შესახვედრად; ორივე ჯარი ბანაკდება ალბანიის დაბლობში. საბრძოლველად დაწყობილ ჯარებს ჭყოფდა ერთმანეთისაგან ერთი ღრმა შენაკადი, მდინარე არაქსის შტო (ხაზი ჩვენია,—გ. ა.); წყლის ნაპირებზე დაბანაკებული ჯარები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ კიდეც. მესამე დღეს სპარსელებისაგან მოციქულიც მოდის რომანოზთან

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, ჯეორგიკა, IV, 1, გვ. 21—26 და 32—35, 1941, თბილისი.

[2] იქვე. გვ. 26.

და მოითხოვს ომის დაწყებას, რათა გადაწყდეს საკითხი, რომ ან რომაელებმა დაუთმონ სპარსელებს წყალზე გადასვლა, ან ბარბაროსებმა რომაელთა ჯარებს"[1].

იქვე ვკითხულობთ:

„διά τοι τοῦτο διαπεραιωσάμενος τὸν γείτονα ποταμὸν ἐπὶ τὸ Κάνζακον τὴν ὑποχώρησιν ἐπεποίητο ἐφελκόμενος ὥσπερ ἐπὶ τὰ ἐνδότερα τῆς Περσίδος Ῥωμαίους".

„ამიტომაც მან (ბარამმა) გადალახა მეზობელი მდინარე და განძაკისაკენ[2] დაიხია, თითქოს შიდა სპარსეთში ითრევდა რომაელებს" (ხაზი ჩვენია,—გ. ა.)[3].

და შემდეგ განაგრძობს:

„οἱ μὲν οὖν τὸν ὄλεθρον ἀσμενίσαντες καὶ παρακρουσθέντες ὑπὸ τῆς ὑποσχέσεως ἤλωσαν ὑπὸ τοῦ Περσικοῦ, ζωγρηθέντες τε καὶ μετὰ στρεβλώσεων τὰς ἀποκρίσεις πρὸς τὰς πεύσεις ποιούμενοι κατάδηλα πάντα τῷ Βαράμ ἐποιήσαντο, ὅπως ὁ Ῥωμανὸς τῆς Περσικῆς ἐπιβαίνειν οὐ τεθάρρηκε γῆς, τό τε ὀλιγοστὸν τῆς περὶ αὐτὸν μαχίμου δυνάμεως".

„რომაელებიც, გახარებულნი იმით, რომ მტერს მოსრავდნენ, და მოტყუებულნი ამ დაპირებით, შეპყრობილ იქნენ სპარსელთა ჯარის მიერ, წაყვანილ იქნენ ტყვეებად, და მათ წამების ქვეშ უპასუხეს შეკითხვებზე და ყველაფერში გამოუტყდნენ ბარამს, სახელდობრ, თუ რატომ ვერ გაბედა რომანოზმა სპარსეთის მიწა-წყალში შეჭრა, რომ მას თავის გარშემო მეტად მცირე მებრძოლი ძალები ჰყავს" (ხაზი ჩვენია,—გ. ა.)[4].

ხოლო შემდეგ ნათქვამია:

„περίδοξος τοίνυν ὁ Βαράμ κατὰ τὸν Τουρκικὸν γενόμενος πόλεμον τῇ Σουανίᾳ, προσομιλεῖ, καὶ λείας κρατήσας περιφανοῦς καὶ ἐπὶ τὴν Βαβυλωνίαν ἐκπέμψας ἐς τὸν Ἀράξην στρατοπεδεύεται ποταμόν, ὃν Ἔρας ἀποκαλοῦσιν οἱ βάρβαροι. ὁ δ' αὐτοκράτωρ τῶν συμβεβηκότων ἀκηκοῶς Ῥωμανὸν τοῦ πολέμου κηδεμόνα καθίστησινς γενόμενος οὖν ἐν τῇ Κολχίδι ὁ στρατηγός, ἣν Λαζικὴν ἡ συνήθη. μετωνόμασε γλῶττα, καὶ τῷ ἐκεῖσε ἱεραρχοῦντι κοινολογησάμενος, ἀπάρας ἐντεῦθεν στρατοπεδεύεται ἐπὶ τὴν Ἀλβανίαν αὐτήν".

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 23, თბილისი, 1941

[2] პროფ. ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით, აქ იგულისხმება ირანის ქალაქი განძაკი, მდებარე ურმიის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით (გეორგიკა, IV, 1, გვ. 23, შენიშვნა); აგრეთვე: Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, стр. 241; აგრეთვე: В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, стр. 143, 1903.

[3] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 23—24, 1941, თბილისი.

[4] იქვე, გვ. 24.

„ამრიგად, თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში სახელგანთქმული ბარამი სვანეთს მიმართავს, და, ხელთ იგდებს რა დიდძალ ნადავლს, გზავნის მას ბაბილონიაში და დაიბანაკებს მდინარე არაქსზე, რომელსაც ბარბაროსები ერასს უწოდებენ (ხაზი ჩვენია,—გ. ა.). ხოლო ავტოკრატორმა (ე. ი. მავრიკიოსმა) რომ გაიგო ეს ამბავი, რომანოზი დანიშნა ომის ხელმძღვანელად. ეს სტრატეგოსი კოლხიდაში რომ მივიდა, რომელსაც მდაბიურმა ენამ ლაზიკე გადაარქვა და შეუთანხმდა იქაურ მმართველებს, დაიძრა იქიდან და დაბანაკდა თვით ალბანიის წინააღმდეგ“[1].

თუ ჩვენ ზემომოყვანილი ამონაწერებიდან მხედველობაში მივიღებთ ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, როგორიცაა: „ალბანია“, მდინარე „არაქსი“ (რომელიც ალბანიაში იმყოფება) და ქალაქი „განძაკი“ (რომელიც ირანში მდებარეობს), მაშინ ნათელი გახდება, რომ აღნიშნული ომი მოხდა ალბანიაში და არა სვანეთში. ამ აზრს ამაგრებს შემდეგი წინადადებაც: „(ბარამი) თითქოს შიდა სპარსეთში ითრევდა რომაელებს“. ამ გამოთქმიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული ომი მოხდა ალბანიაში, ირანის საზღვართან ახლოს, ისეთ ადგილას, საიდანაც ბიზანტიელებს შეეძლოთ ირანში შესვლა.

მაშასადამე, ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ომი მოხდა ალბანიის დაბლობში, მდინარე არაქსის ნაპირებზე და არა სვანეთში, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული.

აქ ერთია კიდევ აღსანიშნავი: ბიზანტიის ჯარის სარდლად დანიშნული რომანოზი მიდის კოლხიდაში, უთანხმდება ადგილობრივ მმართველებს, იქიდან წამოვა და ალბანიაში დაბანაკდება. აქ ის გარემოებაა ჩვენთვის საყურადღებო, რომ რომანოზი კოლხეთიდან მიდის არა სვანეთში, რომელიც კოლხეთს ზედ აკრავს,

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 23, 1941, თბილისი.

არამედ ალბანიაში, რადგან აღნიშნული ომი სწორედ იქ, ალბანიაში მოხდა და არა სვანეთში.

მაგრამ თეოფილაქტეს ზემოხსენებულ ცნობაში მოიპოვება ისეთი ადგილები, რომლებიც თითქოს ადასტურებენ, რომ აღნიშნული ომი მოხდა სვანეთში. მოვიყვანოთ ეს ადგილებიც:

„ἔτος ὄγδοον τῆς βασιλείας Μαυρικίου τοῦ αὐτοκράτορος, καὶ Βαράμ, ὁ τῶν Περσῶν στρατηγός, ἅμα ταῖς δυνάμεσι τοῦ βαρβαρικοῦ ὑπὸ Ὁρμίσδα, τοῦ τῶν Περσῶν βασιλέως, κατὰ Σουανίας ἐκπέμπεται".

„მერვე წელს მავრიკიოსის ავტოკრატორობისას სპარსელთა მეფის ჰორმიზდას მიერ სვანეთის წინააღმდეგ იგზავნება სპარსელთა სტრატეგოსი ბარამი (ხაზი ჩვენია,— გ. ა.) ბარბაროსთა ლაშქრითურთ"[1].

აგრეთვე შემდეგი:

„ἐπεὶ δὲ κατὰ νοῦν αὐτῷ τὰ περὶ τοὺς Τούρκους ἐλήλακεν, ἀνατείνει κατὰ Σουανίας τὴν μάχαιραν".

„ხოლო, როდესაც თურქთა შესახები საქმეები მას [ბარამს] უკვე აღარ აწუხებდა, სვანეთის წინააღმდეგ აღმართა მახვილი"[2] (ხაზი ჩვენია, გ. ა.).

შემდეგ ნათქვამია:

„περίδοξος τοίνυν ὁ Βαράμ κατὰ τὸν Τουρκικὸν γενόμενος πόλεμον τῇ Σουανίᾳ προσομιλεῖ".

„ამრიგად, თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში სახელგანთქმული ბარამი სვანეთს მიჰმართავს (ხაზი ჩვენია.—გ. ა.)"[3].

შემდეგ ვკითხულობთ:

„τὸ δὲ πλῆθος ἐξέμηνε φενάκῃ συσκευασάμενος ὡς οἷα δή κατὰ τοῦ ὁπλιτικοῦ τοῦ Περσῶν χαλεπαίνοντος βασιλέως καὶ προσαπειλοῦντος καὶ φόνον τοῖς Βαβυλωνίοις στρατεύμασι διὰ τὰ περὶ τὴν Σουανίαν τῆς συμπλοκῆς ἀτυχήματα".

„მან [ბარამმა] ააფორიაქა ჯარი ტყუილების მოგონებით, თითქოს მეფე ჯავრობდა სპარსელთა ჯარზე და სიკვდილით ემუქრებოდა ბაბილონურ ჯარებს იმ დამარცხებათა გამო, რომლებიც შეემთხვათ მათ სვანეთში (ხაზი ჩვენია,—გ.ა.)"[4].

მოყვანილი ადგილები თითქოს ადასტურებენ, რომ ბიზანტია-ირანის ზემოაღნიშნული ომი მოხდა სვანეთში, მით უფრო,

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 21, 1941, თბილისი
[2] იქვე, გვ. 23.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 32—33.

რომ ჰორმიზდა ჯავრობდა სპარსელთა ჯარის სვანეთში დამარცხების გამო.

საყურადღებოა, რომ მკვლევარნი აღნიშნულ 590 წლის ბიზანტია-ირანის ომს ეარაუდობენ სვანეთში, რადგან ზემომოყვანილ ამონაწერებში „სვანეთი“ რამდენჯერმე იხსენიება. მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ამ წყაროში, გარდა საერთოდ „სვანეთისა“, მიხი მოსაზღვრე ლაზიკის, ან თუნდ სვანეთის რაიმე გეოგრაფიული ადგილი, თუ სტრატეგიული პუნქტი ერთხელაც არ არის მოხსენებული. პირიქით, იხსენიება „ალბანია“, მდინარე „არაქსი“ და ირანის ქალაქი „განძაკი“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ომი მოხდა ალბანიაში.

მაშასადამე, ზემომოყვანილი მასალიდან დასტურდება თეოფილაქტეს ცნობაში მოთხრობილი ამბების დიდი შეუსაბამობა: ერთი მხრივ, ნათქვამია, რომ ბიზანტიისა და ირანის ჯარების თავმოყრა მოხდა ალბანიის მიდამოებში, მდინარე არაქსის ნაპირებზე, სადაც ეს ჯარები ერთმანეთს შეებრძოლნენ; ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნულია, რომ ირანის სარდალი ბარამი თავს დაესხა სვანეთს და ირანის ჯარი დამარცხდა. გამოდის, რომ ბიზანტიისა და ირანის ჯარები ერთმანეთს ალბანიის დაბლობში, მდინარე არაქსის ნაპირებზე შებრძოლებიან, ხოლო ირანის ჯარი დამარცხებულა სვანეთში.

ეს შეუსაბამობა კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ თეოფანე ემთაღმწერლის ცნობასაც. თეოფანე წერს:

„ὁ Ῥωμανὸς τὴν Λαζικὴν καὶ εἰς τὸν Φάσιδα γενόμενος ποταμὸν ἐπὶ τὴν Ἀλβανίαν στρατοπεδεύεται“.

„რომანოზი მივიდა ლაზეთში და მდინარე ფაზისზე რომ იყო, ალბანიის წინააღმდეგ დაბანაკდა“[1].

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, რომანოზი ალბანიის წინააღმდეგ საბრძოლველად დაბანაკებულა მდინარე ფაზისზე. აქ თეოფანე იჩენს ამიერკავკასიის გეოგრაფიის სუსტ ცოდნას, რადგან მდინარე ფაზისი მდებარეობს ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში, ლაზიკაში, ალბანია კი—აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის ნაპირებზე, და ამიტომ მდინარე ფაზისზე ყოფნით ალბანიის წინააღმდეგ დაბანაკება შეუძლებელია.

ეს შეუსაბამობა დაწვრილებით აქვს წარმოდგენილი პროფ. ს. ყაუხჩიშვილს, რომელიც მის ახსნასაც იძლევა. ის წერს:

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 88, 1941, თბილისი.

„სვანეთის წინააღმდეგ ირანელთა ლაშქრობის ამბავი, როგორც ეს აქამდე იყო ჩვენ მიერ მოთხრობილი თეოფილაქტესა და თეოფანეს ცნობათა საფუძველზე, თითქოს არავითარ გაუგებრობას არ შეიცავს; სამაგიეროდ, გაუგებრობას იწვევს იმავე ისტორიკოსთა მომდევნო თხრობა. თეოფილაქტეს მოთხრობით, ბარამი ხელთ იგდებს სვანეთში დიდძალ ნადავლს და ბანაკდება მდინარე არაქსზე; ბიზანტიელების მიერ ლაზეთის სტრატეგოსად დანიშნული რომანოზი მიდის ლაზეთში, უთანხმდება ადგილობრივ მმართველებს და ბანაკდება ალბანიის წინააღმდეგ; ბარამმა უკან დაიხია, ბიზანტიისა და ირანის ჯარები, ე. ი. რომანოზი და ბარამი ერთმანეთს ხვდებიან ალბანიის დაბლობში, მდინარე არაქსის ერთ-ერთი შტოს ნაპირებთან; აქ გამართულ ბრძოლაში ირანელები სასტიკად დამარცხდნენ. ეს დამარცხება იწყინა ირანის მეფემ ჰორმიზდმა და პატივი აჰყარა ბარამს, რომელმაც ამის შემდეგ აჯანყება მოაწყო ჰორმიზდას წინააღმდეგ. რა კავშირი აქვს ერთმანეთთან სვანეთის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობას და მდინარე არაქსის ნაპირებზე, ალბანიის დაბლობში, დაბანაკებას? კიდევ უფრო ნათლად ჩანს ამ საკითხის დასმის საჭიროება თეოფანეს მოთხრობიდან: „რომანოზი მივიდა ლაზეთში და მ დ ი ნ ა რ ე ფ ა ზ ი ს ზ ე რ ო მ ი ყ ო, ა ლ ბ ა ნ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ დ ა ბ ა ნ ა კ დ ა“... „...ცხადია, ფაზისის ნაპირებზე ყოფნით ალბანიის წინააღმდეგ ლაშქრობა შეუსაბამობას წარმოადგენს“[1].

ხოლო შემდეგ ნათქვამია:

„ჩვენის აზრით, ამ შეუსაბამობის საკითხი ასე უნდა გადაწყდეს: 590 წ ლ ი ს (თ ე ო ფ ა ნ ე თ ი 588 წ.) თ ა რ ი ღ ი თ მ ო თ ხ რ ო ბ ი ლ ი ა მ ბ ა ვ ი ე ხ ე ბ ა ს ვ ა ნ ე თ ი ს გ ა რ შ ე მ ო ა რ ს ე ბ უ ლ ბ რ ძ ო ლ ა ს (ხაზი ჩვენია,—გ. ა.) ირანელთა სარდალ ბარამსა და ბიზანტიელ სტრატეგოსს რომანოზს შორის“[2].

შემდეგ ის განაგრძობს:

„აქ და III მე-6—7 თავებში თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე ე ხ ე ბ ა ს ვ ა ნ ე თ ი ს გ ა რ შ ე მ ო (ხაზი ჩვენია, — გ. ა.) ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის არსებული დავის საკითხისათვის მნიშვნელოვან ეპიზოდს: მაურიკიოს კეისრის მეფობის მერვე წელს (589—590), როდესაც ირანელმა სარდალმა ბარამმა თურქებზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა და დიდძალი სიმდიდრე იგდო ხელთ, მ ა ნ „ს ვ ა ნ ე-

[1] პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, IV, I, გვ. 34 (იხ. შენიშვნა) 1941, თბილისი.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 35.

თის წინააღმდეგ აღმართა მახვილი" (ხაზი ჩვენია,— გ. ა.), სვანეთისათვის — და აგრეთვე ბიზანტიისათვის — ეს მოულოდნელი ყოფილა; ამ დროს სვანეთში—და საერთოდ ლაზეთში—ბიზანტიას აღარ ჰყოლია საგანგებო სტრატეგოსი და არც საკმაო რაოდენობა ჯარისა მდგარა იქ"[1].

მაშასადამე, პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, რაკი თეოფილაქტე სიმოკატას ცნობების დიდ შეუსაბამობას ნათელს ხდის, ასკვნის, რომ აღნიშნული 590 წლის ბიზანტია-ირანის ომი მომხდარა სვანეთში და არა ალბანიაში.

ამ საკითხს შეეხო აგრეთვე პროფ. ი. კულაკოვსკი, რომელიც უარყოფს ირანის სარდლის ბარამის გალაშქრებას სვანეთზე 590 წელს; მას აღნიშნული ომი მიაჩნია გაუგებრობად. ის წერს:

„По миру 562 года, эта область перестала быть доступной для персов. Отсюда следует, что сообщение Феофилакта о походе Вахрама в Сванию является лишь недоразумением. Очевидно, Феофилакт здесь что-то перепутал. Он смешал имена Свании и Сюнии"[2].

პროფ. ი. კულაკოვსკის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ირანის სარდლის ბარამის გალაშქრება სვანეთზე 590 წელს მას გაუგებრობად მიაჩნია. ამას იგი იმით ასაბუთებს, რომ 562 წლის საზაეო მოლაპარაკების შემდეგ სვანეთი ირანისათვის მიუდგომელი გამხდარა. აქ მას მხედველობაში აქვს ლაზიკის გადაცემა ბიზანტიისათვის.

პროფ. ი. კულაკოვსკის ის მოსაზრება, რომ ბარამის გალაშქრება სვანეთზე 590 წელს. უსაფუძვლოა, ჰეშმარიტებაა, რადგან ჩვენ აქ გარკვეული გვაქვს, რომ სვანეთი 590 წელს ირანის მფლობელობაში იყო და ამიტომ ბარამს ამ დროს არ შეეძლო მის წინააღმდეგ გაელაშქრა. მაგრამ, პროფ. კულაკოვსკის მიერ თავისი აზრის დასამტკიცებლად წარმოდგენილი საბუთი ჩვენ სამართლიანად არ მიგვაჩნია. მისი აზრით, ლაზიკა 562 წლის საზაეო მოლაპარაკების შემდეგ ბიზანტიის მფლობელობაში გადასულა, ამიტომ სვანეთი უკვე მიუდგომელი გამხდარა ირანისათვისო და ირანის სარდლის ბარამის გალაშქრება სვანეთზე გაუგებრობად უნდა იქნეს მიჩნეულიო.

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 33 (იხ. შენიშვნა), 1941, თბილისი.

[2] Проф. Ю. Кулаковский, История Византии, т. II, стр. 510, 1912, Киев.

ეს მოსაზრება ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, რადგან, თუ ნამდვილად, ლაზიკის ბიზანტიის ხელში გადასვლის გამო სვანეთი ირანისათვის მიუდგომელი გამხდარა, ისე რომ ირანს იქ ომის წარმოება არ შეეძლო, მაშინ რით უნდა აიხსნას ბიზანტია-ირანის დიპლომატიური ბრძოლა სვანეთის საკითხის გამო? საქმეც იმაშია, რომ სვანეთი არ იყო მიუდგომელი ირანისათვის. რადგან, გარდა ლაზიკისა, არსებობდა სვანეთში მიმავალი სხვა გზებიც, რომლებიც შესწავლას მოითხოვენ. სვანეთს მაშინ ჰქონდა სათანადო სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა, რის გამოც იგი საცილობელ საგნად იყო ქცეული აღნიშნულ მოქიშპე სახელმწიფოთა შორის. ლაზიკის ბიზანტიის ხელში გადასვლის გამო სვანეთი რომ ირანისათვის მიუდგომელი ყოფილიყო, მაშინ მოდავე სახელმწიფოთა შორის აღნიშნულ დიპლომატიურ ბრძოლას ადგილი აღარ ექნებოდა.

590 წლის ბიზანტია-ირანის ომს სვანეთში შეეხო აგრეთვე აკად. ფ. ი. უსპენსკი. მისი აზრით, აღნიშნული ომი ეხება კოლხიდას და, მაშასადამე, სვანეთს. ის წერს:

„Хотя персидский военачальник Варарам одержал победу над турками, но в Колхиде потерпел поражение в деле с византийским отрядом. Когда царь Ормизда, разгневанный за неудачу, хотел лишить его командования, Варарам поднял восстание и начал войну против непопулярного властителя"[1].

მაშასადამე, პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა და აკად. ფ. ი. უსპენსკის აზრით, თეოფილაქტე სიმოკატას მიერ აღწერილი 590 წლის ბიზანტია-ირანის ომი მოხდა სვანეთში, რაც დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს. ამ საკითხის გასარკვევად საპიროდ მიგვაჩნია ახსნილ იქნას ის შეუსაბამობანი, რომელთაც ადგილი აქვთ თეოფილაქტეს ზემოთ აღნიშნულ ცნობაში.

ბუნებრივად ისმება კითხვა, თუ რით უნდა აიხსნას ის შეუსაბამობა, რომელსაც თეოფილაქტეს ცნობაში ვხვდებით?

ამ საკითხის გარკვევა შუქს მოჰფენს როგორც თვით ამ შეუსაბამობას, აგრეთვე იმასაც, თუ ეს ომი სად მოხდა—ალბანიასა, თუ სვანეთში.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, თეოფილაქტე სიმოკატას მიერ აღწერილი 590 წლის ბიზანტია-ირანის ომი ეხება

---

[1] Акад. Ф. И. Успенский, История византийской империи, т. I стр. 628.

სვანეთს და ამ აღწერილობაში შენახნეული შეუსაბამობანი, ოთ-
მელთა შესახებ ზემოთ იყო საუბარი, უნდა აიხსნას მისი სხვა
ომის ამბებთან აღრევის ნიადაგზე. ის წერს:

„ჩვენი აზრით, ამ შეუსაბამობის საკითხი ასე უნდა გადა-
წყდეს: 590 წლის (თეოფანეთი 588 წლის) თარიღით
მოთხრობილი ამბავი ეხება სვანეთის გარშემო არ-
სებულ ბრძოლას ირანელთა სარდალ ბარამსა და ბი-
ზანტიელ სტრატეგოს რომანოზს შორის (ხაზი ჩვე-
ნია, — გ. ა.).....ბრძოლა გაშმაგებული იყო, ხოლო, თუ რა
სტრატეგიულ პუნქტებში წარმოებდა ეს ბრძოლა, ჩვენ არ ვიცით;
თვით იმ წყაროში, რომელიც ხელთ ჰქონია თეოფილაქტეს (მას-
თან ერთად თეოფანესაც, რომელიც თეოფილაქტეს მისდევს), ამ
პუნქტების სახელები არეული ყოფილა; აღრევა შეიძლებოდა წარ-
მოშობილიყო სხვა ბრძოლის (სახელდობრ, ალბანიაში ირანელთა
მიერ წარმოებული ერთ-ერთი ბრძოლის) აღწერის გამოყენების
საფუძველზე (ძალაუნებურად გვაგონდება ირაკლი კეისრის დროს
ალბანიაში წარმოებული ლაშქრობა, რომლის აღწერილობა, მო-
ცემული თეოფანეს მიერ 622—23 წლის ქვეშ [ed. de Boor, 306—
310; იხ. ამავე წიგნში ქვემოთ გვ. 90 შმდდ], ძალიან ჰგავს თეო-
ფილაქტეს მიერ 590 წლის ლაშქრობისათვის მოცემულ აღწერი-
ლობას); ხოლო თეოფილაქტეს მიერ, III, 7 თავის ბოლოში (და
მისგან მომდინარე თეოფანესთანაც, ed. de Boor, 263, 14—16)
მოხსენებული დამარცხება ირანელებისა ეხება არა სადღაც
ალბანიაში წარმოებულ ბრძოლას, არამედ სვანე-
თის გარშემო ბრძოლას"[1] (ხაზი ჩვენია, — გ. ა.).

მაშასადამე, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის დასკვნით,
თეოფილაქტე სიმოკატას მიერ აღწერილი 590 წ. ბიზან-
ტია-ირანის ომის ამბები არეულია ირაკლი კეისრის 622—623
წლების ირანის წინააღმდეგ ალბანიაში წარმოებული ლაშქრობის
ამბებთან; მისი აზრით, ირაკლი კეისრის ეს ლაშქრობა ძალიან
ჰგავს თეოფილაქტეს მიერ მოცემულ 590 წლის ლაშქრობის აღ-
წერილობას.

მაგრამ, უნდა აღენიშნოთ, რომ ირაკლი კეისარი, თეოფა-
ნეს[2] გადმოცემით, ბიგ შუაგულ ირანში შეიჭრა, რამდენჯერმე
დაამარცხა ირანის ჯარი, მრავალი სოფელი და ქალაქი აიღო
და გადაწვა, როგორიცაა, მაგალითად, განძაკი, თებარმაისი და

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 35, 1941. თბილისი.
[2] იქვე, გვ. 90—94.

სხვა. ასეთ ამბებს თეოფილაქტეს აღწერილობაში ჩვენ ვერ ვხვდებით. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ირანელები ამ ლაშქრობის დროს თითქოს ომს აწარმოებდნენ ირაკლი კეისრის წინააღმდეგ ალბანიაში, ჩვენ ეს დამაჯერებლად არ მიგვაჩნია, რადგან თეოფანე ყამთააღმწერელი ამის შესახებ სხვა აზრს გამოთქვამს. თ ე ო ფ ა ნ ე წერს:

„Τούτῳ τῷ ἔτει Χοσρόης ὁ τῶν Περσῶν βασιλεὺς Σαραβλαγγᾶν προεβάλετο στρατηγόν, ἄνδρα δραστήριον καὶ τύφῳ πολλῷ ἐπηρμένον. καὶ παραδοὺς αὐτῷ στρατὸν τοὺς λεγομένους Χοσροηγέτας καὶ Περοζίτας ἐν 'Αλβανίᾳ ἔστειλε κατὰ 'Ηρακλείου. εἰσβαλόντες δὲ δὶς τὰ ἄκρα τῆς 'Αλβανίας, οὐκ ἐθάρρησαν κατὰ πρόσωπον τοῦ βασιλέως πρὸς πόλεμον στῆναι· ἀλλὰ τὰς ἐπί Περσίδα ἀγούσας κλεισούρας ἐκράτησαν, νομίζοντες τοῦτον λοχῆσαι. ὁ δὲ 'Ηράκλειος ἅμα ἔαρι ἀπάρας τῆς 'Αλβανίας δι' ὑπτίων πεδίων, καὶ τὰς τροφὰς δαψιλῶς εὐπορούντων τὴν πάροδον ἐποιεῖτο ἐπὶ Περσίδα, εἰ καὶ μήκους διάστημα πολλῇ ὁδῷ ἤνυεν".

„ამ წელს (623 წ.) სპარსელთა მეფემ ხოსრომ სარდლად დანიშნა სარაბლანგა, კარგი მეომარი და თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე. ჩააბარა მას ჯარი ეგრეთწოდებული ხოსროგეტებისა და პეროზიტებისა, და ალბანიაში გაგზავნა ირაკლის წინააღმდეგ. ისინი ალბანიის მაღლობებზე აიჭრნენ, მაგრამ მეფის პირისპირ ბრძოლის დაწყება ვერ გაბედეს (ხაზი ჩვენია, —გ. ა.). სამაგიეროდ დაიჭირეს სპარსეთში შემავალი ვიწრობები და ფიქრობდნენ აქ ჩასაფრებას. გაზაფხული რომ დადგა, ირაკლიმ დასტოვა ალბანია და ფართოდ გაშლილი და უხვი მოსავლით განთქმული ველებით გასწია სპარსეთში, თუმცა დიდი მანძილების გავლა უხდებოდა"[1].

თ ე ო ფ ა ნ ე ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ლ ი ს ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ხოსრომ ჯარი გაგზავნა ალბანიაში ირაკლი კეისრის წინააღმდეგ; აქ სპარსეთის ჯარმა მაღლობები დაიჭირა, მაგრამ ბიზანტიის ჯარის წინააღმდეგ პირისპირ ბრძოლა ვერ გაბედა. მაშასადამე, აქედან ცხადია, რომ ირანის ჯარებსა და ირაკლი კეისრის ჯარებს შორის ალბანიაში ბრძოლას ადგილი არ ჰქონია. ამასთანავე, ირანის ჯარებმა დაიჭირეს ირანში შემავალი ვიწრობები, ხოლო გაზაფხული რომ დადგა, ირაკლი კეისარი თავისი ჯარით შევიდა ირანში.

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, „ეკლესიის", IV, 1, გვ. 94—95, 1941 წ., თბილისი.

ერთი სიტყვით, ჩვენ აქ ვერ ვხედავთ რაიმე მსგავსებას თეოფილაქტე სიმოკატას მიერ აღწერილ 590 წლის ბიზანტია-ირანის ომსა და ირაკლი კეისრის ლაშქრობას შორის.

მაშასადამე, ირაკლი კეისრის ლაშქრობის დროს ალბანიაში ირანისა და ბიზანტიის ჯარების შებრძოლება არ მომხდარა: „ისინი (ირანელები) ალბანიის მაღლობებზე აიჭრნენ, მაგრამ პირისპირ ბრძოლის გამართვა ვერ გაბედეს“.

თეოფილაქტეს 590 წლის ბიზანტია-ირანის ომის აღწერილობით კი ბიზანტიისა და ირანის ჯარების შებრძოლება მოხდა ალბანიის მიდამოებში, მდინარე არაქსის ნაპირებზე, რის შედეგადაც ირანის ჯარი სასტიკად დამარცხდა. ასე რომ, ჩვენ აქ ვერ ვხედავთ იმის საბუთს, თითქოს ამ ორი ომის აღწერილობა ერთმანეთს წააგავდეს.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, თეოფილაქტეს მიერ აღწერილი 590 წ. ბიზანტია-ირანის ომი ეხება სვანეთს. ამის დამამტკიცებელ ერთ-ერთ საბუთად მას მოჰყავს ის გარემოება, რომ ნოქალაქევის (არქეოპოლისის) ერთ-ერთ კოშკში გათხრების დროს ნაპოვნი იქნა 23 ოქროს სოლიდი.

ის წერს:

„590 წელს სვანეთის დასაცავად ლაზეთში რომანოზის ხელმძღვანელობით შეგროვებული ჯარი, რასაკვირველია, იდგომებოდა ლაზეთის სტრატეგიულ პუნქტებში, მათ შორის, განსაკუთრებით არქეოპოლისის ციხეში. ამის საბუთს წარმოადგენს ის 23 ოქროს სოლიდი, რომლებიც იქნა ნაპოვნი 1931 წელს, არქეოპოლისის (ნოქალაქევის) ერთ-ერთ კოშკში, იქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს (ეს განძი ინახება საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკურ განყოფილებაში)“[1].

ამის შესახებ ჩვენ შემდეგი უნდა ვთქვათ: მართალია, არქეოპოლისი იყო სტრატეგიული პუნქტი, სადაც განლაგებული იქნებოდნენ ბიზანტიის ჯარები, რადგან ამ დროს როგორც მთელი ლაზიკა, ისე არქეოპოლისიც ბიზანტიის მფლობელობაში იყო; ამასვე ადასტურებს არქეოპოლისში აღმოჩენილი 23 ოქროს სოლიდიც; მაგრამ ამ ოქროს სოლიდების დამოწმება იმის დასამტკიცებლად, რომ აქ, არქეოპოლისში იდგა ბიზანტიის სწორედ ის ჯარი, რომელიც შეგროვილი იყო რომანოზის მიერ სვანეთის

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 35 (იხ. შენიშვნა), 1941, თბილისი.

დასაცავად, დამაჯერებელი არ არის, რადგან ჯარის ნაწილების ადგილსამყოფელის განსაზღვრა ფულის ნიშნებით შეუძლებელია.

მაშ როგორ უნდა აიხსნას თეოფილაქტეს ზემოაღნიშნულ წყაროში აოსებული შეუსაბამობა და თვით სვანეთის მოხსენიება? შემთხვევითაა იგი მოხსენებული, თუ ეს მოხსენიება რაიმე საფუძველზეა დამყარებული?

დასმული საკითხის გასარკვევად საყურადღებოა ჩვენოვის მეოთხე საუკუნის მწერლის ევსევი კესარიელის[1] ერთი ცნობა, სადაც ძველ სახელმწიფოთა შორის იხსენიება „Σαυνία“, რაც უდრის „სივნიეთს“.

აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, მე-5 საუკუნეში სივნიეთი ცალკე სახელმწიფოდ მოჩანს. იგი „ქართველი ერის ისტორიაში“, სადაც ეხება მონოფიზიტობის გავრცელებას ამიერკავკასიაში, წერს:

„ამგვარად ირკვევა, რომ საქართველო, სომხეთი, ალბანეთი და სივნიეთი გადაჭრით მონოფიზიტობის მომხრე ყოფილა“[2].

ვინაიდან ამ სახელმწიფოთა შორის მოხსენებულია სივნიეთიც, ჩანს, რომ იგი ამ დროს ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა.

საყურადღებოა ჩვენთვის ბერძნული Σαυνία (სივნიეთი), რომელიც ფონეტიკურად წააგავს Σουανία-ს (სვანეთს). ჩვენი აზრით, თეოფილაქტემ, წყაროდან სარგებლობის დროს, Σαυνία-ში იგულისხმა Σουανία და Σαυνία-ში მომხდარი ამბავი მიაწერა Σουανία-ს (სვანეთს), რამაც გამოიწვია ის შეუსაბამობანი, რომელთა შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი. ამიტომ, თუ ჩვენ 590 წ. ბიზანტია-ირანის ომის თეოფილაქტისეულ აღწერილობაში Σουανία-ს მაგიერ ჩავსვამთ Σαυνία-ს (სივნიეთს), მაშინ არავითარ შეუსაბამობას ადგილი არ ექნება.

ერთი სიტყვით, 590 წლის ბიზანტია-ირანის ომის თეოფილაქტისეულ აღწერილობაში აღნიშნული შეუსაბამობანი უნდა აიხსნას არა 590 წ. ბიზანტია-ირანის ომის სხვა ომთან დამსგავსების საფუძველზე, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ Σαυνία-ს (სივნიეთის) Σουανία-სთან (სვანეთთან) აღრევის საფუძველზე.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ: 590 წლის ბიზანტია-ირანის ომი, აღწერილი თეოფილაქტეს მიერ,

---

[1] Записки Русск. Арх. об-а, т. XI, вып. 3 и 4, стр. 664, 1900.

[2] აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 314, 1951. თბილისი.

მოხდა არა სვანეთში, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ სივნიეთსა და ალბანიაში.

თეოფილაქტე სიმოკატას შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ზემოთ არაერთგზის იყო დადგენილი, რომ თეოფილაქტე სიმოკატას მიერ აღწერილი 590 წ. ბიზანტია-ირანის ომი ეხება არა სვანეთს, არამედ სივნიეთსა და ალბანიას. ამის გამო უნდა ითქვას, რომ თეოფილაქტე სიმოკატა აღნიშნულ ძეგლში ამჟღავნებს ამიერკავკასიის გეოგრაფიის სუსტ ცოდნას. მისი გადმოცემით ბიზანტიისა და ირანის ჯარები იბრძვიან ალბანიაში, მდინარე არაქსის ნაპირებზე. ხოლო ომის შედეგად ირანის ჯარი დამარცხდა სვანეთში და სვანეთი დაიპყრეს ბიზანტიელებმა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან სვანეთი ალბანიიდან დაშორებულია ფრიად დიდი მანძილით. თეოფილაქტე სიმოკატას ზემოაღნიშნულ ნაკლზე მიუთითებს აგრეთვე კ. კრუმბახერი[1].

ამავე ძეგლში თეოფილაქტე სიმოკატა ამჟღავნებს აღნიშნული ომის ვითარების ნაკლებ ცოდნას, რადგან ამ დროს, ე. ი. 590 წ., სვანეთი ირანის მფლობელობაშია და ამიტომ ირანს არ შეეძლო ომის წარმოება სვანეთის დასაპყრობად. ირანს არ შეეძლო ომის წარმოება სვანეთში კიდევ იმიტომ, რომ ამ დროს (590 წ.) ბიზანტია-ირანის საზღვარზე წარმოებდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, რის გამო ალბანიას და მის მიდამოებს მიეცა სათანადო სტრატეგიული მნიშვნელობა. ალბანიის დაპყრობას ცდილობდა როგორც ბიზანტია, ისე ირანი. რაც შეეხება სვანეთს, ამ ომისათვის მას მნიშვნელობა არა ჰქონდა.

თუ აქვე გავიხსენებთ თეოფილაქტეს იმ ცნობას, რომ ბიზანტიისა და ირანის ჯარების თავმოყრა მოხდა ალბანიის დაბლობში, კერძოდ მდინარე არაქსის ნაპირებზე, აგრეთვე, იმასაც, რომ აქვე დასახელებულია ირანის ქალაქი განძაკიც, მაშინ ჩვენი დასკვნა ჭეშმარიტებისაგან დაშორებული არ უნდა იყოს. ამიტომ, ზემოხსენებულ 590 წლის ომსა და ბიზანტია-ირანის ურთიერთობას სვანეთის საკითხში ერთმანეთთან არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს.

---

[1] Krumbacher K., Geschichte der byzantinischen Literatur, 2 Aufl. München, 1897, p. 250.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის[1] გამოკვლევის მიხედვით, სივნიეთი შეადგენდა სომხეთის აღმოსავლეთის განაპირა ზხარეს და იგი იწოდებოდა სომხურად „სიუნიქ“ ან „სივნიქ“. სივნიეთი მდებარეობდა არაქსიდან განჯის მთებამდე და სევანის ტბის ჩრდილო-დასავლეთის კუთხიდან არცახამდე (ყარაბაღამდე). დროთა მსვლელობაში იგი პატარა ოლქებად დაიყო და მეზობელ სახელმწიფოთა, ირანისა და ოსმალეთის მფლობელობაში (სუვერენიტეტისა და პროტექტორატობის ქვეშ) იმყოფებოდა. სივნიეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი 1186 წელს საქართველოს მეფის ვიორგი III-ს დროს, ხელში ჩაუვარდათ საქართველოდან გაძევებულ ორბელიანებს, რომელთაც თავისი ბატონობა მთელ სივნიეთზე გაავრცელეს. სივნიეთს ეწოდებოდა აგრეთვე „სისაკან“ (არაბულად სისაჯან). სივნიეთი ახლანდელი ყარაბაღია და მისი მეზობელი მიდამოები[2].

ძველ სომეხ ისტორიკოსთაგან სივნიეთისთვის ყურადღება მიუქცევია სტეფანე ორბელიანს, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სივნიეთში მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში. სტეფანე ორბელიანი იყო იმ ორბელთა გვარის შტოს წარმომადგენელი, რომელნიც გამოექცნენ საქართველოს მეფეს ვიორგი III-ს და დამკვიდრდნენ სივნიეთში. სტეფანე ორბელიანი იყო სივნიეთის ეპისკოპოსი; მას დაუწერია რამდენიმე თხზულება, მათ შორის „სისაკანის“ ანუ სივნიეთის და კერძოდ ორბელთა გვარის ისტორია, რომლის ქართული ვერსია გამოაქვეყნა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა[3].

[1] Л. Меликсет-Беков, Введение в историю госуд. образов. Юго-Кавказа, стр. 82—83, 1924, Тифлис; სივნიეთის შესახებ იხილეთ აგრეთვე: ივ. ჯავახიშვილი, „გლეხთა მოძრაობის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში“, თბილისის უნივერსიტ. მოამბე, II, 247—261, 1922—1923, თბილისი; აგრეთვე: Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, стр. 2, 220, 221; Арутюнян, Б. К., „Крестьянские волнения в Сюнии в X веке“, Ученые Записки Ерев. Гос. Педаг. Института, № 2, 1950, стр. 161—182.

[2] ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია, ს., საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1946, გვ. 287.

[3] პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, „სტეფანე სივნიელის „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია“, საისტორიო მოამბე, 6, გვ. 33—84, 1952, თბილისი; მისივე: „ტოპონიმიკური შტუდიები“, გვ. 152—154 და შენიშვნა 1; მისივე: „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“, თბილისი, 1941, გვ. 138 მისივე: „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით“, თბილისი, 1928, გვ. 76—80, ტაბულა II; აგრეთვე: Цагарели, А. А. „Сведения о памятниках грузинской письменности“, т. 1, в. III, СПБ, 1894, стр. 115; Джаваншвили, М., „Описание рукописей Церковного музея Духовенства грузинской епархии, кн. III, Тфл. 1908, стр. 91—107.

თავი მეოთხე

აბრეშუმით ვაჭრობის საკითხი და ბიზანტიის ურთიერთობა შორეულ ძვეყნებთან

მე-6 საუკუნის დამდეგიდან აბრეშუმით ვაჭრობას როგორც მახლობელ აღმოსავლეთში, ისე შუა აღმოსავლეთში დიდი მნიშვნელობა მიეცა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს ვაჭრობა ბიზანტიისათვის. ამიტომ, აბრეშუმით ვაჭრობა ბიზანტიის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან მოტივად ხდება.

ამ დროს აბრეშუმის ვაჭრობით დაინტერესებული არიან არა მარტო ბიზანტიის მოქიშპე ირანი, არამედ ეთიოპიელები, არაბები, სოგდიელები და თურქთა ხაკანი.

ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ბიზანტია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობაში შუამავლის როლს ასრულებდა. ბიზანტიის ამგვარ მნიშვნელობას ადასტურებენ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი: „კონსტანტინეპოლი ოქროს ხიდია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“ [1].

კონსტანტინეპოლი ეს უდიდესი პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სავაჭრო და გონებრივი ცენტრი, მარქსიზმის ფუძემდებელთა აზრით, იყო „უდიდესი სავაჭრო ბაზარი“ იმ დრომდე, ვიდრე არ იქნა აღმოჩენილი „პირდაპირი გზა ინდოეთისაკენ“ [2].

ამ ბაზარზე აღმოსავლეთიდან სხვა საქონელთან ერთად შემოდიოდა როგორც აბრეშუმის ნედლეული, ისე აბრეშუმის ქსოვილები, რაც ბიზანტიიდან დასავლეთის ქვეყნებში გაჰქონდათ.

შუა აღმოსავლეთიდან ბიზანტიისაკენ მიმავალი სახმელეთო სავაჭრო გზა პირდაპირ ირანის საზღვრებს ადგებოდა, რაც ბიზანტიისათვის ხელსაყრელი არ იყო. შუა აღმოსავლეთიდან მომა-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Традиционная политика России, соч. т. IX, стр. 441.

[2] იქვე, გვ. 328.

ეალი საქონელი, განსაკუთრებით აბრეშუმი, მიდიოდა ჯერ ირანში, ხოლო შემდეგ ირანიდან ბიზანტიაში. ირანის მთავრობა ამ საქონელზე დიდ საბაჟო გადასახადს ადებდა, რაც საქონელს აძვირებდა. ხოლო თვით ირანი ამით დიდ სარგებლობას ნახულობდა.

ეს გარემოება ბიზანტიას ხელ-ფეხს უბორკავდა ირანთან ურთიერთობაში და ბიზანტიის ვაჭრობას აუერხებდა. ბიზანტია იძულებული იყო ანგარიში გაეწია ირანისათვის; ბიზანტიის ინტერესები სახელმწიფოებრივ ძლიერებასთან ერთად მოითხოვდა ვაჭრობის ზრდასა და გაფართოებას, ამიტომ ბიზანტიის მმართველი წრეები ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ვაჭრობა, განსაკუთრებით აბრეშუმით ვაჭრობა, გაეთავისუფლებინათ ირანის შუამავლობისაგან, გამოენახათ სხვა გზა და კავშირი გაეპათ რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან.

იუსტინიანე ბიზანტიის ვაჭრობის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევდა. როცა კი მოლაპარაკებას აწარმოებდა, ან ხელშეკრულებას სდებდა, იგი ყოველთვის ეკონომიურ საკითხებს ეალსაჩინო, ხოლო ზოგჯერ მთავარ ადგილს უთმობდა[1].

პროკოპი კესარიელის[2] ცნობით, ჯერ კიდევ იუსტინიანემ სცადა შორეულ ხალხებთან, ეთიოპიელებთან და ჰომერიტებთან დაემყარებინა კავშირი. იუსტინიანემ მათთან ელჩად გაგზავნა იულიანე. იულიანემ ეთიოპიელებს სთხოვა, ინდებისაგან ეყიდათ აბრეშუმი და გადაეცათ ის ბიზანტიელებისათვის, რითაც ისინი დიდად ისარგებლებდნენ; ხოლო რომაელები იძულებული აღარ იქნებოდნენ თავიანთი ფული მტრისათვის გადაეცათ. ჰომერიტებს კი იულიანე სთხოვდა, დიდძალი ჯარით შეეკრილიყვნენ ირანის მიწა-წყალზე. ეთიოპიელები და ჰომერიტები იულიანეს შეპირდნენ, რომ თხოვნას შეუსრულებდნენ. დაიმედებული იულიანე სამშობლოში დაბრუნდა.

პროკოპი კესარიელის ამავე ცნობით ირკვევა, რომ ეთიოპიელებსა და ჰომერიტებს დაპირება ვერ შეუსრულებიათ. ეთიოპიელებისათვის შეუძლებელი ყოფილა ინდებისაგან აბრეშუმის ყიდვა, რადგან ინდთა მოსაზღვრე ქვეყანაში მცხოვრები სპარსელი ვაჭრები მუდამ პირველნი მიდიოდნენ თვით იმ ნავსადგურში, სადაც ინდთა ხომალდები შედიოდნენ, და, ჩვეულებრივ, მთელ საქონელს ისინი ყიდულობდნენ. ჰომერიტებისთვის კი ძა-

[1] Ш. Диль, „Юстиниан и византийская цивилизация в VI веке", стр. 541.

[2] პროკოპი კესარიელი, De bello Persico, I, 20; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, ჯორგიკა, III, გვ. 254, 1936.

ლიან ძნელი იყო უდაბურ ქვეყანაზე დიდი გზის გაკლა და ომი იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც მათზე გაცილებით უფრო ძლიერი იყო.

მაშასადამე, პროკოპი კესარიელის ცნობით დასტურდება, რომ იუსტინიანემ სცადა საკავკრო და სამხედრო ურთიერთობა გაება ეთიოპიელებთან და ჰომერიტებთან, რაც უშედეგო აღმოჩნდა.

ამის შემდეგ იუსტინიანე ცდილობდა ბიზანტიაში შეექმნა აბრეშუმის კულტურის საკუთარი ბაზა.

552 წლის ამბების აღწერისას პროკოპი კესარიელი[1] მოგვითხრობს, რომ ამ დროს ინდოეთიდან ბიზანტიაში მოვიდა რამდენიმე მონაზონი. მათ გაიგეს, რომ იუსტინიანე ზრუნავდა აბრეშუმის კულტურის საკუთარი ბაზის შექმნაზე. ისინი ჩივიდნენ მასთან და შეჰპირდნენ საქმის ისე მოწყობას, რომ ბიზანტიას სპარსეთიდან აბრეშუმის ფეტანა აღარ დასჭირდებოდა. იუსტინიანე მათ საჩუქრებს შეჰპირდა და სთხოვა სიტყვა საქმედ ექციათ. მართლაც, ეს მონაზვნები სერენიდაში[2] რომ გაბრუნდნენ, იქიდან აბრეშუმის ჭიის კვერცხები წამოიღეს და ბიზანტიაში მიიტანეს. სწორედ აქედან იწყება ბიზანტიაში მეაბრეშუმეობის შემოღება.

ხოლო თეოფანე ბიზანტიელის[3] ცნობით, აბრეშუმის ჭიის კულტურის შემოტანა ბიზანტიაში მიეწერება ერთ სპარსელს. ეს სპარსელი სერთა ქვეყნიდან რომ წამოვიდა, აბრეშუმის ჭიის თესლი ჯოხში დამალა და ბიზანტიაში მოიტანა.

ზემომოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ იუსტინიანეს დროს, 552 წელს, ბიზანტიაში შეიქმნა აბრეშუმის ნედლეულის საკუთარი ბაზა.

ამ დროს (568 წ.), მენანდრეს ცნობით (ფრმ. 18), ბიზანტიაში მოვიდნენ თურქთა ელჩები და ბიზანტიის კეისარს იუსტინე II-ს მისცეს წინადადება საკავკრო და სამხედრო კავშირის

---

[1] პროკოპი კესარიელი, De bello Gothico, IV, 1 (VIII), 17: პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 255. 1936, თბილისი.

[2] სერების ქვეყნად მეცნიერნი სხვადასხვა მხარეს გულისხმობდნენ; ბოლო წლებში მეცნიერმა ჰენიგმა დაამტკიცა, რომ სერენიდა უდრის სოგდიანას (R. Hennig, Die Einführung der Seidenraupenzucht ins Byzantinerreich: Byz. Zeitschrift, 33 (1933), 295—312; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 255—56, 1936, თბილისი.

[3] თეოფანე ბიზანტიელი, ფრგმ. 3; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 253—254, 1936, თბილისი.

დადების შესახებ. იუსტინემ თურქებთან ურთიერთობის დასამყარებლად იმავე 568 წ. გაგზავნა ელჩები ზემარქეს მეთაურობით.

თურქების ეს ელჩობა დეტალურად აქვს აღწერილი პროფ. ს. ყაუხჩიშვილს[1]. მისი გამოკვლევის თანახმად, ამ დროს თურქებმა ხელში ჩაიგდეს სოგდაიტების ქვეყანა. სოგდიანა, რომელიც აბრეშუმის სამშობლოდ ითვლებოდა. ისინი ეძებდნენ ბაზარს აბრეშუმის გასასაღებლად. ირანის მეფემ ხოსრომ მათ ნება არ მისცა ირანის ბაზაზე შეეტანათ აბრეშუმი, რათა ამით საკუთარი ბაზრისათვის მეტოქეები არ გაეჩინა.

ამის შემდეგ, მენანდრეს მიხედვით თურქებმა სოგდაიტების რჩევით კონსტანტინეპოლში გაგზავნეს ელჩები სავაჭრო და სამხედრო ხელშეკრულების დასადებად. იუსტინე II-მ სიხარულით მიიღო თურქთა ელჩები. თურქები რომ უკან გაბრუნდნენ, იუსტინემ მათ თან გააყოლა თავისი ელჩი ზემარქე. ასევე, როდესაც ეს უკანასკნელი თურქთა ქვეყნიდან კონსტანტინეპოლში ბრუნდებოდა, თურქებმა მას თავისი წარმომადგენელი გამოაყოლეს[2].

მაგასადამე, მენანდრეს ცნობით დასტურდება, რომ 568 წ. ბიზანტიაში ჩავიდნენ თურქთა ელჩები, რომელთაც იუსტინეს წინადადება მისცეს სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შესახებ. იუსტინე დათანხმდა თურქთა ელჩების წინადადებაზე და მათ უკან გაბრუნებისას თან გააყოლა თავისი ელჩები ზემარქეს მეთაურობით. ჩვენი აზრით, იუსტინეს მხედველობაში ჰქონდა არა მარტო სავაჭრო, არამედ სამხედრო ურთიერთობაც, რის შესახებ ზემოთ იყო განმარტებული.

ბიზანტია-თურქეთის ამ ურთიერთობისათვის გამოყენებული იყო ის გზა, რომელიც მოდიოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან და გადიოდა ჯერ ალანიაზე, ხოლო შემდეგ სვანეთზე ან მის მახლობელ ტერიტორიაზე და მერე აფხაზეთზე.

ირანელებმა იცოდნენ ბიზანტია-თურქეთის ურთიერთობის მიზანი და ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ამ დაახლოებისათვის, რაც ნათლად ჩანს იოანე ეპიფანელის შემდეგი ცნობიდან:

„ὅτι καὶ Τούρκων πρός Ῥωμαίους... [πρεσ]βευσαμένων, Ἰουστίνου δὲ βασιλέως τὴν πρεσβείαν προσιεμένου, καὶ Ζήμαρχον, ἄνδρα τῆς συγκλήτου βουλῆς, σὺν ἐκείνοις ἐκπέμψαντος, Πέρσαι τοὺς Ἀλανοὺς χρήμασι διαφθεῖραι βουληθέντες, δι' ὧν ἐκεῖνοι τὴν πορείαν ἔμελλον ποιήσασθαι, τόν τε Ζήμαρχον καὶ τοὺς σὺν αὐτῷ Ῥωμαίους τε καὶ Τούρκους ἐκποδὼν γενέσθαι διεσπούδαζον".

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა. III, გვ. 234, 1936, თბილისი.

[2] იქვე, გვ. 234 — 237.

„როდესაც თურქთა ელჩები მივიდნენ რომაელებთან და იუსტინე მეფემ ელჩები მიიღო და მათ გამობრუნებისას თან გააყოლა ზემარქე, საბჟოს კრებულის წევრი, სპარსელებმა მოისურვეს ფულით მოესყიდათ ალანები, რომელთა ქვეყანაზე უნდა გაევლოთ იმათ და ცდილობდნენ დაბრკოლებები შეექმნათ ზემარქესათვის და მასთან მყოფი რომაელებისა და თურქებისათვის“ [1].

მაშასადამე, ამ ცნობიდან ჩანს, რომ იუსტინემ მიიღო თურქთა ელჩები და უკან გამობრუნებისას გამოაყოლა თავისი ელჩი ზემარქე. ზემარქესა და თურქებს სვანეთის გზის შემდეგ ალანიაზე უნდა გაევლოთ. ირანელები ცდილობდნენ ალანების მოსყიდვას და დაბრკოლებების შექმნას როგორც ზემარქესთვის, ისე თურქთა ელჩებისათვის.

ბიზანტიის ელჩმა ზემარქემ და თურქების წარმომადგენლებმა, რომელნიც თურქების ქვეყნიდან ბიზანტიაში ბრუნდებოდნენ, მგზავრობის დროს დიდი შიში განიცადეს ირანელების თავდასხმის მოლოდინის გამო; ამის შესახებ მ ე ნ ა ნ დ რ ე მოგვითხრობს:

„ὁ δὲ δὴ Σαρώδιος παρενεγύησε τοῖς περὶ Ζήμαρχον διὰ τῆς τῶν Μιυσιμιανῶν ἀτραποῦ ἥκιστα ἰέναι, τῷ κατὰ τὴν Σουανίαν τοὺς Πέρσας ἐνεδρεύειν. ἄμεινον δὲ εἶναι διὰ τῆς λεγομένης Δαρηνῆς ἀτραποῦ οἴκοι ἀποχωρεῖν. ταῦτα ἐπεὶ ἔγνω ὁ Ζήμαρχος, διὰ τῆς Μιυσιμιανῆς ἔστειλεν ἀχθοφόρους δέκα μέταξαν ἐπιφερομένους, ἀπατήσοντας Πέρσας τῷ προεκπεμφθῆναι τὴν μέταξαν καὶ προτερῆσαι, τῇ ὁδῷ, ἐκ τούτου τε ὑποτοπῆσαι ὡς ἐς τὸ αὔριον παρέσται καὶ ὁ Ζήμαρχος. καὶ οἱ μὲν ἀχθοφόροι ᾤχοντο ἀπιόντες, Ζήμαρχος δὲ διὰ τῆς Δαρηνῆς παρεγένετο ἐς Ἀφιλίαν, τῇ Μιυσιμιανῇ χαίρειν εἰπών ἐς τὰ εὐώνυμά τε ἐάσας αὐτήν, ᾗ ἐπίδοξοι ἦσαν ἐπιθήσεσθαι οἱ Πέρσαι“.

„...საროდიმ ურჩია ზემარქეს დამის კაცებს, არ წ ა ს უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ მ ი ს ი მ ი ა ნ თ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა ზ ე მ ი მ ა ვ ა ლ ი გ ზ ი თ, რ ა დ გ ა ნ ს ვ ა ნ ე თ ი ს მ ა ხ ლ ო ბ ლ ა დ ს პ ა რ ს ე ლ ე ბ ი ა რ ი ა ნ ჩ ა ს ა ფ რ ე ბ უ ლ ი ო (ხაზი ჩვენია—გ. ა.). შინ დაბრუნება უმჯობესია ეგრეთწოდებული დარიანის გზითო. ეს რომ გაიგო ზემარქემ, მისიმიანთა ქვეყანაზე გაგზავნა ათი მებარგე, აბრეშუმით დატვირთული, რომელთაც შეცდომაში უნდა შეეყვანათ სპარსელები, თითქოს აბრეშუმი წინასწარ იყო გამოგზავნილი და ისინი დაწინაურდნენ; აქედან სპარსელებს უნდა ეფიქრათ, რომ მეორე დღეს ზემარქეც მოვიდოდა. მებარგენი წავიდნენ, ხოლო ზემარქე დარიანის გზით მივიდა აფსილიაში: მ ი ს ი მ ი ა ნ თ ა გ ზ ა მ ა ნ უ ა რ-

[1] ი ო ა ნ ე ე პ ი ფ ა ნ ი ე ლ ი, ფრგმ. 2; პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, III, გვ. 199, 1936, თბილისი.

ყო, დასტოვა მარცხნივ: ამ გზით საფიქრებელი იყო, რომ თავს დაესხმოდნენ სპარსელები“ (ხაზი ჩვენია,—გ. ა.)[1].

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, თურქების ქვეყნიდან დაბრუნებული ბიზანტიის ელჩი ზემარქე და მასთან მყოფი თურქთა წარმომადგენლები მშვიდობით მივიდნენ ალანთა სამფლობელომდე. ალანიაში გამოირკვა, რომ მისიმიანთა ქვეყანაზე წასვლა საშიში იყო, რადგან სვანეთის მახლობლად სპარსელები ყოფილან ჩასაფრებული.

მაშასადამე, ჩრდილო კავკასიიდან მომავალი ზემოხსენებული გზა გადიოდა ალანიაზე, შემდეგ მისიმიანთა[2] ქვეყანაზე, სვანეთის მახლობლად, ხოლო შემდეგ კი აფსილიაში. სვანეთი ამ დროს ირანის ხელში იმყოფებოდა, ამიტომ ირანისათვის ადვილი იყო, ბიზანტია-თურქეთის ურთიერთობისათვის ხელი შეეშალა.

ამ გზის შესახებ პროფ. ს. ყაუხჩიშვილი წერს:

„ამგვარად, ცხადია, რომ აბრეშუმით დატვირთული თურქების გზა გადიოდა ისეთ ტერიტორიაზე, რომლის უშიშროება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვის ხელში იყო სვანეთი; რადგან ამ დროს სვანეთი ირანელებს უკირავთ, ისინი „სვანეთის მახლობლად“ უსაფრდებიან ვაჭრებს, რომელთა გზა სვანეთის მეზობლად მდებარე მისიმიანთა მიწა-წყალზე გადიოდა“[3].

მაშასადამე, ცხადი უნდა იყოს, რომ ბიზანტია-ირანის სამშვიდობო მოლაპარაკების დროს სვანეთის საკითხის გამო მწვავე დავის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო სვანეთზე გამავალი გზის საკითხი, მითუმეტეს, რომ ბიზანტიის მიერ ეს გზა გამოყენებული იყო თურქებთან სამხედრო კავშირის დასამყარებლად; ირანი, სვანეთის მფლობელი, ცდილობს ხელი შეუშალოს ბიზანტიელებისა და თურქების ურთიერთობას.

---

[1] მენანდრე, ფრგმ. 22; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 236—237, 1936, თბილისი.

[2] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი, 1936, თბილისი.

[3] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 207, 1936 წ., თბილისი.

თავი მეხუთე

ბიზანტიისა და ირანის ინტერესები სვანეთში

ბიზანტია-ირანის ზემოგანხილულ საზავო მოლაპარაკებათა მიხედვით კარგად ჩანს, თუ რა დიდ და მწვავე უთანხმოებას იწვევდა ხოლმე სვანეთის საკითხი მოდავე მხარეთა შორის. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სვანეთს ამ პერიოდში როგორც ბიზანტიისათვის, ისე ირანისათვის.

562 წლის საზავო მოლაპარაკების შედეგად ირანი ბიზანტიას უთმობდა მთელ ლაზიკას, ხოლო სვანეთს კი თავისთვის იტოვებდა. ირანი ყოველმხრივ ცდილობდა სვანეთი ხელიდან არ გაეშვა. მოდავე მხარეთა ელჩებმა ბევრი დრო და ენერგია მოანდომეს სვანეთის საკითხის მოგვარებას, მაგრამ იგი მაინც გადაუჭრელი დარჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთი თავისთავად არ იყო ღირსშესანიშნავი ტერიტორიის სიდიდითა და სიმდიდრით [1]. მიუხედავად ამისა, არც ერთ მოდავე მხარეს არ სურს სვანეთის დათმობა. თუ როგორი განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სვანეთის საკითხს ბიზანტიის იმდროინდელ საგარეო პოლიტიკაში, ჩანს პროფ. ს. ყაუხჩიშვილის შემდეგი განცხადებიდან:

„ამით თავდება მენანდრეს მოთხრობა სვანეთის საკითხის შესახებ. ვინაიდან მენანდრეს „ისტორიის“ მხოლოდ ნაწყვეტებია ჩვენამდე მოღწეული, ამიტომ ჩვენ არ ვიცით, თუ რა ადგილი ჰქონდა დათმობილი მის „ისტორიაში“ ამ საკითხს; ის გარემოება კი, რომ მენანდრეს ექსცერპტორმა ყველაზე მეტი ადგილი სვანეთის საკითხს დაუთმო (ჩვენი გამოცემის გვ. 213—233), ნათელჰყოფს, რომ ეს საკითხი ბიზანტიის იმდროინდელი საგარეო

---

[1] ლ. ი. ლავროვის გამოკვლევის მიხედვით („Расселение аланов на Северном Кавказе до XIX века“;—Вопросы этнографии Кавказа, 1952, Тбилиси), სვანეთის მოსახლეობა ძველად გავრცელებული ყოფილა ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარეების ყუბანისა და ბაკსანას სათავეებამდე.

პოლიტიკის ყველაზე მტკივნეულ მხარეს წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, სვანეთის საკითხს უკავშირდება შემდგომი, მენანდრეს მომდევნო ნაწყვეტებში გაშუქებული საკითხი თურქებთან ურთიერთობისა, საკითხი იმ გზისა, რომლითაც უნდა გაებათ ბიზანტიელებსა და თურქებს საგაჭრო ურთიერთობა“ [1].

პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ამ აზრს ნათლად ადასტურებს ბიზანტია-ირანის ზემოთ განხილული საზავო მოლაპარაკებანი. ბიზანტია დაინტერესებული იყო სვანეთზე, ან მის მახლობლად მიმავალი გზით, რომლითაც იგი თურქებთან ამყარებდა არა მარტო საგაჭრო, არამედ სამხედრო ურთიერთობასაც.

რადგან სვანეთის საკითხი იმ დროს ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაში „ყველაზე მტკივნეულ მხარეს წარმოადგენდა“, და ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული ირანის სახელმწიფოს ხელმძღვანელთ, ამდენად უფრო მნიშვნელოვანი იყო ირანის ინტერესები სვანეთში.

ერთი სიტყვით, დიდადაა დაინტერესებული სვანეთით როგორც ბიზანტია, ისე ირანი. მაგრამ, თუ რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად მათი ინტერესები სვანეთისადმი, ნათლად არ ჩანს ელჩების მიერ საზავო სხდომებზე წარმოთქმული სიტყვებიდან. ისინი, პირიქით, სვანეთს წარმოგვიდგენენ როგორც უმნიშვნელო მხარეს. მაგალითად, ხოსრო საზავო მოლაპარაკების დროს აცხადებს:

„...ἢ μόνῃ ἀκοῇ τῷ τὸν Μερμερόην ἡμῖν σημῆναι ὡς οὐκ ἔστιν ἀξιόλογος οὐδὲ μὲν περιμάχητος ἡ χώρα οὐδὲ βασιλικῆς ἔργον ἐκστρατείας“...

„მხოლოდ გაგვეგონა, მერმეროე [2] რომ მიგვითითებდა ჩვენ, რომ ეს (სვანეთი) უმნიშვნელო ქვეყანაა და არ არის დავის ღირსი, არც სამეფო ლაშქრობის საქმეაო“ [3].

მაშასადამე, მერმეროეს განცხადებით სვანეთი უმნიშვნელო მხარეა, არ არის დავის ღირსი და არც სამეფო ლაშქრობის საქმეა.

ხოსროს ეს განცხადება, რასაკვირველია, სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან, სვანეთი რომ ირანისათვის ნამდვილად უმნიშვნელო მხარე ყოფილიყო, მაშინ ხომ ბიზანტიასა და ირანს შო-

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 233 (იხ. შენიშვნა), 193 თბილისი.

[2] მერმეროე — ირანის ჯარის სარდალი.

[3] მენანდრე, ფრგმ. 11; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 221, 1936, თბილისი.

რის არც ზემოაღნიშნულ დიპლომატიურ ბრძოლას ექნებოდა ადგილი მის გამო.

მაგრამ, მოდავე მხარეთა წარმომადგენლების ზოგიერთი განცხადებით მეღავნდება ამ ქვეყნების ნამდვილი დაფარული ინტერესები სვანეთისადმი. მაგალითად, ბიზანტიის ინტერესების გამომხატველ ისტორიკოსს მ ე ნ ა ნ დ რ ე ს ნათქვამი აქვს:

„ἡ γὰρ Σουανία ἀξιόλογος μὲν οὐδαμῶς, ὅμως δὲ ἐπιτηδείως ἔχουσα θέσεως ἐς τὰ μάλιστα ὀνίνησι τὴν Ῥωμαίων ἀρχὴν τῷ μὴ δι' αὐτῆς ἐπιτιθεμένους Πέρσας τὰ τῶν Κόλχων ὅρια λυμαίνεσθαι (HGM II, 36; de Boor 188, 17 — 189, 3)".

„...ვინაიდან სვანეთი, მართალია, ღირსშესანიშნავი არ იყო, მაგრამ ის მაინც, თავისი მოხერხებული მდებარეობით, მეტად სასარგებლო იყო რომაელთა ხელისუფლებისათვის, რათა ამ გზით მოზღვავებულ სპარსელებს კოლხეთის საზღვრები არ აეოხრებინათ"[1].

მ ე ნ ა ნ დ რ ე ს ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს სვანეთის სტრატეგიული მნიშვნელობა. 562 წლის საზავო მოლაპარაკებიდან ვიცით, რომ ირანი ბიზანტიას უთმობდა მთელ ლაზიკას, ხოლო სვანეთის გადაცემაზე უარს აცხადებდა. აქ უნდა ვივარაუდოთ, რომ ირანს ლაზიკის დათმობითა და ზავის შეკვრით ომი ბიზანტიასთან დამთავრებულად არ მიაჩნდა, სწორედ ამიტომ იგი არ თმობდა სვანეთს. ირანს უნდოდა აქ ფეხი მაგრად მოეკიდებინა და ამით ლაზიკის ზურგში მუდამ ჰქონოდა დასაყრდენი სტრატეგიული პუნქტი.

ეს გარემოება არც ბიზანტიელებს გამოპარვიათ მხედველობიდან. ამიტომაა, რომ ბიზანტიის ელჩები დაეინებით მოითხოვდნენ სვანეთის დაბრუნებას.

სვანეთი რომ ასეთ სტრატეგიულ მნიშვნელობას მოკლებული არ იყო, ჩანს გერმანელი მეცნიერის კ. გ უ ტ ე რ ბ ო კ ი ს შემდეგი სიტყვებიდანაც:

Wenn auch das Gebiet, um das es sich handelte, weder grossen Umfang hatte, noch besonderen Wert besass, so war es für die Römer doch keineswegs gleichgültig, ob das hart an ihrer Grenze gelegene Suania in den Händen der Perser verblieb und somit eine stete Bedrohung des soeben erworbenen Lazenlandes enthielt[1].

---

[1] მ ე ნ ა ნ დ რ ე. ფრგმ. 15; პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, III, გვ. 228—229.

[2] G ü t e r b o c k K., Byzanz und Persien in ihren diplomatisch-völkerrechtlichen Beziehungen im Zeitalter Justinians, S. 107, 1906, Berlin.

„თუმცა ის მხარე, რომლის შესახებაც მსჯელობა იყო, არც დიდ ტერიტორიას ფლობდა და არც განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენდა, რომაელებისათვის არავითარ შემთხვევაში არ იყო სულერთი, დარჩებოდა თუ არა მათ საზღვრებთან ახლო მდებარე სვანეთი სპარსელების ხელში და ამით მუდმივ საშიშროებაში იქნებოდა ახლახან შემოერთებული ლაზთა ქვეყანა“.

მაგრამ მეორე გერმანელ მეცნიერს ე. შტაინს სვანეთის ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობა გადაჭარბებულად მიაჩნია. ის წერს:

„Allerdings scheint man römischerseits die Bedeutung Suaniens weit überschätzt zu haben; wenigstens rechtfertigt die Rolle, die das Land tatsächlich in strategischer Hinsicht gespielt hat, keineswegs die Mühe, welche die Diplomatie aufgewandt hat, um es zu gewinnen“ [1].

„რასაკვირველია, როგორც ჩანს, რომაელების მხრივ სვანეთის მნიშვნელობა გადაჭარბებულად იქნა შეფასებული; მაინც ის როლი, რომელიც ნამდვილად ამ მხარემ სტრატეგიულის თვალსაზრისით შეასრულა, ვერ ამართლებს ვერავითარ შემთხვევაში იმ შრომას რომელიც დახარჯა დიპლომატიამ მის მისაღებად“.

ამ ორ მეცნიერთაგან ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია გუტერბოკის აზრი. მართალია, სვანეთი პატარა კუთხე იყო და თავისთავად დიდ ღირებულებას არ წარმოადგენდა, მაგრამ, როგორც ლაზიკის მოსაზღვრე, მენანდრეს თქმით, „თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომაელთა ხელისუფლებისათვის“. ასე რომ, სვანეთის სტრატეგიული მნიშვნელობა ცხადია, რადგან ირანს ლაზეთში ომი დამთავრებულად არ მიაჩნდა და საჭირო დროს მას გამოიყენებდა როგორც სამხედრო დასაყრდენ პუნქტს.

რაც შეეხება ე. შტაინის ზემომოყვანილ შეხედულებას, ჩვენ იგი სწორად არ მიგვაჩნია. აღნიშნულ აზრს ე. შტაინი თვითონვე ეწინააღმდეგება 69-ე გვერდზე [2] (იხ. იქვე, გვ. 58—59), სადაც იგი მიუთითებს იმაზე, რომ სვანეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ბიზანტიის სარდალ რომანოზს სვანეთი დაუპყრია, ბიზანტიისათვის შე-

---

[1] Stein E., Studien zur Geschichte des byzantinischen Reiches, S. 6, 1919, Stuttgart.

[2] იქვე, 69.

უქმნია ისეთი საომარი პირობები, რომ ბიზანტიის კეისარს შეეძლო ირანის მიერ წარმოდგენილი საზავო წინადადებები უარეყო.

მაშასადამე, ე. შტაინს ერთ ადგილას სვანეთი წარმოდგენილი აქვს როგორც უმნიშვნელო მხარე, ხოლო მეორე ადგილას როგორც მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი.

სვანეთის მნიშვნელობა მარტო ამით არ ამოიწურებოდა. სვანეთს სხვაგვარი მნიშვნელობაც ჰქონდა. საზავო მოლაპარაკების დროს ჩვენს ყურადღებას იპყრობს ხოსროს შემდეგი სიტყვები:

„ἀλλ' ἓν ὑπάρχει τῶν ἐθνῶν τῶν περὶ τὸν Καύκασον, καὶ ὡς ἔχουσι βασιλίσκον καὶ ὡς ὁ χωρός ἐστι Σκυθῶν πάροδος"[1].

„ეს (სვანეთი) ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიანო"[2].

როგორც ხოსროს ამ სიტყვებიდან ჩანს, სვანეთზე გადიოდა პირაქეთ გადმოსასვლელი გზა, რომლითაც სკვითები ჩრდილო კავკასიიდან გადმოდიოდნენ ამიერკავკასიაში. ამ გზით შეიძლებოდა ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ტომთა გადმოყვანა ამიერკავკასიაში სამხედრო მიზნით. აქედან ნათელია სვანეთზე გამავალი გზის მნიშვნელობა სამხედრო თვალსაზრისით. ამიტომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ცხარე დავისა მოქიშპე იმპერიათა შორის ამ გზის საკითხიც იყო.

სვანეთის ასეთი მნიშვნელობა შემჩნეული აქვს სპ. დესტუნისაც[3]. ამ გზას დიდ მნიშვნელობას აძლევს პროფ. გ. გოზალიშვილი, რომელიც ამბობს:

„ეს ძვირფასი ცნობაა და სვანეთის გამო იმპერიათა შორის ცხარე დავის ერთი მთავარი მიზეზთაგანია. ჩრდილოეთის ტომთა პირაქეთ გადმოსასვლელი გზების ხელში ჩაგდება ხომ მებრძოლი მხარეების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენდა!"[4].

---

[1] მენანდრე, ფრგმ. 11; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 221, 1936, თბილისი.

[2] მენანდრე, ფრგმ. 11; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 221, 1936, თბილისი.

[3] Дестунис Сп., Византийские историки, 1860, გვ. 350, შენიშვნა 40.

[4] პროფ. გ. გოზალიშვილი: „დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის", თბილისის სახ. უნივ. შრომები, III, გვ. 222—223, 1936, თბილისი.

თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩრდილოკავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმოსასვლელი გზა პირდაპირ სვანეთზე გადიოდა და მას სათანადო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე იმასაც, რომ ბიზანტიელებისა და თურქების ურთიერთობისათვის გამოყენებული იყო სწორედ სვანეთზე გამავალი გზა, მაშინ ნათელი გახდება მოქიშპე იმპერიათა შორის სვანეთის საკითხის გარშემო ატეხილი დავის მიზეზი. აქედან კი ცხადი უნდა იყოს ამ იმპერიათა ინტერესები სვანეთში.

სვანეთისადმი ინტერესი არც ამით არ ამოიწურებოდა. მას ჰქონდა აგრეთვე ეკონომიური მნიშვნელობაც, რადგან ისტორიული წყაროების მოწმობით, სვანეთში ოქროს შოვხაც შეიძლებოდა, რაც გარკვეული აქვს პროფ. გ. გოზალიშვილს[1] სტრაბონისა და პლინიუსის ცნობებზე დაყრდნობით.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ: სვანეთი ბიზანტიისათვის საჭირო იყო თურქებთან სავაჭრო და სამხედრო ურთიერთობის დასამყარებლად. ბიზანტიის მიერ სვანეთის ფლობა ლაზიკას უზრუნველყოფდა ჩრდილოეთიდან მტრების თავდასხმისაგან. ირანს კი უნდოდა სვანეთი ხელთ ჰქონოდა, რათა იგი გამოეყენებინა როგორც ბიზანტია-თურქეთის ურთიერთობისათვის ხელის შესაშლელად, ისე ლაზიკის წინააღმდეგ სტრატეგიულ დასაყრდენ პუნქტად.

---

[1] პროფ. გ. გოზალიშვილი, „დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის“, თბილისის სახ. უნივ. შრომები, III, გვ. 222—223, 1936, თბილისი

თავი მეექვსე

თეოფილაქტე სიმოკატას სტილი

თეოფილაქტე სიმოკატას წყაროდ გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი სტილი, რომლის საშუალებით შეიძლება გაირკვეს და დადგინდეს, თუ ტექსტის რომელი ადგილი ეკუთვნის ავტორის ნააზრევს და რომელია ამოღებული წყაროდან; ამას სათანადო მნიშვნელობა აქვს ზემოთ დასმული საკითხის გასარკვევად.

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ თეოფილაქტე სიმოკატას სტილი ხასიათდება ფერადოვნებით, რიტორიკული და მაღალფარდოვანი გამოთქმებით. ყოველივე ეს აძნელებს და აბუნდოვნებს მის მიერ გადმოცემული ფაქტების ზუსტ გაგებას.

აი, მაგალითად, როგორ ახასიათებს თეოფილაქტე სიმოკატას სტილს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი:

„ყურადღებას იქცევს თეოფილაქტე სიმოკატას ენა: იგი სავსეა რიტორიკული სახეებით, ზვიადი გამოთქმებითა და მაღალფარდოვანი შედარებებით. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, საგრძნობლად აბუნდოვანებს აზრებს და აძნელებს ავტორის მიერ გადმოცემული ცნობების დაზუსტებას. მიუხედავად ამისა, თეოფილაქტეს „ისტორია“ მავრიკიოს კეისრის ეპოქის საუკეთესო წყაროა“ [1].

ასევე ახასიათებს თეოფილაქტეს ენას ნ. ვ. პიგულევსკაია. ის წერს:

„Увлечение Феофилакта стилистикой привело его к плачевным результатам. Его манера выражаться чрезвычайно цветиста; язык усыпан множеством слов, которые усложняют самый смысл предложения. Риторические склонности Феофилакта сказались в его предисловии к „Ис-

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 17—18, 1941, თბილისი.

тории", составленном в виде диалога между философией и историей. И на всем протяжении своей книги он остается верен риторическим оборотам речи, витиеватым и условным выражениям"[1].

მაშასადამე, მკვლევართა აზრით, თეოფილაქტე სიმოკატას სტილი ხასიათდება ფერადოვანი და რიტორიკული გამოთქმებით, რაც ართულებს წინადადებათა შინაარსის გაგებას.

მაგრამ ტექსტის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ თეოფილაქტეს სტილი ყველგან ერთნაირი არ არის. ზოგჯერ გვხვდება ისეთი ადგილები, რომლებიც თავისუფალია მისი სტილისათვის დამახასიათებელი თვისებებისაგან. აქედან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ თეოფილაქტეს უხვად უსარგებლია წყაროებით, რომელთა გავლენაც დატყობია მის ნაწერებს.

ნ. ვ. პიგულევსკაიას აზრით, თეოფილაქტე სიმოკატას უსარგებლია მენანდრეს, იოანე ლიდიელისა და იოანე ეპიფანიელის წყაროებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე ეპიფანიელის გავლენა, რომლის შესახებ ნ. ვ. პიგულევსკაია წერს:

„Сведения Феофилакта об Иране, зная, что они в значительной части могли быть позаимствованы у Иоанна (Епифанийского), приобретают особое значение и могут считаться достоверными. В тексте Симокатты имеются следы простоты слога и выражений Иоанна, но значительная часть его труда подверглась переработке, и витиеватый, изысканный, претенциозный стиль Симокатты господствует на всем протяжении его книги"[2].

მაშასადამე, ნ. ვ. პიგულევსკაიას აზრით, თეოფილაქტე სიმოკატას ირანის შესახებ ცნობები ამოღებული უნდა ჰქონდეს იოანე ეპიფანიელის ნაწერებიდან და ეს ცნობები სინამდვილედ უნდა ჩაითვალოს. თეოფილაქტეს ნაწერებში ვხვდებით იოანე ეპიფანიელისეულ გამოთქმებსა და მდაბიო სტილს; ხოლო შრომის მნიშვნელოვანი ნაწილი თეოფილაქტეს გადაუკეთებია, და აქ იგრძნობა მისი გაჟიანურებული, მაღალფარდოვანი სტილი.

---

[1] Н. В. Пигуловская, Византия и Иран на рубеже VI и VII веков, стр. 8—9, 1946, М. Л.

[2] იქვე, ს. 14.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოკვლევითაც თეოფილაქტეს უხვად უსარგებლია იოანე ეპიფანიელის წყაროებით; იგი ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმას, რაც იოანე ეპიფანიელს ჰქონია მოთხრობილი. ამის შესახებ პროფ. ს. ყაუხჩიშვილი წერს:

„აქედან, მე-9 თავიდან თეოფილაქტე უბრუნდება ძველ ამბებს, იუსტინე II მეფობის ხანას. თუ არ მივიღებთ მხედველობაში თეოფილაქტეს მაღალფარდოვან გამოთქმებს, აქ მოცემულ თხრობაში თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება ის, რაც იოანე ეპიფანიელს ჰქონია მოთხრობილი (იხ. გეორგიკა III, გვ. 198 შმდდ)"[1].

მაშასადამე, თეოფილაქტე სიმოკატას უხვად უსარგებლია იოანე ეპიფანიელის ნაწერებით და მათ შრომებში ზოგჯერ სიტყვიერ დამთხვევასაც კი ჰქონია ადგილი. როგორც აღვნიშნეთ, ნ. ვ. პიგულევსკაიას[2] ეს ცნობები სინამდვილედ მიაჩნია.

მართლაც, იოანე ეპიფანიელის ცნობები სანდო წყაროდ უნდა იქნას მიჩნეული, რადგან ის თვითონ იღებდა მონაწილეობას ბიზანტია-ირანის ურთიერთობაში ხოსრო II-ის დროს. იგი ირანშიც ყოფილა, როდესაც იქ გაგზავნილი იყო გრიგოლი ზავის დასადებად, რომელსაც იოანე თან ახლდა როგორც მრჩეველი. ამის შესახებ ცნობას იძლევა თვითონ იოანე ეპიფანიელი. ის წერს:

„ἔπειτα δὲ καί τισι τῶν γεγενημένων παρατυχών, αὐτῷ τε Χοσρόῃ τῷ νέῳ ἐς λόγους ἐλθὼν καὶ τῶν ἄλλων Μήδων τοῖς μάλιστα ἀξιολογωτάτοις. καὶ γάρ με συμβέβηκε πρότερον μὲν Γρηγορίῳ τῷ τῆς Ἀντιοχέων πόλεως ἀρχιερεῖ σύμβουλον ὄντα ἅμα αὐτῷ τὴν πρὸς ἐκείνους ὁμιλίαν πολλάκις ποιήσασθαι, χρόνῳ δὲ ὕστερον μετὰ τὴν τοῦ πολέμου τελευτὴν καὶ ἐς τὴν Περσῶν ἀφικέσθαι γῆν, Γεωργίῳ συνεσβαλόντα τὴν τῶν γενομένων ὁμοφροσύνην ποιουμένῳ".

„შემდეგ, ზოგიერთ ამბებში მეც ვერიე, თვით ხოსრო უმცროსთან ურთიერთობა მქონდა და სხვა წარჩინებულ მიდიელებთან: წინათ, როდესაც ანტიოქიის მღვდელმთავრის გრიგოლის მრჩეველი ვიყავი, ხშირად მიხდებოდა გრიგოლთან ერთად იმათ-

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 27 (იხ. შენიშვნა) 1941, თბილისი.

[2] Н. В. Пигуловская, Византия и Иран на рубеже VI и VII веков, стр. 14, 1946, М. Л.

თან ურთიერთობა; შემდეგ კი, უფრო გვიან, ომის დამთავრების შემდეგ, სპარსელთა ქვეყანაშიც წასვლა მომიხდა, როდესაც გიორგის წავყევი თანხმობის ჩამოსაგდებად"[1].

ასევე 590 წლის ბიზანტია-ირანის ომის აღწერისას თეოფილაქტეს წყაროდ გამოუყენებია იოანე ეპიფანიელის ნაწერები, რომელთაგან ნაწილი გადაუკეთებია, რასაც თეოფილაქტეს სტილი ახასიათებს, ხოლო ნაწილი არ გადაუკეთებია.

ჩვენ შეგვიძლია თეოფილაქტეს აღნიშნული ძეგლიდან სტილის მიხედვით გამოვკრიფოთ ადგილები და დავადგინოთ, თუ რომელი ეკუთვნის ავტორს და რომელი თვით წყაროს.

თეოფილაქტეს სტილის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სათანადო ადგილებს, მაგალითად, თავი III, 4.—„დაწყნარებული კოლხეთი"[2].

ეს თავი მთლიანად ეკუთვნის თეოფილაქტეს; ამ თავიდან მოვიყვანთ ერთ ნაწყვეტს:

„ფაზისის წყალსაც აღარ ამღვრევდა სისხლი; მისი მშვიდობიანი მდინარება სიწყნარის ბრწყინვალებით რწყავდა კოლხეთს და მიდიელ მოსახლეს არსად არ აპაჰანებდა. აი ასეთ წესრიგში იყო მოყვანილი რომაელთა საქმეები"[3].

ასეთივეა თავი III, 6.—„ლაშქრობა სვანეთის წინააღმდეგ"[4].

„ვინაიდან ჩვენი მოთხრობა აფრაატამდე მივიტანეთ, ისტორიის მინდვრებს, მოდით, ჩავუქსოვოთ ისიც, რაც რომაელებმა სვანეთის გარშემო მოიმოქმედეს. მხატვრებიც ხომ მნიშვნელოვანსა და დიდ ნაკვეთებს რომ მოხაზავენ, მანამდე არ უშვებენ ხელს ხელოვანის ყალამს, სანამ მთელის უმცირეს ნაკვეთებსაც არ გადაიღებენ სურათებზე"[5].

ეს თავი სტილის მიხედვით ეკუთვნის თეოფილაქტეს. მაგრამ მისი ბოლო ნაწილი თავისუფალია თეოფილაქტეს სტილისათვის დამახასიათებელი თვისებებისაგან და იგი არ უნდა ეკუთვნოდეს მას. მოვიყვანთ ამ ბოლო ნაწილსაც.

---

[1] იოანე ეპიფანიელი, ფრგმ. 1; პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 197, 1936, თბილისი.

[2] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 19—20, 1941, თბილისი.

[3] იქვე, გვ. 20.

[4] იქვე, გვ. 21.

[5] იქვე

„ამრიგად, თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში აახელგანთქმული ბარამი სვანეთს მიმართავს და, ხელთ იგდებს რა დიდძალ ნადავლს, გზავნის მას ბაბილონიაში და დაიბანაკებს მდინარე არაქსზე, რომელსაც ბარბაროსები ერასს უწოდებენ. ხოლო ავტოკრატორმა (ე. ი. მავრიკიოსმა), რომ გაიგო ეს ამბავი, რომანოზი დანიშნა ომის ხელმძღვანელად. ეს სტრატეგოსი კოლხიდაში რომ მივიდა,—რომელსაც მდაბიურმა ენამ ლაზიკე გადაარქვა, და შეუთანხმდა იქაურ მმართველებს, დაიძრა იქიდან და დაბანაკდა თვით ალბანიის წინააღმდეგ“ [1].

ამ ამონაწერში ადგილი არა აქვს ფერადოვან და რიტორიკულ გამოთქმებს, ამიტომ ის თეოფილაქტეს არ უნდა ეკუთვნოდეს.

თავი III, 7 მთლიანად არ ეკუთვნის ავტორს. მოვიყვანთ ამ თავის ბოლო ნაწილს:

„ორივე ჯარი ბანაკდება ალბანიის დაბლობში. საბრძოლველად დაწყობილ ჯარებს ჰყოფდა ერთმანეთისაგან ერთი ღრმა შენაკადი, მდინარე არაქსის შტო; წყლის ნაპირებზე დაბინავებული ჯარები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ კიდეც. მესამე დღეს სპარსელებისაგან მოციქულიც მოდის რომანოზთან და მოითხოვს ომის დაწყებას, რათა გადაწყდეს საკითხი, რომ ან რომაელებმა დაუთმონ სპარსელებს წყალზე გადასვლა, ან ბარბაროსებმა რომაელთა ჯარებს“ [2].

ცხადია, ეს ნაწილიც არ ეკუთვნის ავტორს.

ზემომოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, რომ თეოფილაქტე სიმოკატას უხვად უსარგებლია წყაროებით, განსაკუთრებით ი ო ა ნ ე ე პ ი ფ ა ნ ი ე ლ ი ს ნაწერებით, რომელთა გავლენა ატყვია მის სტილს. თეოფილაქტეს ნაწერებს ახასიათებს ორგვარი სტილი: ერთი საკუთარი, ხოლო მეორე იმ წყაროსი, რომლიდანაც მან ისარგებლა, ე. ი. ი ო ა ნ ე ე პ ი ფ ა ნ ი ე ლ ი ს სტილი, რომელიც ხასიათდება მდაბიური და ადვილი გასაგები ენით.

---

[1] პროფ. ს. ყ ა ფ ხ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, VI, 1, გვ. 23, 1941.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 26.

ზემოაღნიშნულ შეუსაბამობებს იწვევს სწორედ ის ადგილები, რომლებიც თეოფილაქტეს ნააზრევს ეკუთვნის, მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას მოუხდა აღრევა: Σαυία-ს (სივნიეთის) მაგიერ იგულისხმა Σουανία (სვანეთი), ე. ი. სივნიეთის ამბები მიაწერა სვანეთს. წყაროდან მოყვანილი ადგილები კი თავისუფალია სიმოკატას სტილისათვის დამახასიათებელი თვისებებისაგან და ისინი არავითარ შეუსაბამობას არ შეიცავენ, პირიქით, სწორად გადმოსცემენ იმ ხანის ისტორიულ ვითარებასა და აძბებს.

თავი მეშვიდე

590 წლის ბიზანტია-ირანის ომის ნამდვილი ვითარება

(თეოფილაქტე სიმოკატას მიხედვით)

ზემოთ უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ ჩვენი დასკვნით, თეოფილაქტეს მიერ აღწერილი 590 წ. ბიზანტია-ირანის ომი ეხება არა სვანეთს, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული, არამედ ალბანიასა და სივნიეთს. ისმება კითხვა—თუ რა პირობებსა და ვითარებაში მოხდა 590 წ. ბიზანტია-ირანის ომი.

542 წლიდან 562 წლამდე ირანის მიერ ლაზეთის დასაპყრობად წარმოებული ომები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ირანი ბიზანტიისა და ლაზიკის მხრივ დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ირანმა ზავი არჩია. 562 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის სამშვიდობო მოლაპარაკების შედეგად დაიდო ზავი ორმოცდაათი წლის ვადით.

ამის შემდეგ ომი დასავლეთ საქართველოში ბიზანტიასა და ირანს შორის შეწყდა, ხოლო სვანეთის საკითხმა, როგორც აღვნიშნეთ, დიდი დიპლომატიური ბრძოლა გამოიწვია, დაწყებული 562 წელს და დამთავრებული 570—571 წლებით. თუმცა ბრძოლა ბიზანტიასა და ირანს შორის მხოლოდ ამით როდი ამოიწურებოდა—მათ საზღვრებზე საუკუნეებით წარმოებული ომები ამჟამადაც (590 წ.) გრძელდებოდა. ამ ომმა ბიზანტია-ირანის საზღვრებზე მეტად მწვავე ხასიათი მიიღო 585 წლის საზავო მოლაპარაკების შემდეგ, რადგან ამ მოლაპარაკებას დადებითი შედეგები არ ჰქონია.

585 წლის საზავო მოლაპარაკება შედგა ქალაქ ამიდში. მას ბიზანტიის მხრივ დაესწრო სარდალი ფილიპიკე, ხოლო ირანის

მხრივ—მებოდი. ირანის წარმომადგენელმა ბიზანტიას მოსთხოვა დოტაცია ოქროთი, რასაც ბიზანტია ირანს წინათაც უხდიდა. წინაალმდეგ შემთხვევაში მებოდი ომით იმუქრებოდა. ფილიპიკემ ირანის მოთხოვნა წერილობით აცნობა მავრიკიოსს, რომელმაც ფილიპიკეს წინადადება მისცა ომი დაეწყო ირანის წინააღმდეგ [1].

ამ ხნიდან ბიზანტია-ირანის საზღვარზე გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, რომელიც 590 წლამდე გაგრძელდა.

588 წლის ახლო ხანებში ბიზანტიელებისათვის აღმოსავლეთის ფრონტზე ცუდი პირობები შეიქმნა სამხედრო ოპერაციების საწარმოებლად. ამაში ბრალი თვით ბიზანტიის კეისარს მავრიკიოსს მიუძღვის. 588 წელს მავრიკიოსმა გამოსცა კანონი annona militaris, რომლის მიხედვით ჯარისკაცებს ულუფა ერთი-მეოთხედით უმცირდებოდათ. ამ გარემოებამ ჯარში დიდი უკმაყოფილება და მღელვარება გამოიწვია. ამის შესახებ ნ. ვ. პიგულევსკაია თეოფანესა და თეოფილაქტეს ცნობებზე დაყრდნობით წერს:

„Но когда царская грамота стала известна и весть о новом законе распространилась между всеми, волнение охватило войска (ἀναρχίας ἀκμὴ λαμβανεῖ τὴν πρόοδον). Солдаты бросились к палатке Приска, взяв мечи и подбирая по дороге камни. Испуганный Приск схватил лошадь одного из всадников царской стражи и бежал в крепость Теллу-Константину, где ему пришлось лечиться от ран и тяжелых побоев, нанесенных камнями“ [2].

...„Войска давали клятвы в том, что не будут служить, пока царствует Маврикий“ [3].

...„Войска низвергали статуи императора и обезображивали его портреты“ [4].

აქედან ცხადია, თუ როგორი იქნებოდა ბიზანტიის ჯარის განწყობილება ომისადმი. მაგრამ ასეთ პირობებში ბიზანტია მაინც აწარმოებდა ომს ირანის წინააღმდეგ, თუმცა ნაკლები წარ-

---

[1] Н. В. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI и VII веков, стр. 72, 1946, М. Л

[2] იქვე. 75.

[3] იქვე, 76.

[4] იქვე, 75.

მატებით. ამიტომ იყო, რომ 589 წელს ირანის ჯარმა ბიზანტიელებს მარტიროპოლისი წაართვა. ეს დიდი დანაკლისი იყო ბიზანტიისათვის, და მავრიკიოსმა სათანადო ზომები მიიღო.

ამ დროს (590 წ.) ირანის წინააღმდეგ წარმოებული ომი მარტო აღნიშნული ფრონტით არ განისაზღვრებოდა. ნ. ვ. პიგულევსკაიას[1] გამოკვლევით, ამ დროს ბიზანტიამ ირანის წინააღმდეგ შექმნა სამხედრო კოალიცია: დასავლეთიდან შეტევაზე უნდა გადასულიყო ბიზანტიის ჯარი; ჩრდილოეთიდან, არდებილის კარებით, უნდა წამოსულიყო ხაზართა ხაკანი; აღმოსავლეთიდან, ამუ-დარიიდან, ირანს უნდა შესეოდა თურქთა ჯარი, რომელსაც მეთაურობდა ხაკანი შავა (ეს ის თურქები იყვნენ, რომლებთანაც იუსტინე II-მ დაამყარა სამხედრო კავშირი), ხოლო სამხრეთიდან უნდა ემოქმედნათ არაბებს.

ბიზანტიის მიერ შექმნილ ამ კოალიციაში იბერიელებიც იღებდნენ მონაწილეობას, რაც დასტურდება ძველი ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით. მას ნათქვამი აქვს:

„მაშინ წარმოსცა კეისარმა განძი დიდი გუარამ კულაპარატისა თანა, და უბრძანა რათა მით გამოიყუანნეს ჩრდილოეთ ლაშქარნი და შეაერთნეს თანა სპანი ქართველთანი, და შეგზავნნეს სპარსეთს. ხოლო გუარამ ყო ეგრე: გამოიყვანნა ოესნი, დურძუკნი და დიდონი, წარუძღუანნა წინა ერისთავნი ქართლისანი. შეიდეს ადრაბადაგანს, დაუწყეს ტყუენვადა. და ესევითარნი ჭირნი და უცალოებანი მოიწივნეს სპარსთა ზედა“[2].

მაშასადამე, ბიზანტიის კეისარს გვარამ კურაპალატისათვის გაუგზავნია ფული და უბრძანებია გამოეყვანა ჩრდილოეთიდან, ე. ი. კავკასიის მთებიდან ლაშქარი, შეეერთებინა იგი ქართველ ჯართან და ეს ჯარი გაეგზავნა ირანში. გვარამ კურაპალატი ასეც მოქცეულა: მთიანეთიდან გამოუყვანია ოსები, დურძუკნი, დიდონი და მათთვის ხელმძღვანელად დაუნიშნავს ქართლის ერისთავები; ეს ჯარი შესულა ადარბადაგანში, ე. ი. ალბანიაში[3].

---

[1] Н. В. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI и VII веков, стр. 80, 1946, М. Л.

[2] ქართლის ცხოვრება: ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 143, 1942, თბილისი; აქ მოხსენებული გვარამის შესახებ იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 2, გვ. 260—262, შენიშვნა 1; იხ. აგრეთვე: სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონნიანთა“, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 58—59, თბილისი, 1949.

[3] ჯუანშერის ცნობით, ვიდრე 590 წლის ბიზანტია-ირანის ომი დაიწყებოდა, ალბანია ირანს ეპირა. ირანის მეფემ ჰორმიზდმა ამ დროს ალბანიაში

ჯუანშერის აღნიშნული ცნობით დასტურდება, რომ ბიზანტიის მიერ შექმნილ კოალიციაში მონაწილეობას იღებდა იბერიაც, რომელსაც ბიზანტიამ ფინანსიური დახმარება აღმოუჩინა.

თეოფილაქტეს მიერ აღწერილი 590 წლის ბიზანტია-ირანის ომი ნ. ვ. პიგულევსკაიას წარმოდგენილი აქვს როგორც ირანის ომი ხაზართა წინააღმდეგ, რამაც, მისი აზრით, გამოიწვია ბიზანტიის ჩარევა ამ ომში. ის წერს:

„В основе этого сообщения, я полагаю, лежали неотчетливые сведения о военных действиях персов против „хазар" на Кавказе, которые, несомненно, вызвали опасения Византии. Арабский извод Табари знает об опустошениях произведенных в ближайших к Дербенту областях войском хазарского кагана. Персы должны были дать им соответствующий отпор, как это предлагается и в советах победа, приведенных выше. Возможно, что эти факты и послужили канвой, на которой Феофилакт вышил рисунок победы ромеев в долине Аракса и проникновение их войск до Ганзака" [1].

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ-ერთი, არავითარი პირდაპირი დამადასტურებელი წყარო იმისა, რომ აქ ვიგულისხმოთ ხაზართა ომი ირანის წინააღმდეგ, ნ. პიგულევსკაიას არ მოჰყავს; მეორეც—ხაზარები ცხოვრობდნენ ირანის ჩრდილოეთით, ხოლო ის თურქები კი, რომელნიც, თეოფილაქტეს ცნობით, ირანელების

ბმართველად გაგზავნა თავისი შვილი ხოსრო (ჯუანშერის ცნობით „ქასრე"), ოის შესახებ ჯუანშერს ნათქვამი აქვს:

„მაშინ მეფემან სპარსთამან ჰურმიზდ მისცა ძესა თუისსა რანი და მოვაკანი, ოომელსა ერქუა ქასრე ამბარვეზი. მოვიდა და დაჯდა ბარდავს" (ქართლის ცხოვრება: ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 142, 1942, თბილისი).

მაგრამ, როდესაც 590 წ. ირანს შეუტიეს, ერთი მხრივ ბიზანტიის ჯარებმა, ხოლო მეორე მხრივ თურქთა ჯარებმა, მაშინ ჰორმიზდას შვილმა ქასრემ მიატოვა ალბანია და წავიდა მამის საშველად, რასაც ჯუანშერი ასე გადმოგვცემს:

„შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა იქმნნეს შფოთნი დიდნი სპარსთა შინა. რამეთუ შემოვიდა თურქთა მეფე სპარსეთს შინა; მოვიდეს ბერძენნი, და ეწყუნეს სპარსთა შუამდინარეს, და შეეიდეს სპარსვთს; იწყეს ტყუენვად სპარსეთისა. მაშინ ქასრე ამბარეზმან დაუტევა რანი, ქართლი და წარვიდა შუელად მამისა თუისისა" (ქართლის ცხოვრება: ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 143, 1942, თბილისი).

[1] Н. В. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI и VII веков. стр. 82, 1946, М. Л.

მიერ ჰუნებადაც იხსენიებიან, ცხოვრობდნენ ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, და მათ მუდამ მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ ირანთან.

იმ თურქების შესახებ, რომელნიც ამ ომში მონაწილეობდნენ, თეოფილაქტე წერს:

„τῶν Οὖννων τοιγαροῦν τῶν πρὸς τῷ βορρᾷ τῆς ἕω, οὓς Τούρκους ἔθος Πέρσαις ἀποκαλεῖν, καταπολεμηθέντων λίαν ὡς ἔπος εἰπεῖν ἐγκρατῶς ὑπὸ Ὁρμίσδα, τοῦ βασιλέως τῶν Πάρθων, ἐπὶ τὴν Κολχίδα ὁ Βαράμ τὸν πόλεμον μετεβίβαζεν“.

„ამრიგად, როდესაც ჩრდილო-აღმოსავლეთით დაბინავებული ჰუნნები, რომელთაც სპარსელები ჩვეულებრივ თურქებს ეძახიან, პართელთა მეფემ ჰორმიზდამ, ასე ვთქვათ, სასტიკად დაამარცხა, ბარამმა ომი კოლხიდის წინააღმდეგ გადაიტანა“ [1].

თეოფილაქტეს ამ ცნობიდან ჩანს, რომ ის თურქები, რომელთაც ირანის წინააღმდეგ გაილაშქრეს, ცხოვრობდნენ ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ქართლის ცხოვრების ცნობითაც დასტურდება, რომ 590 წ. თურქებმა გაილაშქრეს ირანის წინააღმდეგ და ირანის ჯარმა ბარამ ჩუბინის სარდლობით თურქები დაამარცხა.

მაგრამ იმის საბუთი, რომ აქ იგულისხმება ის თურქები, რომელნიც ცხოვრობდნენ ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით და რომელთაც 589—590 წლებში გაილაშქრეს ირანზე, მოჰყავს თვით ნ. ვ. პიგულევსკაიას.

ნ. ვ. პიგულევსკაიას [2] ტაბარის ცნობაზე დაყრდნობით, გარკვეული აქვს, რომ ჰორმიზდას მეფობის მე-11 წელს, ე. ი. 589—90 წლებში (სწორედ იმავე წელს, როდესაც თეოფილაქტეს მიერ ბიზანტია-ირანის ომია აწერილი), ირანის წინააღმდეგ გაილაშქრა თურქთა ხაკანმა შავამ (შაბამ) 300.000 მეომრით, ხოლო ირანის მეფემ ჰორმიზდამ მის წინააღმდეგ სარდალი ბარამ ჩუბინი გაგზავნა. მათ შორის მოხდა დიდი ბრძოლები. ირანის ჯარმა გაიმარჯვა და მას დიდძალი დავლა დარჩა.

ვინაიდან ტაბარის ეს ცნობა თარიღითაც ემთხვევა თეოფილაქტეს ცნობას ჰორმიზდას მიერ თურქების დამარცხების შესახებ, ხოლო ხაზარების ირანზე გალაშქრების შესახებ

---

[1] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, ჟეორგიკა, IV, 1, გვ. 21—22, 1941, თბილისი.

[2] Н. В. Пигуловская, Византия и Иран на рубеже VI и VII веков, стр. 82, 1946, М. Л.

კი პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ 590 წლის ბიზანტია-ირანის ომის დროს ირანის წინააღმდეგ გაილაშქრეს მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებმა თურქებმა და არა ხაზარებმა. როგორც ეს აღნიშნული აქვს ნ. ვ. პიგულევსკაიას.

ვინაიდან ამ დროს ბიზანტია-ირანის საზღვარზე სამკვდრო-სასიცოცხლო ომი წარმოებდა, ხოლო ალბანია და ძის მეზობლად მდებარე სივნიეთი ამ ომისათვის სათანადო სამხედრო სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, ამიტომ ეს მხარეები დადგა მეომარ სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში.

თურქთა ხაკანის შავას დამარცხების შემდეგ ირანის სარდალი ბარამ ჩუბინი მიდის ამიერკავკასიაში. იგი ჯერ იპყრობს სივნიეთს, შემდეგ გადადის მეზობელ ალბანიაში და ბანაკდება მდინარე არაქსის ნაპირებზე. კეისარმა მავრიკიოსმა ბიზანტიის ჯარების სარდლად დანიშნა რომანოზი. თეოფილაქტეს გადმოცემით, ირანელებსა და რომაელებს შორის მდინარე არაქსის ნაპირებზე მოხდა დიდი ბრძოლები, რის შედეგადაც ირანის ჯარი სასტიკად დამარცხდა. ეს იწყინა ირანის მეფემ ჰორმიზდმა, რომელმაც სარდალს ბარამ ჩუბინს პატივი აჰყარა; ხოლო ბარამმა ირანის მეფის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო.

აღნიშნულ ომს შეეხო აგრეთვე პროფ. ი. კულაკოვსკი, რომლის აზრით, ბარამმა თურქები დაამარცხა მდინარე ოქსზე და ამიტომ, შეუძლებელია, იქიდან ძნელსავალი და შორი გზით იმავე წელს იგი მისულიყო ალბანიასა და სივნიეთში. ამაზე დაყრდნობით პროფ. ი. კულაკოვსკი ფიქრობს, რომ აღნიშნული ომი მოხდა ჩრდილოეთ კავკასიაში. ის წერს:

„Переход с верхнего течения реки Окса по трудным горным дорогам в обход Каспийского моря в Атропатену и оттуда в пределы Сунии, потребовал бы много времени, и расстояние настолько велико, что вряд ли возможно допустить вероятность того, что Вахрам, справившись с турками на Оксе, в тот же год прошел Атропатену и Сунию. Очевидно, в источнике, которым пользовался Феофилакт, театр войны с турками был перенесен на север от Кавказских гор. Отсюда представление, что Сония лежала на путях Вахрама, когда он возвращался с похода“ [1].

[1] Проф. Ю. Кулаковский, История Византии, т. II, стр. 510—511, 1912, Киев.

ცხადია, რომ ბარამი მდინარე ოქსთან თურქების დამარ-
ცხების შემდეგ იმავე წელს ვერ მივიდოდა სივნიეთსა და ალბანია-
ში. ამიტომ პროფ. ი. კულაკოვსკის აღნიშნული ომი გა-
დააქვს ჩრდილოეთ კავკასიაში. მისი აზრით, იმ წყაროში, რომ-
ლითაც ისარგებლა თეოფილაქტემ, თურქებთან ომი გადა-
ტანილი იყო კავკასიის ჩრდილოეთით, საიდანაც ბარამი უკან დაბ-
რუნებისას მოხვდებოდა სივნიეთში.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. კულაკოვსკი ირანის
სარდლის ბარამის ჩრდილოეთ კავკასიაში ბრძოლის შესახებ წყა-
როს არ ასახელებს. ამიტომაც მისი ვარაუდი დამაჯერებლად ვერ
ჩაითვლება; დამაჯერებლად არ უნდა ჩაითვალოს იგი კიდევ
იმიტომ, რომ, როგორც აქ უკვე გარკვეული გვაქვს, ამ დროს
ბარამი იბრძვის არა ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ თურ-
ქეთ-ირანის ფრონტზე, საიდანაც ის მიდის სივნიეთსა და
ალბანიაში. ყოველივე ამის გამო ვარაუდი ბარამის ჩრდილოეთ
კავკასიაში ბრძოლის შესახებ არაფრით არ დასტურდება.

ჩვენი აზრით, ირანის სარდალი ბარამი თავისი ლაშქრით კი
არ შეესია თურქებს და არ მივიდა მდინარე ოქსთან, პირიქით,
თვით თურქები, როგორც ბიზანტიის მოკავშირენი, შეესივნენ
ირანს და შეიჭრნენ მის ტერიტორიაზე, რაც დასტურდება ტაბა-
რის ზემოთ მოყვანილი ცნობით.

ჯუანშერის ცნობითაც დასტურდება, რომ თურქებმა
გაილაშქრეს ირანის წინააღმდეგ, შეიჭრნენ ირანის ტერიტორიაზე
და ირანის ჯარმა ბარამ ჩუბინის მეთაურობით დაამარცხა ისინი
ჯუანშერს ამის შესახებ ნათქვამი აქვს:

„შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა იქმნნეს შფოთნი
დიდნი სპარსთა შინა, რამეთუ შემოვიდა თურქთა მეფე
სპარსეთს შინა (ხაზი ჩვენია,—გ. ა.); მოვიდეს ბერძენნი და
ეწყუნეს სპარსთა შუამდინარეს, და შევიდეს სპარსეთს; იწყეს
ტყუენვად სპარსეთისა“.

... „მაშინ გამოჩნდა სპარსეთს კაცი ერთი, რომელსა ერქუა
ბარამ ჩუბინი. ესე ეწყო სპარსეთს თურქთა შემოსრულთა, ვი-
თარცა წერილ არს განცხადებულად ცხორებასა სპარსთასა, მოკ-
ლა თურქთა მეფე და აოტა ბანაკი მათი. ხოლო სპანი იგი ბერ-
ძენთანი, რომელნი შესრულ იყუნეს სპარსეთს, შეიქცეს და წარ-
ვიდეს შინა, და ჩრდილონი იგი, კულაპარატისა შეგზავნილნი.
იგინიცა წარმოვიდეს შინა; რამეთუ ვინათგან მოიცალეს სპარსთა
თურქთაგან, შეეშინდეს და დაეცა შიში და ძრწოლა ქართველთა

სპარსთაგან. და ამან გუარამ კულაპარატმან იწყო ციხეთა და ქალაქთა მაგრებად"[1].

ჯუანშერის ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ ირანს ერთი მხრიდან თავს დასხმიან თურქები, ხოლო მეორე მხრიდან ბიზანტიელები, მაგრამ ბარამ ჩუბინს თურქთა ჯარი დაუმაოცხებია და მათი მეფე მოუკლავს. თურქების დამარცხების გამო ბიზანტიის ჯარს უკან დაუხევია. ამიტომ გვარამ კურაპალატის მიერ ირანში შეგზავნილ ქართველ ჯარსაც უკან დაუხევია და სახლში დაბრუნებულა. ეშინოდა რა ირანის შემოსევისა, გვარამს დაუწყია ციხეებისა და ქალაქების გამაგრება.

ჯუანშერის ეს ცნობა საყურადღებოა იმით, რომ იგი მიუთითებს თურქების შესევაზე ირანში, რაც აღნიშნული აქვს ტაბარისაც; იგი მიუთითებს აგრეთვე ბიზანტიის გალაშქრებაზე ირანის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, ჯუანშერი გვაძლევს მოკლე ცნობებს 590 წ. ბიზანტია-ირანის ომის შესახებ[2], როდესაც თურქები, როგორც ბიზანტიის მოკავშირენი, ილაშქრებენ ირანის წინააღმდეგ.

ძვირფასია ჯუანშერის ეს ცნობა იმით, რომ იგი მარტო თავის მოსაზრებას კი არ გადმოგვცემს, ან სხვის ნათქვამს, არამედ ემყარება წერილობით წყაროს, როგორც ამას თვითონ აცხადებს: „ვითარცა წერილ არს განცხადებულად ცხორებასა სპარსთასა", ე. ი. როგორც ეს ცხადად სწერია სპარსეთის ისტორიაშიო. ამიტომ ჯუანშერის ეს ცნობა სანდო წყაროდ უნდა ჩაითვალოს და თურქების გალაშქრება ირანზე 590 წელს სინამდვილედ უნდა მივიჩნიოთ.

რაკი წყაროებით დასტურდება, რომ თვით თურქები შეიჭრნენ ირანის ტერიტორიაზე და ამით ის მანძილი, რომელსაც ვარაუდობს პროფ. კულაკოვსკი ამუ-დარიიდან ალბანიამდე, მცირდება, ამიტომ ბარამს თურქების დამარცხების შემდეგ იმავე წელს შეეძლო მისულიყო ალბანიაში.

როგორც წყაროდან ჩანს[3], ირანის სარდალი ბარამი ჯერ სივნიეთს იპყრობს, შეიძენს აქ დიდძალ სიმდიდრეს, რომელსაც

---

[1] ქართლის ცხოვრება: ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 143—144, 1942, თბილისი.

[2] აღსანიშნავია, რომ ჯუანშერი იცნობს 590 წ. ბიზანტია-ირანის ომს, იცის ბარამ ჩუბინის აჯანყება, ხოსრო II-ის ბიზანტიაში გაქცევა და ხოსროს გამარჯვება (ქართლის ცხოვრება: ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 143—144, 1942. თბილისი).

[3] პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 23, თბილისი.

გზავნის სპარსეთში, ხოლო შემდეგ გადადის ალბანიაში და ბანაკდება მდინარე არაქსის ნაპირებზე. თუ რა გზით შემოვიდა ბარამი სივნიეთში, ამის შესახებ წყაროში არაფერია ნათქვამი.

მაშასადამე, როგორც თეოფილაქტე სიმოკატას, ისე ტაბარის ცნობა თურქების ირანზე გალაშქრების შესახებ დასტურდება ჯუანშერის ზემომოყვანილი ცნობითაც, ამიტომ გარკვეულად უნდა ჩაითვალოს თურქების შეჭრა ირანში 590 წელს, რაც მაშინდელ ისტორიულ ვითარებას ეფარდება.

ყოველივე ამის შემდეგ უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არის მართალი აკად. ფ. ი. უსპენსკის ის აზრი, თითქოს ბიზანტია-თურქეთის ურთიერთობას არავითარი არსებითი შედეგი არ მოჰყოლოდეს. ის წერს:

„С этого времени начинается ряд ежегодных сношений турок с Византией. Менандр насчитывает семь посольств до 576 года. Эти сношения не имели, однако, существенных выгод ни для той, ни другой стороны и ограничивались восточными любезностями и обещаниями, исполнение которых никто не считал об'язательным"[1].

შემდეგ განაგრძობს:

„Как бы то ни было, хотя на этот раз продолжительные переговоры и сношения не имели желательных результатов, не следует терять из виду, что турецко-византийские переговоры направлены против естественной соперницы Византии, персидской империи, и имели целью ослабление аварского могущества. Весьма вероятно, что византийское правительство, принимая свое решение относительно Персии, ставило на одну чашку весов возможный союз с турками, но не имело смелости и настойчивости дать более широкое место открываемым со стороны турок перспективам"[2].

აკად. ფ. ი. უსპენსკის ამ სტრიქონებიდან ჩანს, რომ, მისი აზრით, ბიზანტია-თურქების ურთიერთობას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ბიზანტიის მთავრობამ ვერ გამოიჩინა მხნეობა

---

[1] Акад. Ф. И. Успенский, История византийской империи. т. I, стр. 624—5.

[2] იქ ვე. გვ. 625.

და სიმტკიცე, რათა თურქების მიერ შექმნილი პერსპექტივები ფართოდ გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, რომ ბიზანტია-თურქეთის ურთიერთობა არ იყო მხოლოდ აღმოსავლური თავაზიანობით შემოფარგლული უბრალო კავშირი, როგორც ამას აკად. ფ. ი. უსპენსკი აცხადებს.

ჩვენი გაგებით, ეს იყო სამხედრო კავშირი, რომელიც შეკრეს პირველად ბიზანტიის ელჩმა ზემარქემ და თურქთა ხაკანმა სიზიბულმა. შემდეგ ეს კავშირი მეღავნდება ბიზანტიის ელჩის ვალენტინეს თურქთა ქვეყანაში ჩასვლით და თურქსანთან საუბრით. იგი აშკარა ხდება და დასტურდება აგრეთვე 590 წ. ბიზანტია-ირანის ომის დროს თურქების გალაშქრებით ირანზე. ამიტომ არ არის დამაჯერებელი აკად. ფ. ი. უსპენსკის ის აზრი, თითქოს ბიზანტიის მთავრობამ თურქებთან ურთიერთობა სათანადოდ ვერ გამოიყენა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბიზანტიის მაშინდელმა მმართველმა წრეებმა სწორად შეაფასეს თურქებთან ურთიერთობა, რაც შემდეგ სამხედრო კავშირად აქციეს. ამ სამხედრო კავშირისაკენ ისწრაფვოდნენ ჯერ იუსტინე II, შემდეგ კი—ტიბერიოსი და მავრიკიოსი.

ასე რომ. თეოფილაქტეს მიერ 590 წლის ბიზანტია-ირანის ომში მოხსენებული თურქები არიან არა ირანის ჩრდილოეთით მცხოვრები ხაზარები, არამედ ის თურქები, რომელნიც ცხოვრობდნენ ირანის ჩრდილოაღმოსავლეთით და რომლებთანაც ჯერ იუსტინემ, ხოლო შემდეგ ტიბერიოსმა და მავრიკიოსმა დაამყარეს სამხედრო კავშირი.

590 წლის ბიზანტია-ირანის ომი, რომელიც სივნიეთსა და ალბანიაში მოხდა, ჩვენ შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ამ დროს ბიზანტიასა და ირანს შორის გაჩაღებული იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი უშუალოდ მათ საზღვარზე. ცხადია, ასეთი ომისათვის სვანეთს მნიშვნელობა აღარა ჰქონდა. ამიტომ არაა დასაჯერებელი, რომ ასეთ ვითარებაში ირანს ომი დაეწყო სვანეთში.

ბიზანტია-ირანის ამ ომისათვის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მნიშვნელობა ჰქონდა უკვე ალბანიასა და სივნიეთს, როგორც სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტებს. შემდეგაც რომ ალბანია ასეთ მნიშვნელობას მოკლებული არ იყო, ჩანს იქიდან, რომ ბიზანტიის კეისარმა ირაკლიმაც 622--623 წლებში სწორედ ალბანია აირჩია

დასაყრდენ სტრატეგიულ პუნქტად ირანზე ლაშქრობის დროს. ცნობილია, რომ ეს ომი ბიზანტიის გამარჯვებით დამთავრდა.

590 წ. ბიზანტია-ირანის ომი, აღწერილი თეოფილაქტე სიმოკატას მიერ, ჩვენ გვესახება როგორც ერთი ეპიზოდი იმ დიდი ომისა, რომელსაც მაშინ ადგილი ჰქონდა ბიზანტია-ირანის საზღვარზე.

ირანმა, დაამარცხა რა თურქთა ჯარი, ახლა ალბანიას მიაპყრო თავისი ყურადღება. იქ ირანის მიერ გაგზავნილ იქნა სარდალი ბარამ ჩუბინი, რომელმაც ჯერ დაიპყრო სივნიეთი, ხოლო შემდეგ გადავიდა მეზობელ ალბანიაში და დაბანაკდა მდინარე არაქსის ნაპირებზე. ბიზანტიამ, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა ალბანიის დიდი მნიშვნელობა აღნიშნული ომისათვის, სათანადო ზომები მიიღო. მაურიკიოსმა ალბანიაში ირანის სარდლის ბარამ ჩუბინის წინააღმდეგ გაგზავნა სტრატეგოსი რომანოზი. აქ ირანისა და ბიზანტიის ჯარებს შორის მოხდა ბრძოლები, რაც აღწერილი აქვს თეოფილაქტე სიმოკატას. ირანის ჯარი ამ ბრძოლებში დამარცხდა.

დასკვნები

1. ბიზანტიასა და ირანს შორის საუკუნეების მანძილზე წარმოებულმა ომმა მეექვსე საუკუნის სამოციანი წლებიდან ამავე საუკუნის ბოლომდე მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ამ დროს ომის ობიექტად ხდება საქართველო, კერძოდ ლაზიკა. ლაზიკაში წარმოებული ომები ირანისათვის უშედეგო აღმოჩნდა. 562 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის დაიდო ზავი ორმოცდაათი წლის ვადით. ამ ზავის მიხედვით ირანი ხელს იღებდა ლაზიკაზე მთლიანად, ხოლო არ თმობდა სვანეთს, რომელიც წინათ ლაზიკის ნაწილს შეადგენდა. ბიზანტია კი დაჟინებით მოითხოვდა სვანეთის გადაცემას. სვანეთი, საქართველოს მთიანეთის ეს პატარა მხარე, ხდება აღნიშნულ სახელმწიფოთა შორის მწვავე დავის საგნად.

2. ბიზანტიელებმა სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის საზავო მოლაპარაკების დროს მესამეჯერ 569 წელს დააყენეს, მაგრამ უშედეგოდ. 570—571 წლებიდან ირანისა და ბიზანტიის ურთიერთობაში მოხდა გარდატეხა: ახლა თვით ირანი ცდილობს დასვას განსახილველად სვანეთის საკითხი იმ იმედით, რომ ბიზანტიელები როგორც წინათ, ახლაც მოითხოვდნენ სვანეთის დაბრუნებას. ხოლო ბიზანტია უკვე წინააღმდეგია სვანეთის საკითხის განხილვისა, რადგან ამ დროისათვის სამხედრო ვითარების შესაბამისად მეომარ სახელმწიფოთა ინტერესები სვანეთისადმი მინელდა. მაშასადამე, სვანეთის საკითხი როგორც ბიზანტიის, ისე ირანის საგარეო პოლიტიკას თავისებურ მიმართულებას აძლევდა და სათანადო როლს თამაშობდა ამ სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

3. ბიზანტია-ირანის საზავო მოლაპარაკების დროს სვანეთის საკითხის გამო მწვავე დავის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო სვანეთზე გამავალი გზა, მითუმეტეს, რომ ბიზანტიის მიერ ეს გზა გამოყენებული იყო თურქებთან სამხედრო და სავაჭრო კავშირის დასამყარებლად. ბიზანტიის მიერ სვანეთის დაპყობა უზრუნველყოფდა ლაზიკის უშიშროებას ჩრდილოეთიდან. ირანს კი უნდოდა სვანეთი ხელში ჩაეგდო, რათა იგი გამოეყენებინა როგორც ბიზანტია-თურქეთის ურთიერთობისათვის ხელის შესაშლელად, ისე სტრატეგიულ დასაყრდენ პუნქტად ლაზიკის წინააღმდეგ.

4. ბიზანტიასა და ირანს შორის სვანეთის საკითხის გამო 562 წელს დაწყებული დავა დამთავრდა 570—571 წლებში და არა 590 წელს ბიზანტიელების მიერ სვანეთის დაპყრობით, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

5. თეოფილაქტე სიმოკატას 590 წლის ბიზანტია-ირანის ომის აღწერილობაში არსებობს შემდეგი შეუსაბამობა: ბიზანტიისა და ირანის ჯარების თავმოყრა ხდება ალბანეთში, მდინარე არაქსის ნაპირებზე, ხოლო ბრძოლის შედეგად ირანის ჯარი მარცხდება სვანეთში. ეს შეუსაბამობა უნდა აიხსნას არა ამ ომის სხვა ომთან აღრევის საფუძველზე, როგორც ეს აღნიშნული აქვთ მკვლევართ, არამედ შემდეგი გაუგებრობით: თეოფილაქტეს წყაროდან სარგებლობის დროს აურევია ერთმანეთში ორი სხვადასხვა მხარე—ალბანიის მოსაზღვრედ მდებარე Σαυία (სივნიეთი) და Σουανία (სვანეთი) და სივნიეთში მომხდარი ამბები მიუწერია სვანეთისათვის.

თუ ჩვენ 590 წლის ბიზანტია-ირანის ომის თეოფილაქტისეულ აღწერილობაში Σουανία-ს მაგიერ ჩავსვამთ Σαυία-ს, მაშინ არავითარ შეუსაბამობას ადგილი არ ექნება.

6. თეოფილაქტე სიმოკატას 590 წლის ბიზანტია-ირანის ომის აღწერაში იხსენიება ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებანი, როგორიცაა: „ალბანია", მდინარე „არაქსი" და ირანის ქალაქი „განძაკი", ხოლო სვანეთის რაიმე სტრატეგიული პუნქტი, ან გეოგრაფიული სახელწოდება ერთხელაც არ არის მოხსენებული, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ აღნიშნული ომი მოხდა არა სვანეთში, როგორც ეს მიაჩნიათ მკვლევართ, არამედ ალბანიასა და სივნიეთში.

7. იოანე ბიკლარელის ცნობაში მოხსენებულ Suanorum-ზე (სვანთა) დაყრდნობა და აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ 575 წელს ბიზანტიის ჯარის სარდალმა რომანოზმა დაიპყრო სვანეთი, სიმართლეს არ შეეფერება, რადგან ხსენებულ სიტყვას კითხულობენ როგორც Suanorum, ისე Suevorum; და რადგან ამ სიტყვის წაკითხვა ჯერ არ არის დაზუსტებული, ამიტომ მასზე დაყრდნობა და აქედან რაიმე დასკვნების გაკეთება უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს და 575 წელს ბიზანტიელების მიერ სვანეთის დაპყრობაც უსაფუძვლოდ უნდა იქნას მიჩნეული.

8. ბიზანტიისა და თურქეთის სახელმწიფოს ურთიერთობა არ განისაზღვრებოდა მარტო სავაჭრო კავშირით. იგი წარმოადგენდა აგრეთვე სამხედრო კავშირს, მიმართულს ირანის წინააღმდეგ. ეს კავშირი პირველად შეკრეს ბიზანტიის ელჩმა ზემარქემ და თურქების ხაკანმა სიზიბულმა.

9. ჯუანშერის ცნობით, 590 წლის ბიზანტია-ირანის ომის დროს, ბიზანტიის მიერ შექმნილი ირანის საწინააღმდეგო სამხედრო კოალიციის წევრად მოჩანს აგრეთვე იბერია, რომელსაც ბიზანტიამ ფინანსიური დახმარება აღმოუჩინა. ამ ომის დროს იბერიის ჯარმა დაიპყრო ალბანეთის მიდამოები.

10. არ მართლდება მკვლევართა ის აზრი, რომ თითქოს 590 წელს ირანის ჯარი შეესია შუა აღმოსავლეთის თურქებს და ბრძოლები წარმოებდა მდინარე ოქსთან. პირიქით, როგორც ტაბარის, ისე თეოფილაქტე სიმოკატას და ჯუანშერის ცნობებით დასტურდება, რომ თვით თურქები, როგორც ბიზანტიის მოკავშირენი, 590 წ. ბიზანტია-ირანის ომის დროს, შეიჭრნენ ირანის ტერიტორიაზე.

11. არ დასტურდება სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ის აზრი, რომ ბიზანტიელებისა და თურქების ურთიერთობით შექმნილი ხელსაყრელი პირობები ბიზანტიის მაშინდელი მთავრობის მიერ ვერ იქნა სათანადოდ გამოყენებული. ხოლო წყაროებით კარგად დასტურდება, რომ ბიზანტია-თურქეთის სამხედრო კავშირის შედეგი იყო 590 წელს თურქების გალაშქრება ირანზე, რაც მოხდა ბიზანტიელთა მოთხოვნით. აღნიშნული ომი ბიზანტიელთა გამარჯვებით დამთავრდა.

12. მ ე ნ ა ნ დ რ ე ს ცნობები (მე-17—18 და 43-ე ფრაგმენტები) ვვაძლევენ იმ დროის როგორც ბიზანტიელებისა და ირანელების, ისე ბიზანტიელებისა და თურქების დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიისათვის მეტად საინტერესო მასალას. ამავე დროს, ვლინდება სვანეთის როლი ამ საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობაში, რითაც ცხადი ხდება მოქიშპე იმპერიათა დავის მიზეზი საქართველოს ამ პატარა კუთხის გამო. მ ე ნ ა ნ დ რ ე ს აღნიშნულ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის.

13. 590 წლის ბიზანტია-ირანის ომი, აღწერილი თეოფილაქტე სიმოკატას მიერ, წარმოადგენს ერთ ეპიზოდს იმ დიდი ომისას, რომელსაც მაშინ ადგილი ჰქონდა ბიზანტია-ირანის საზღვრებზე. ვინაიდან ამ დროს ალბანიასა და სივნიეთს სათანადო სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამიტომ ორივე მეომარი სახელმწიფო ჯარებს აქეთკენ აგზავნის. ჯარების თავმოყრა ხდება მდინარე არაქსის ერთ-ერთ შტოს ნაპირებზე და აქვე ხდება ბრძოლები. მაშასადამე, 590 წლის ბიზანტია-ირანის ომი მოხდა ალბანიასა და სივნიეთში და არა სვანეთში, როგორც ეს აქამდე მიღებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

მარქსიზმის კლასიკოსები

К. Маркс и Ф. Энгельс, Традиционная политика России, соч. т. IX.

ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. სახელგამი, 1951, თბილისი.

ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. მე-11 გამოცემა, 1951, თბილისი.

წყაროები

სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა", ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი, 1949.

ქართლის ცხოვრება: ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942., თბილისი.

" " მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1906, თბილისი.

ყაუხჩიშვილი ს. პროფ., გეორგიკა, II, 1934, თბილისი.

" " გეორგიკა, III, 1936, თბილისი.

" " გეორგიკა, IV, 1, 1941, თბილისი.

" " გეორგიკა, IV, 2, 1952, თბილისი.

" " პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ I. 1949, თბილისი.

Дестунис Сп., Византийские историки, 1860.

Джапашвили М., Описание рукописей церковного музея Духовенства грузинской епархии, кн. III. ТФЛ. 1908.

Записки русского археологического общества, XI, вып. 3 и 4, 1909.

Оболенский В. Н. и Торновский Ф. А., Летопись Византийца Феофана, Москва, 1894.

Сирийские источники по истории народов СССР, 1941, М. Л.

Цагарели А. А., Сведения о памятниках грузинской письменности. т. 1, в. III, СПБ, 1884.

Ludovicus Dindorfius, Historici Graeci Minores, vol. II, Lipsiae 1871.

Monumenta Germaniae Historica, XI, I: Chronica Minora II, 1 Berolini.

Procopius, De bello Persico.

" De bello Gothico.

ლიტერატურა

ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1946, თბილისი.

ბაბლიანი ეგ., ძველი და ახალი სვანეთი, 1925, თბილისი.

ბოხალიშვილი, გ., პროფ., „დავა სვანეთის გამო ბიზანტიასა და ირანს შორის", თბილისის სახ. უნივ. შრომები, III, 1936, თბილისი.

„ „ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკასათვის მე-6 საუკუნეში", თბილ. სახ. უნივ. შრომები, 26, ს, 1944. თბილისი.

დადეშქელიანი ლ., წერილი სვანეთიდან, „ივერია", 1902, № 66.

ყაფაძე მ., ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, 1954, თბილისი.

ველიქსეთ-ბეგი ლ., პროფ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1941.

„ ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ეინაობა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით, თბილისი, 1928.

ყაუხჩიშვილი ს., პროფ., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, 1950, თბილისი.

„ ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, 1949, თბილისი.

„ მისიმიანთა ტომი, 1936, თბილისი.

„ ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, I, 1948, თბილისი.

„ „პროკოფი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ", საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1931—1932, თბილისი.

ყაუხჩიშვილი ს., პროფ. და ირ. ბერაძე, „სვანეთის ხელმეორე აღება ბიზანტიელების მიერ", თბილ. სახ. უნივ. შრომები, VII. 1938, თბილისი.

ჯავახიშვილი ივ. პროფ., ქართველი ერის ისტორია, I, 1951, თბილისი.

„ ქართველი ერის ისტორია. II, 1948, თბილისი.

„ „ბლეხთა მოძრაობის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში", თბილ. სახ. უნივ. მოამბე", II, 1922—1923, თბილისი.

„ ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა 1945, თბილისი.

ჯანაშია ს. აკად. შრომები, I, 1949, თბილისი.

Адонц Н., Армения в эпоху Юстиниана, 1908.

Артамонов М. И., Очерки древнейшей истории хазар, 1936, Ленинград.

Арутюнян Б. К., Крестьянские волнения в Сюнии в X веке, „Ученые Записки Ерев. Госуд. Пед. Института", № 2, 1950.

Боргштам А. Н., Очерки истории гуннов, 1951, Ленинград.

Диль Ш., Юстиниан и византийская цивилизация.

История средних веков, т. I, под редакцией академика Косминского, 1952.

Кулаковский Ю. проф., История Византии, 1912, Киев.

Лавров Л. И., „Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века“, Вопросы Этнографии Кавказа. 1952, Тбилиси.
Левченко М. В., История Византии. 1940.
„ „Задачи современного византиноведения“, „Византийский сборник“, 1945.
„Грегуар и его работы по византиноведению,“ Византийский Временник, III. 1950.
Машкин Н. А., История древнего Рима, 1949.
Моликсет-Боков Л. М., Введение в историю государственных образований Юго-Кавказа, 1924, Тифлис.
Пигулевская Н. В., Византия и Иран на рубеже VI и VII веков, 1946. М. Л.
„ Византия на путях в Индию, 1951, М. Л.
„ „Византийская дипломатия и торговля шелком в V—VII веков,“ Византийский Временник, 1, 1947.
„ Месопотамия на рубеже V—VI веков, 1940.
Полянский Ф. Я., Экономическая история зарубежных стран.
Удальцова З. В. „Народное движение в Северной Африке при Юстиниане“, Византийский Временник, V, 1952.
„ „Политика византийского правительства в Северной Африке при Юстиниане,“ Византийский Временник, VI, 1953.
Успенский Ф. И. акад., История византийской империи, т. I.
„ История византийской империи, т. II.
Шестаков С., Лекции по истории Византии, изд. 2, 1916, Казань.
Якубовский А., Феодализм на Востоке, 1932, Л.
Güterbock, K., Byzanz und Persien in ihren diplomatisch-völkerrechtlichen Beziehungen im Zeitalter Justinians, 1906, Berlin.
Krumbacher K., Geschichte der byzantinischen Literatur, 2. Auflage, München, 1897.
Stein E., Studien zur Geschichte des byzantinischen Reiches, 1919, Stuttgart.

შინაარსი

რედაქტორის წინასიტყვაობა 3
შესავალი 5
ლიტერატურის მიმოხილვა 8
თავი I. ბიზანტია-ირანის ურთიერთობის მიმოხილვა VI საუკუნეში . . . 11
თავი II. ბიზანტია-ირანის დიპლომატიური ურთიერთობა სვანეთის საკითხის გამო 19
თავი III. თეოფილაქტე სიმოკატას ერთი ცნობის გამო 45
თავი IV. აბრეშუმით ვაჭრობის საკითხი და ბიზანტიის ურთიერთობა შორეულ ქვეყნებთან 61
თავი V. ბიზანტიისა და ირანის ინტერესები სვანეთში 67
თავი VI. თეოფილაქტე სიმოკატას სტილი 73
თავი VII. 590 წლის ბიზანტია-ირანის ომის ნამდვილი ვითარება (თეოფილაქტე სიმოკატას მიხედვით) 79
დასკვნები 90
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 93

რედაქტორი პროფ. ს. ყაუხჩიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი გ. ზურაბიანი

ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი

კორექტორი ა. არობელიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VII-59 წ.

ქაღალდის ზომა 60×92 1/16. ნაბეჭდი თაბახი 6.0.

უე 03357 ტირაჟი 1000 შეკვ № 333

Типография № 4 Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, Медгородок.

საქ. სსრ მთავარპოლიგრაფვამომცემლობის სტამბა, № 4.
თბილისი, მედქალაქი.

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზემ.	ქვემ.		
35	14	—	*νέμονται*	*νέμονται,*
41	—	14—15	არ იდგა. მათ სინამდვილედ მიაჩნიათ,	არ იდგა, სინამდვილედ მიაჩნიათ,
42	21	—	შ ჯანის	შტაინის
46	—	4	*ἱστορίαι*	*Ἱστορίαι*
48	—	13	*καθίστησις*	*καθίστησιν.*
48	—	12	*συνῴδη.*	*συνῴδης*
65	—	14—15	*ο Πέρσαι*	*οἱ Πέρσαι*
85	—	15	დაამარცხა ისინი	დაამარცხა ისინი.
85	—	3	შეგზავნილნი.	შეგზავნილნი,
90	—	6	დაპყორბა	დაპყრობა